

გიორგი თითბერიძე

საქართველოს კანონი
„არბიტრაჟის შესახებ“

კო მ ე ნ ტ ა რ ი

მეორე გამოცემა

**საქართველოს კანონი
„არბიტრაჟის შესახებ“**

კომენტარი

მეორე გამოცემა

თბილისი, 2020

*მოცემული ნაშრომი განკუთვნილია საარბიტრაჟო პროცესთან
დაკავშირებული დაინტერესებული პირებისათვის, აგრეთვე
საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული
არბიტრთა აკრედიტაციის პროგრამაში მონაწილე პირებისათვის*

ISBN 978-9941-9690-3-4

დაიბეჭდა სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში“
თბილისი, მარჯანიშვილის 5

აშორე გომოცემის წინათქმე

10 წელი გავიდა „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის ამოქმედებიდან. კანონმა ძალადაკარგული, „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ 1997 წლის კანონისაგან განსხვავებით, ახლებურად გადამწყვიტა მთელი რიგი საკითხები და მათ შორის, საარბიტრაჟო განხილვის შედეგად გამოტანილი საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხი, რაც მხოლოდ სასამართლო კომპეტენციას დაექვემდებარა. აღნიშნული უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი და სრულად შეესაბამება როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო სამართლის კომისიის, „უნსიტრალის“ („**UNCITRAL**“) მიერ 1985 წელს შემუშავებული „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ (2006 წელს განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით), მოდელური კანონის, ასევე საერთაშორისო კონვენციების და, პირველ რიგში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1958 წლის 10 ივნისის კონვენციას „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ (ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია), რომელიც საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით იქნა რატიფიცირებული. კომენტარების პირველი გამოცემის შემდეგ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით მალევე გამოიცა „არბიტრაჟის ინიციატივა — საქართველოს“ მიერ შედგენილი „გზამკვლევი არბიტრაჟში“ საქალაქო (რაიონული სასამართლოს მოსამართლეებისათვის და საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, ავტორები: სოფიო ტყემალაძე, გიორგი კეკელიძე, ლიანა ქარცივაძე, თეონა ჟიჟიაშვილი, თამარ მორჩილაძე). ამავდროულად, საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ, აგრეთვე ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის აქტიური მხარდაჭერით არაერთი ტრენინგი ჩატარდა, მათ შორის საერთო სასამართლოების მოსამართლეების აქტიური ჩართულობით. რამდენიმე ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა ჩატარდა ამერიკის

შეერთებული შტატების კომერციული დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით, 2016 წელს პროფესორ ლადო ჭანტურიას სამეცნიერო რედაქტორობით საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის ინიციატივით, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა არბიტრაჟის, მათ შორის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი. ყოველივე ეს ემსახურება ერთიანი საარბიტრაჟო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და არბიტრაჟის, როგორც დავის ალტერნატიული განხილვის ფორმის შემდგომ დახვეწას.

აღნიშნულის გათვალისწინებით დაიხვეწა სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა, რამაც დღის წესრიგში დააყენა უახლეს საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით ახალი კომენტარის გამოცემის საკითხი, რაც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის, არბიტრაჟის სწორად აღქმას და საარბიტრაჟო განხილვის სრულყოფას ემსახურება.

ასევე აღსანიშნავია, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი, რომელიც UNCITRAL-ის მოდელური კანონის ბაზაზე შეიქმნა და, თავის მხრივ, მითითებული მოდელური კანონი მთლიანად მხოლოდ *ad hoc* არბიტრაჟისათვისაა შემუშავებული, არ ახდენს ასეთი არბიტრაჟის, როგორც ასეთის, დაფიქსირებას. 2015 წლის მარტში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები „არბიტრაჟის შესახებ“ კანონში, მაგრამ ასეთი ცვლილებები საჭიროებს დახვეწას, რადგან სამწუხარო რეალობაა, რომ ჩვენს ქვეყანაში დღემდე პრაქტიკულად ვერ აღიქმება საარბიტრაჟო რეგულაციებში და დოქტრინაში მითითებული *ad hoc* არბიტრაჟი. სწორედ აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საქართველოს არბიტრთა ასოციაციის ინიციატივით საქართველოს პარლამენტში წარდგენილია შესაბამისი წინადადებები *ad hoc* არბიტრაჟის სტატუსის დაფიქსირებისა და სხვა საკითხების საერთაშორისო პრაქტიკასა და საკანონმდებლო რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით

და იმედს ვიტოვებ, რომ პარლამენტის მხრიდან შესაბამისი რეაგირება განხორციელდება მით უფრო, რომ **UNCITRAL**-ის 2006 წლის 7 ივლისის რეკომენდაციის თანახმად „საარბიტრაჟო კანონმდებლობის ერთგვაროვნება გააღრმავებს არბიტრაჟის, როგორც კერძო დავების მოგვარების ინსტიტუტის ეფექტურობას“.

ავტორი მადლობელი იქნება ნებისმიერი შენიშვნისა და წინადადებისათვის გამოხატვის საშუალების მიუხედავად.

გიორგი თითბერიძე

დიდი ბრიტანეთის არბიტრთა
სამეფო ინსტიტუტის წევრი
საქართველოს არბიტრთა ასოციაციის
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

პირველი გამოცემის წინათქმა

1997 წლის 17 აპრილს, „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მართალია კერძო არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის დანერგვის და განვითარების თვალსაზრისით პირველი ნაბიჯი გადაიდგა, მაგრამ კანონის სერიოზული ხარვეზიანობის გამო, არბიტრაჟის დისკრედიტაცია განხორციელდა და ნეგატიურ მოვლენებსაც კი დაედო საფუძველი.

სამართლებრივი თვალსაზრისით მდგომარეობა რადიკალურად გამოსწორდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის 19 ივნისს მიღებული კანონით „არბიტრაჟის შესახებ“, რაც წარმოადგენს ჩვენი კანონმდებლობის საერთაშორისო საარბიტრაჟო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ნათელ დადასტურებას. ამას წინ უძღვოდა გაეროს გენერალური ასამბლეის 2006 წლის 4 დეკემბრის 64-ე პლენარული სხდომის №61/33 რეზოლუცია, რომლითაც საერთაშორისო თანამეგობრობას მოენოდა მხედველობაში მიეღო სავაჭრო სამართლის კომისიის („UNCITRAL“) მიერ მიღებული მოდელური კანონი „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“. შესაბამისად, კანონის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო სამართლის კომისიის, უნსიტრალის („UNCITRAL“) მიერ შემუშავებული მოდელური კანონი „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ (2006 წელს განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) და ამავე კომისიის მიერ მიღებული საარბიტრაჟო წარმოების წესები (რეგლამენტი).

მსოფლიო მასშტაბით კერძო არბიტრაჟის როლსა და მნიშვნელობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ „UNCITRAL“-ის საარბიტრაჟო წარმოების წესები (რეგლამენტი) და თავად მოდელური კანონიც მოწონებულია ისეთი აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებიდან საკმაოდ დროის გასვლის მიუხედავად დღემდე არ ყოფილა შემუშავებული მისი კომენტარი, სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე კანონის პრაქტიკული გამოყენების შესახებ და წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პირველ მცდელობას, განმარტოს კონკრეტული მუხლების შინაარსი და ნათლად წარმოაჩინოს საარბიტრაჟო განხილვის კონკრეტული სპეციფიკური საკითხები და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა.

გიორგი თითბერიძე

სარჩევი

მეორე გამოცემის წინათქმა	3
პირველი გამოცემის წინათქმა.....	6

თავი №1

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო.....	12
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება და კანონის გამოყენება	24
მუხლი 3. საარბიტრაჟო წარმოების მხარეთა თანასწორობა.....	32
მუხლი 4. გადაწყვეტილების მიღების უფლების გადაცემა მესამე პირისათვის	34
მუხლი 5. უფლებამოსიანობა საარბიტრაჟო წარმოებისას.....	35
მუხლი 6. არბიტრაჟის დამოუკიდებლობა და სასამართლოს ჩარევის შემთხვევები.....	40
მუხლი 7. ვადები	43

თავი №2

საარბიტრაჟო შეთანხმება

მუხლი 8. საარბიტრაჟო შეთანხმების ცნება და ფორმა	45
მუხლი 9. საარბიტრაჟო შეთანხმება და დავის არსებითსაკითხზე სარჩელის შეტანა სასამართლოში.....	60

თავი №3

არბიტრაჟის შემადგენლობა

მუხლი 10. არბიტრთა რაოდენობა.....	65
მუხლი 11. არბიტრების დანიშვნა.....	69
მუხლი 12. არბიტრის აცილების საფუძვლები	83
მუხლი 13. არბიტრის აცილების პროცედურა	85
მუხლი 14. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა.....	91
მუხლი 15. ახალი არბიტრის დანიშვნა.....	93

თავი №4

არბიტრაჟის უფლებამოსილება

მუხლი 16. არბიტრაჟის კომპეტენცია	93
მუხლი 17. არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება.....	109
მუხლი 18. არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების პირობები.....	111
მუხლი 19. არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეცვლა, შეჩერება და გაუქმება.....	115
მუხლი 20. ინფორმაციის განცხადების ვალდებულება	117
მუხლი 21. არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა და აღსრულება.....	117
მუხლი 22. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველები.....	121
მუხლი 23. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები.....	125

თავი №5

საარბიტრაჟო განხილვა

მუხლი 24. საარბიტრაჟო განხილვის წესის განსაზღვრა.....	131
მუხლი 25. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი.....	136
მუხლი 26. საარბიტრაჟო დავის განხილვის დაწყება.....	139
მუხლი 27. შეტყობინება	141
მუხლი 28. წარმომადგენლობა საარბიტრაჟო განხილვაში.....	144
მუხლი 29. საარბიტრაჟო წარმოების ენა.....	145
მუხლი 30. საარბიტრაჟო სარჩელი, საარბიტრაჟო შესაგებელი	147

მუხლი 31. უარი შეპასუხებაზე.....	152
მუხლი 32. საარბიტრაჟო განხილვის ფორმა	154
მუხლი 33. მხარეთა გამოუცხადებლობა.....	157
მუხლი 34. ექსპერტის დანიშვნა და აცილება	158
მუხლი 35. მტკიცებულება, სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში.....	162

თავი №6

**საარბიტრაჟო გადაწყვეტილების
გამოტანა და საქმის განხილვის შეწყვეტა**

მუხლი 36. სამართლის ნორმათა გამოყენება საარბიტრაჟო განხილვისას	167
მუხლი 37. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა საქმის რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის მიერ განხილვისას.....	173
მუხლი 38. მხარეთა მორიგება.....	175
მუხლი 39. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება	177
მუხლი 40. საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტა	182
მუხლი 41. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება და განმარტება, დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება	185

თავი №7

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

მუხლი 42. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება.....	189
მუხლი 43. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების განხილვის შეჩერება.....	203

თავი №8

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

მუხლი 44. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.....	204
მუხლი 45. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა.....	208

თავი №9
გარდამავალი დებულებები

მუხლი 46. ამ კანონის ამოქმედებამდე დაწყებული, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საარბიტრაჟო დავების განხილვის წესი 216

მუხლი 46¹. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება გარდამავალ პერიოდში 217

თავი №10
დასკვნითი დებულებები

მუხლი 47. ძალადაკარგულად ცნობილი ნორმატიული აქტი 218

მუხლი 48. კანონის ამოქმედება 218

გამოყენებული ლიტერატურა: 219

თავი №1 ზოგადი დებულებები

მუხლი I. კანონის მოქმედების სფერო

1. ეს კანონი ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს.
2. არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს:
 - ა) პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის;
 - ბ) „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა (საქართველოს 2018 წლის 4 მაისის კანონი №2276, გამოქვეყნდა 24.05.2018).

1. უპირველესად რა არის არბიტრაჟი? კანონი, რომელიც ადგენს არბიტრაჟის შექმნის და საქმიანობის წესს, არსად მიუთითებს არბიტრაჟის რაობის შესახებ. ლიტერატურაში მოცემული განმარტების თანახმად „არბიტრაჟი არის დავის მოგვარების მეთოდი, რომელშიც მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის წამოჭრილი დავა, სასამართლოს ნაცვლად, გადასცენ მესამე პირს, რომელიც გამოიტანს საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებას“*. შესაბამისად, არბიტრაჟი წარმოადგენს სამოქალაქო პროცესის

* ICCA („კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო“-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე: „ცნობარი მოსამართლეებისათვის“)

ერთ-ერთ ფორმას და სასამართლოში მიმდინარე განხილვის-აგან ძირითად განსხვავებას წარმოადგენს ასეთი პროცესის ერთეულოვნობა, ანუ საარბიტრაჟო განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას არ გააჩნია აპელაციისა და კასაციის ეტაპები და შინაარსობრივ გადასინჯვას არ ექვემდებარება. კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სასამართლო კონტროლი ძირითადად მხოლოდ პროცედურულ საკითხებზეა ორიენტირებული (*გთხოვთ იხილოთ მე-6 მუხლის კომენტარი*). არბიტრაჟი ფართოდ გავრცელებული საშუალებაა, რომელიც მხარეებს აძლევს პროცესუალურ მოქნილობასა და კონფიდენციალურობას და რომლის დროსაც არბიტრაჟის იურისდიქციას მიკუთვნებულ საკითხთა ფარგლებში (*არბიტრაჟის იურისდიქციის შესახებ გთხოვთ იხილოთ მე-16 მუხლის კომენტარი*) მოდავე მხარეთა შორის დავას განიხილავს მხარეთა ან საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ შექმნილი, მაგრამ ამ დაწესებულებისაგან სრულიად დამოუკიდებელი საარბიტრაჟო ტრიბუნალი, რომელსაც სასამართლოს მსგავსად სამართლებრივი ბუნება გააჩნია და მისი ფუნქცია არა პრობლემის გადაწყვეტის გზების მოძიებაა, არამედ მხოლოდ კონკრეტული დავის გადაწყვეტაა. „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო სამართლის კომისიის, უნსიტრალის („UNCITRAL“) მიერ 1985 წელს შემუშავებული და გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებული მოდელური კანონის პირველი მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო ტრიბუნალი შედგება ერთი არბიტრისაგან ან არბიტრთა პანელისაგან (*არბიტრთა რაოდენობის განსაზღვრის ნესზე გთხოვთ იხილოთ მე-10 მუხლის კომენტარი*), ხოლო ასევე მოდელური კანონის მე-2 მუხლის თანახმად, არბიტრაჟი ნიშნავს ნებისმიერ არბიტრაჟს, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა მისი ადმინისტრირება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულებების მიერ. ამდენად, საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება განხორციელდეს ყოველი ცალკეული საქმისათვის თავად მხარეთა შეთანხმების საფუძველზე დანიშნული ტრიბუნალის, არბიტრ(ებ)ის (*ad hoc* არბიტრაჟი – *მიუხედავად*

იმისა, რომ 2015 წლის 18 მარტს კანონში არსებული ხარვეზების დახვეწის მიზნით ცვლილებები შევიდა კანონში, *ad hoc* არბიტრაჟის შესახებ არაფერი თქმულა, მაშინ როდესაც ცვლილებებისათვის მომზადებულ განმარტებით ბარათში, ცვლილებების აუცილებლობის დასაბუთებაში ვკითხულობთ შემდეგს: „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ **UNCITRAL**-ის მოდელურ კანონთან, საქართველოში არბიტრაჟის ინსტიტუტისადმი მეგობრულად განწყობილი გარემოს შექმნა, კანონში არსებული ხარვეზების გამოსწორება, არბიტრაჟის ინსტიტუტის, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, სანდოობის და პოპულარობის გაზრდა და მისი განვითარების ხელშეწყობა“. განმარტებით ბარათში ასევე აღნიშნულია *ad hoc* არბიტრაჟის შესახებ და მითითებულია შემდეგი: „კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს მხარეთა უფლებას, მიმართონ მხოლოდ მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დანესებულებას, მაშინ როდესაც **UNCITRAL**-ის მოდელური კანონიდან გამომდინარე, მხარეებს ასევე უნდა ჰქონდეთ უფლება მიმართონ კონკრეტული დავის გადასაწყვეტად შექმნილ (*ad hoc*) არბიტრაჟსაც. კანონპროექტით ცვლილება შედის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში და **UNCITRAL**-ის მოდელური კანონის მსგავსად, მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა მიმართონ კონკრეტული დავის გადასაწყვეტად შექმნილ (*ad hoc*) არბიტრაჟსაც“. ასეთი განმარტებითი ბარათის მიუხედავად, პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებებით პირდაპირი მითითება (*ad hoc*) არბიტრაჟზე არ განხორციელებულა, თუმცა ცვლილება მაინც მნიშვნელოვანია და მის შესახებ გთხოვთ იხილოთ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის კომენტარში), ან მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დანესებულების ადმინისტრირებით დანიშნული საარბიტრაჟო ტრიბუნალის, არბიტრ(ებ)ის მიერ (არბიტრთა დანიშვნის წესზე გთხოვთ იხილოთ მე-11 მუხლის კომენტარი). შესაბამისად, განასხვავებენ ე.წ. „ერთჯერად“ არბიტრაჟს (*ad hoc* არბიტრაჟი), რომელიც იქმნება ყოველი ცალკეული საქმისათვის მხარეთა საარბიტრაჟო შე-

თანხმების შესაბამისად (*გთხოვთ იხილოთ მე-8 და 24-ე მუხლების კომენტარი*) და მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრირებით განმხილველ არბიტრაჟს (**ინსტიტუციური არბიტრაჟი**). **ad hoc** არბიტრაჟი, რომელიც სპეციალურად კონკრეტული საქმისათვის შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალია (არბიტრთა რაოდენობის მიუხედავად), წყვეტს არსებობას საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებისთანავე, ხოლო მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულებას, რომელიც ადმინისტრირებას უწევს ინსტიტუციურ არბიტრაჟს, გააჩნია საკუთარი დებულება (წესდება, რეგლამენტი, საარბიტრაჟო განხილვის წესები და ა.შ.), რომლის შესაბამისადაც ახორციელებს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განსახილველი დავის ადმინისტრირებას. ასეთ დაწესებულებებს გააჩნიათ რეკომენდირებულ არბიტრთა სია, რომლის მიხედვით მხარეებს აქვთ შესაძლებლობა ამ სიიდან თავად შეარჩიონ, დანიშნონ საქმის განმხილველი არბიტრ(ებ)ი, მათი დანიშვნა მიანდონ საარბიტრაჟო დაწესებულებას მისი დებულების (წესდების, რეგლამენტის, საარბიტრაჟო განხილვის წესების) შესაბამისად ან თავად მოიძიონ მათი შეხედულებით მისაღები კანდიდატურა და დანიშნონ საქმის განმხილველ არბიტრად (დეტალურად *გთხოვთ იხილოთ მე-11 მუხლის კომენტარი*). მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულებები შეიძლება შეიქმნას როგორც დამოუკიდებლად, ასევე სავაჭრო პალატებთან, ასოციაციებთან, ბირჟებთან, ფედერაციებთან და ა.შ. და სასურველია არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით. საქართველოში არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირებს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი (**GIAC**), რომელიც წარმოადგენს ამ ფორმით დაფუძნებულ პირველ საარბიტრაჟო დაწესებულებას. ამავე ფორმით დაფუძნდა აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი. არსებობენ დარგობრივი პრინციპით შექმნილი საარბიტრაჟო

დანესებულებებიც. საქართველოში ასეთი არბიტრაჟია ფეხბურთის ფედერაციის არბიტრაჟი, რომელიც ცხადია სპორტული ხასიათის საფუძველზე წარმოშობილ დავებს იხილავს. საერთაშორისო მასშტაბით დარგობრივი არბიტრაჟებია: ხორბლის მოვაჭრეთა ლონდონის ასოციაციასთან შექმნილი არბიტრაჟი, ბამბის მწარმოებელთა ლივერპულის ასოციაციასთან არსებული არბიტრაჟი, ყავით მოვაჭრეთა ჰამბურგის ასოციაციასთან არსებული არბიტრაჟი, ლონდონის საზღვაო არბიტრთა ასოციაცია (**LMAA**) და სხვ. როგორც აღინიშნა, ყოველ საარბიტრაჟო დანესებულებას გააჩნია საკუთარი დებულება (ნესდება, რეგლამენტი). მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილ საარბიტრაჟო დანესებულებათაგან გამოვყოფდი: საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან არსებულ საარბიტრაჟო სასამართლოს (**ICC Court**), ლონდონის საერთაშორისო საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (**LCIA Court**), დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტს (**CIArb**), სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს (**SIAC**) და სხვა.

საკანონმდებლო ხარვეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი რეგულირების მიღმა ტოვებს საარბიტრაჟო დანესებულებების შექმნის საკითხს, მაშინ როდესაც ეს დანესებულებები საარბიტრაჟო განხილვის ადმინისტრირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ. სახელმწიფო რეგულირება აამაღლებს საზოგადოების, მათ შორის ბიზნესის სფეროს მხრიდან ნდობის ხარისხს და იმისათვის, რომ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეარჩიონ დავის განმხილველი ტრიბუნალის წევრის (არბიტრის) მისაღები კანდიდატურა, სასურველი იქნებოდა განსაზღვრულიყო, რომ თითოეულ საარბიტრაჟო დანესებულებას არბიტრთა რეკომენდირებულ სიაში ჰყავდეს არანაკლებ 20 პირი (**რუსეთის ფედერაციაში არანაკლებ 30 პირია აუცილებელი**), თუმცა მხარეებს სრული შესაძლებლობა გააჩნიათ არ შემოიფარგლონ ასეთი სიით. ასევე სასურველია დადგინდეს გარკვეული კრიტერიუმები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის თაო-

ბაზეც (ვებ-გვერდი, სამუშაო სივრცის მინიმალური სტანდარტები და ა.შ.).

ასევე აღსანიშნავია, რომ ხშირად საარბიტრაჟო დანესებულების დასახელების მიხედვით საუბრობენ „საერთაშორისო არბიტრაჟის შესახებ“, მაგრამ მხოლოდ დასახელება არაფერ შუაშია, რადგანაც ასეთ შემთხვევაში განმსაზღვრელია არა დასახელება, არამედ განსახილველი დავის შინაარსი. „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ **UNCITRAL**-ის მოდელური კანონის პირველი მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო განხილვა საერთაშორისოა, თუკი:

ა. საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეებს, ამგვარი შეთანხმების დადების მონეტისათვის, საქმიანობის ადგილი აქვთ სხვადასხვა ქვეყანაში; ან

ბ. ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილთაგან განთავსებულია იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სადაც მხარეებს აქვთ საქმიანობის ადგილი:

- საარბიტრაჟო განხილვის ადგილი, თუკი ის განსაზღვრულია საარბიტრაჟო შეთანხმებაში ან განისაზღვრება საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად;
- ნებისმიერი ადგილი, სადაც უნდა შესრულდეს კომერციული ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებითი ნაწილი ან ადგილი, რომელთანაც დავის საგანი ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული;

ან

გ. მხარეები ცალსახად შეთანხმდნენ, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების საგანი დაკავშირებულია ერთზე მეტ ქვეყანასთან.

ამდენად, როგორც ვხედავთ, მხოლოდ დასახელებას არაფერი საერთო გააჩნია შინაარსთან, ანუ შესაძლებელია კონკრეტული საარბიტრაჟო დანესებულების დასახელება მოიცავდეს სიტყ-

ვა „საერთაშორისო“-ს, მაგრამ მხოლოდ ადგილობრივ დავებს იხილავდეს და, პირიქით, დასახელება ამ მითითებას („საერთაშორისო“-ს) არ შეიცავდეს, მაგრამ წარმატებით იხილავდეს (ცხადია, მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში) საერთაშორისო დავებს ადგილობრივ დავებთან ერთად.

„არბიტრაჟის შესახებ“ სართველოს კანონი ორივე სახის საარბიტრაჟო ტრიბუნალს (*ad hoc* არბიტრაჟის ფარგლებში შექმნილს და საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრირებით განსახილველი დავის ფარგლებში ფორმირებულს — ინსტიტუციურ არბიტრაჟს) თანაბარ უფლებებს ანიჭებს. კანონი, მიუხედავად ცალკეული საკანონმდებლო ხარვეზისა, რის თაობაზე გამოცემაში არაერთი მუხლის კომენტირებისას არის მითითებული, მთლიანობაში წარმოადგენს ჩვენი კანონმდებლობის საერთაშორისო საარბიტრაჟო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ნათელ დადასტურებას. კანონის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს უნსიტრალის (UNCITRAL) მიერ მიღებული მოდელური კანონი „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ და ამავე კომისიის საარბიტრაჟო წარმოების წესები (რეგლამენტი). მითითებული აქტების უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ სავაჭრო სამართლის კომისია, UNCITRAL წარმოადგენს გაეროს გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანოს და ისიც, რომ ორივე აქტი მოწონებული და რეკომენდირებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ არბიტრაჟის, როგორც დავის განმხილველი ორგანოს მნიშვნელობაზე საგანგებოდ გაესვა ხაზი გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 11 დეკემბრის №40/72 და 2006 წლის 4 დეკემბრის 64-ე პლენარული სხდომის №61/33 რეზოლუციებში, რომლებითაც საერთაშორისო თანამეგობრობას მოეწოდა მხედველობაში მიეღო სავაჭრო სამართლის კომისიის, UNCITRAL-ის მიერ მიღებული მოდელური კანონი „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“. საქართველოს პარლამენტმა 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით მოახ-

დინა „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ ნიუ-იორკის 1958 წლის 10 ივნისის კონვენციის რატიფიცირება და უდიდესი მნიშვნელობის მქონე ფაქტია, რომ საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელია მის ფარგლებს გარეთაც, ისევე როგორც შესაძლებელია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საქართველოში ცნობა და აღსრულება (დეტალურად ვთხოვთ იხილოთ 44-ე — 45-ე მუხლების კომენტარი). საგანგებოდაა აღსანიშნავი ის გარემოება, რომ კანონმა, საერთაშორისო კანონმდებლობაზე დაყრდნობით, მინიმალური სასამართლო კონტროლის შემოღებით, პრაქტიკულად აღმოფხვრა იმ სუბიექტივიზმის შესაძლებლობა, რაც არსებობდა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 17 აპრილის კანონის საფუძველზე ფუნქციონირებადი არბიტრაჟების საქმიანობაში, როდესაც არბიტრაჟის ქმედებები ფაქტობრივად სახელმწიფო კონტროლს მიღმა იყო დატოვებული და თავად არბიტრაჟი გასცემდა აღსასრულებლად სავალდებულო დოკუმენტს — სააღსრულებო ფურცელს და ხშირად ისეთ საკითხებზეც, რის თაობაზეც არბიტრაჟს არ გააჩნდა შესაბამისი იურისდიქცია. ყოველივე აღნიშნულმა კი მნიშვნელოვნად შეაფერხა საარბიტრაჟო ინსტიტუციის განვითარება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ახლებური რეგულაციები სრულად გამორიცხავენ ასეთი მანკიერი გამოვლინებების შესაძლებლობას. წინამდებარე კანონმა, აგრეთვე მნიშვნელოვნად შეამცირა სასამართლოების მიერ არბიტრაჟის საქმიანობაში ჩარევის შესაძლებლობა, გახადა არბიტრაჟი, როგორც დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ინსტიტუტი, გაცილებით უფრო დამოუკიდებელი და შესაბამისად, შემცირდა სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების და გაუქმების ეტაპზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების შინაარსში ინტერვენცია, რაც ძალზედ მისასალმებელია ქვეყანაში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების განვითარების ხელშესაწყობად და ე.წ. „**arbitration friendly**“ პროარბიტრაჟული გარემოს დასამკვიდრებლად. ასევე აღსანი-

იშნავია ის გარემოება, რომ წინამდებარე კანონის შემოღებით ქვეყანაში გაუქმდა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 17 აპრილის კანონის მე-7 საფუძველზე არსებული მოთხოვნა არბიტრაჟების მენარმე სუბიექტებად რეგისტრაციის თაობაზე, რაც მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებოდა არსებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

2. საარბიტრაჟო განხილვის (არბიტრაჟის) ძირითადი პრინციპებია — მოქნილი პროცესი, პროცესის ეკონომიურობა, დავათა გადაწყვეტის სისწრაფე, საქმის განხილვის ერთი ინსტანცია, მხარეთა ავტონომიურობის მაღალი ხარისხი, არბიტრაჟის, არბიტრების მიმართ მეტი ნდობა მათი კვალიფიკაციისა და დამოუკიდებლობის გათვალისწინებით, საარბიტრაჟო განხილვის კონფიდენციალურობა, აგრეთვე შემდგომი დავების პრევენცია, რაც განსაკუთრებით აქტუალურია მხარეთა ქონებრივი ხასიათის ურთიერთობებში. ნების ავტონომიის პრინციპის დაცვაზე ორიენტირებული კანონის პრაქტიკულად ყველა მუხლი შეიცავს ასეთ დათქმას — „თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. ამასთანავე კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დათქმა, „რომლის მონესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის“, არ შეიძლება ფართოდ იქნეს გაგებული — კანონმდებელს აქ მხედველობაში აქვს მხოლოდ ისეთი კატეგორიის დავები, რომლებზეც არბიტრაჟს გააჩნია შესაბამისი იურისდიქცია (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გთხოვთ იხილოთ მე-16 მუხლის კომენტარი). არბიტრაჟის — საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ზოგიერთი კატეგორიის სადავო საკითხების მიმართ კანონი იმპერატიულ შეზღუდვას აწესებს (საგადასახადო, გადახდისუუნარობის საქმეთა წარმოების და ა.შ.) და პირდაპირ მიუთითებს ამ კატეგორიის საქმეების მხოლოდ სასამართლო წესით განხილვის შესახებ. ამდენად, ასეთ შეზღუდვაში მოქცეული დავა ვერანაირად ვერ იქნება საარბიტრაჟო განხილვის საგანი მიუხედავად მხარეთა სურვილისა

და საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისა. საკანონმდებლო წესით არ არის გადწყვეტილი და სასამართლო პრაქტიკის გადასაწყვეტია ექნება თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალს იურისდიქცია იმ შემთხვევაში, როდესაც საარბიტრაჟო დავის დანყების შემდეგ მოპასუხის მიმართ დაიწყო გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოება. ასეთი საკითხის მიმართ არსებობს პრაქტიკოს იურისტთა აზრთა სხვადასხვაობა. მოცემულ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე საკითხზე: ერთი შეხედვით მხარეთა შორის არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება და მის ნამდვილობაზე არავინ დავობს, საარბიტრაჟო სარჩელი ქონებრივ მოთხოვნას ეხება და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში აღსრულება უნდა განხორციელდეს მოვალის ქონების ხარჯზე. ამ დროს კი მოვალის მთლიანი ქონების მიმართ მიმდინარეობს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურები და მოვალის ქონება წარმოადგენს სამეურვეო ქონებას და იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება. ამავე კანონის თანახმად (მე-4 მუხლი) დაწესებულია სპეციალური განსჯადობა და გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოვალის ქონებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დავას განიხილავენ თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის დაცვით. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის ციტირებული ნორმა მიღებულია 2012 წელს, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ, ნათელია, რომ ასეთი კოლიზიის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დანაწესით, რომლის იგნორირება საჯარო წესრიგის დარ-

ღვევა იქნება და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი გახდება, რაც გამორიცხავს საარბიტრაჟო განხილვით კრედიტორის რეალური ინტერესის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. შესაბამისად მიუხედავად იმისა, თუ როდის დაიდო საარბიტრაჟო შეთანხმება, გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი უნდა იყოს ის, რომ საარბიტრაჟო განხილვა დაიწყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ, როდესაც მოვალის ქონება უკვე სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში მოექცა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 24 მაისამდე არსებული რედაქციით კანონი საარბიტრაჟო განხილვის იურისდიქციას განსაზღვრავდა მხოლოდ კერძო ხასიათის ქონებრივი დავის შემთხვევაში. ასეთი დავა (ქონებრივი) შეიძლება წარმოიშვას როგორც სახელმეკრულებო, ასევე არასახელმეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ საქართველოს პარლამენტის მიერ ცვლილება იქნა შეტანილი ორგანულ კანონში, „შრომის კოდექსში“ და დაინტერესებულ მხარეებს მიეცათ შესაძლებლობა მიმართონ არბიტრაჟს ინდივიდუალური შრომითი დავის გადასაწყვეტად, ცხადია საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის პირობებში (საარბიტრაჟო შეთანხმების შესახებ დეტალურად გთხოვთ იხილოთ კანონის მე-8 — მე-9 მუხლების კომენტარი), თუმცა სხვადასხვა ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებაც, რადგანაც კანონმდებელმა, შრომის კოდექსში ხსენებული ცვლილებისას ღიად დატოვა საკითხი დაექვემდებარება თუ არა საარბიტრაჟო განხილვას სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნაც, თუ ინდივიდუალური შრომითი დავის საარბიტრაჟო განხილვა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ თანხობრივი მოთხოვნის განხილვით. აგრეთვე, ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მიღებულია მოდელური კანონის საქართველოში ჰარმონიზაციის მიზნით და მის შესაბამისად, კანონის მიერ განსაზღვრული მისი მოქმედების სფერო მცირედით განსხვავდება

მოდელური კანონის მიერ შემოთავაზებული ფორმულირებისაგან. კერძოდ, მოდელური კანონის მიხედვით, მისი მოქმედების სფერო ვრცელდება „კომერციულ“ არბიტრაჟებზე. ამის საპირისპიროდ კი, მიუხედავად იმისა, რომ თვით კანონის მიღება და ამასთანავე, შემდგომში, 2015 წელს განხორციელებული კანონის ცვლილები ქვეყანაში კომერციული არბიტრაჟის განვითარებას ემსახურებოდნენ, ტერმინი „კომერციული“ ნახსენებიც კი არ არის ქართველი კანონმდებლის მიერ. შესაბამისად, ვინაიდან, პრაქტიკაში კანონის ძირითადი მოქმედების სფერო კომერციული დავების გადასაწყვეტად შექმნილი საარბიტრაჟო განხილვებია და ვინაიდან, სწორედ ამ სფეროს განსავითარებლად იქნა თვით კანონიც მიღებული, უმჯობესია მოხდეს კანონის მოქმედების სფეროს დაზუსტება და განსაზღვრა და, აქედან გამომდინარე, ამ საკითხთან დაკავშირებით მოდელური კანონის მიდგომის გადმოღება/გაზიარება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 24 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში შეტანილი ცვლილების თანახმად საარბიტრაჟო განხილვის საგანი შეიძლება გახდეს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა. მითითებული კანონის თანახმად ასეთი დავა შეეხება კონცესიასა და არაკონცესიურ საჯარო და კერძო თანამშრომლობაზე, გამჭირვალობასა და განჭვრეტადობაზე დაფუძნებულ საჯარო და კერძო თანამშრომლობისას წარმოშობილ ინფრასტრუქტურულ დავებს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მოცემული ცვლილება არ შეიძლება გაგებულ იქნეს ისე, თითქოს ასეთ დავებზე გამოირიცხა საერთო სასამართლოების იურისდიქცია. ამ ცვლილებით მხოლოდ გაფართოვდა საარბიტრაჟო იურისდიქცია და ასეთი დავების საარბიტრაჟო განხილვა შესაძლებელი იქნება მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის პირობებში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება და კანონის გამოყენება

1. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს ამავე კანონის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) სასამართლო — ამ კანონის მე-11, მე-13, მე-14 და 35-ე მუხლებისათვის — ის რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა გაიმართოს საარბიტრაჟო განხილვა; მე-16, 21-ე, 22-ე, 23-ე, 42-ე და 43-ე მუხლებისათვის — სააპელაციო სასამართლოები; 44-ე და 45-ე მუხლებისათვის — სააპელაციო სასამართლოები და საქართველოს უზენაესი სასამართლო;
 - ბ) ელექტრონული შეტყობინება — ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც მხარეები გადასცემენ საინფორმაციო შეტყობინების სახით. საინფორმაციო შეტყობინება არის ინფორმაცია, რომელიც მომზადებულია, გაგზავნილია, მიღებულია ან შენახულია ელექტრონული, მაგნიტური, ოპტიკური ან მსგავსი საშუალებით, მათ შორის მონაცემთა ელექტრონული გადაცემით, ელექტრონული ფოსტით, ტელეგრაფით, ტელექსით ან ტელეფაქსით.
2. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ საარბიტრაჟო წარმოების წესებზე. ამ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმება მოიცავს საარბიტრაჟო წარმოების იმ წესებს, რომლებზედაც მხარეების საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითებენ. ამასთანავე მხარეთა შეთანხმება კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებაზე მოიცავს შეთანხმებას ამავე საარბიტრაჟო დაწესებულების წესებზე.
- 2¹ - ამოღებულია
3. თუ ამ კანონის რომელიმე დებულება შეეხება საარბიტრაჟო სარჩელს, აღნიშნული დებულება გამოიყენება საარბიტრაჟო

შესაგებლის მიმართაც, გარდა ამ კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა.

1. მოცემული კანონით გათვალისწინებულია კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებთან და საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან შემხებლობა. კერძოდ, არბიტრთა დანიშვნის, აცილების, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხებზე მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში დაინტერესებულმა მხარემ უნდა მიმართოს იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა გაიმართოს საარბიტრაჟო განხილვა. არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებულ უთანხმოებაზე, არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობისა და აღსრულების, უშუალოდ სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების (მათ შორის უცხო ქვეყნებში მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვებზე), საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, საქართველოს ტერიტორიაზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საკითხებზე დაინტერესებულმა მხარემ უნდა მიმართოს შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მოტანილი საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხზე კომპეტენტურ სასამართლო ინსტანციას წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით არსებული რედაქცია ჩამოყალიბდა 2015 წლის მარტში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, რა დროსაც სააპელაციო სასამართლოების განსჯადობას დაემატა არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებული დავები, რაც მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა ეს პუნქტი კვლავ საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებას, რადგანაც დასადგენია სასამართლო

კომპეტენცია საერთაშორისო დავებზე ისეთი საარბიტრაჟო შეთანხმებებისათვის, სადაც დავის განხილვის ადგილად მითითებულია „საქართველო“, შესაბამისად გაურკვეველია როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განმხილველი უფლებამოსილი სასამართლოს საკითხი. ციფრული ტექნოლოგიების მიღწევებიდან გამომდინარე, კანონმა განსაზღვრა ელექტრონული შეტყობინების ცნება და მიუთითა, რომ ეს არის ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც მხარეები გადასცემენ საინფორმაციო შეტყობინების სახით და წარმოადგენს ინფორმაციას, რომელიც მომზადებულია, გაგზავნილია, მიღებულია ან შენახულია ელექტრონული, მაგნიტური, ოპტიკური ან მსგავსი საშუალებით, მათ შორის მონაცემთა ელექტრონული გადაცემით, ელექტრონული ფოსტით, ტელეგრაფით, ტელექსით ან ტელეფაქსით. ასევე აღსანიშნავია, რომ ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს (IBA) მიერ 2010 წლის 29 მაისს დამტკიცდა ასოციაციის მიერ მომზადებული წესები „საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულებების მოპოვების შესახებ“, ასევე 2019 წელს ქ.პრალაში ხელმოწერილი იქნა „საერთაშორისო არბიტრაჟში პროცესის ეფექტური ორგანიზაციის წესები“ ე.წ. „პრალის წესები“. აღნიშნული დოკუმენტები ბუნებრივია არ არის სავალდებულო ხასიათის მქონე, მაგრამ ემსახურება საარბიტრაჟო განხილვის სრულყოფას და მათი გამოყენება სასურველია. კომენტირებულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება მოყვანილ იქნეს ამონარიდი IBA-ის „წესებიდან“, რომელიც უკავშირდება ტერმინს „დოკუმენტი“ - „ნებისმიერი ტექსტი, შეტყობინება, კომუნიკაცია, გამოსახულება, ნახაზი, პროგრამა ან მონაცემი, დაფიქსირებული ან ქალაქში ნარმოდგენილი ელექტრონული, აუდიო, ვიზუალური ან სხვა საშუალებების გამოყენებით“. ელექტრონულ დოკუმენტთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2008 წლის 14 მარტს მიღებულმა კანონმა „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ განსაზღვრა როგორც ელექტრონული

დოკუმენტის ცნება — „ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული ნერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს“, ასევე ელექტრონულ დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობა და მისი განხორციელების კონკრეტული წესი. წინამდებარე კანონის მიერ აღნიშნული განმარტების შემოღებას არ აქვს მხოლოდ ტექნიკური ფუნქცია განსაზღვროს ტერმინი — „ელექტრონული შეტყობინება“, არამედ, პრაქტიკულად, მას აკისრია საქართველოში არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი როლი იმდენად, რამდენადაც უპირველეს ყოვლისა, კანონი ფეხდაფეხ მიჰყვება თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას და შესაბამისად, შემდგომში აღიარებს ელექტრონული შეტყობინების მეშვეობით დადებულ საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობას და არსებობას (გთხოვთ იხილოთ კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი). აღსანიშნავია, რომ ელექტრონული შეტყობინების გზით დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ გაეროს 1958 წლის 10 ივნისის კონვენციით არ ითვლება ნერილობითი ფორმით დადებულად, რაც კონვენციის წინა საუკუნეში მიღების დროისათვის შესაბამისი ტექნოლოგიების განუვითარებლობით და შემდგომი ცვლილებების განუხორციელებლობით არის გამოწვეული. აქედან გამომდინარე, ელექტრონული შეტყობინების გზით გაფორმებული საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის აღიარებაში და შემდგომში, ასეთი შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს იმ ქვეყნის შიდა კანონმდებლობა, კერძოდ კი ადგილობრივი კანონი არბიტრაჟის შესახებ, სადაც გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს. ამ შემთხვევაში სახეზეა ქართული კანონმდებლობის პროგრესულობა და თანამედროვე მიდგომა, რაც უფრო მიმზიდველს ხდის საქართველოს, რო-

გორც საარბიტრაჟო განხილვისთვის იდეალურ ფორუმს და ადგილს („*situs*“).

2. კანონის პირველი მუხლის კომენტირებისას აღინიშნა, რომ 2015 წლის მარტში განხორციელებული ცვლილების მიზანი იყო კანონში არსებული ხარვეზების დახვეწა და **ad hoc** არბიტრაჟის წარმოჩენა. ცვლილების არსის სწორად აღსაქმელად აუცილებელია ვნახოთ, თუ რას ითვალისწინებდა ცვლილებებამდე არსებული რედაქცია. კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სახით: „*ამ კანონის მიზნებისათვის, მხარეთა შეთანხმება მოიცავს იმ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დანესებულების საარბიტრაჟო წარმოების წესებს, რომელსაც მხარეებმა მიმართეს საარბიტრაჟო დავის გადასაწყვეტად*“. ამ ციტირებით ნათელია, რომ 2015 წლის მარტამდე არსებული რედაქცია არ ცნობდა მხარეთა ნების გამოვლინების საფუძველზე **ad hoc** არბიტრაჟის შექმნის შესაძლებლობას და კანონს მხოლოდ ე.წ. ინსტიტუციური არბიტრაჟი ჰქონდა მხედველობაში. ამ ფორმულირების დღევანდელ რედაქციასთან შედარებით აშკარაა, რომ მხარეებს **ad hoc** არბიტრაჟის შექმნის შესაძლებლობა მიეცათ, რაც საკმაოდ ლოგიკურია, რადგანაც, როგორც უკვე აღინიშნა, კანონი „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ უნსიტრალის („UNCITRAL“) მოდელური კანონის ბაზაზეა მიღებული, ხოლო მოდელური კანონი კი სპეციალურად მხოლოდ **ad hoc** არბიტრაჟისათვის არის შემუშავებული. ასეთი აშკარად პროგრესული ცვლილების მიუხედავად, ცვლილება მაინც ხარვეზიანია (*გთხოვთ იხილოთ პირველი მუხლის კომენტარი*) და სრულყოფას საჭიროებს (*მდგომარეობის გამოსწორების მიზნით შესაძლებელია მოცემული პუნქტის ჩამოყალიბება იმდაგვარად, რომ მეორე პუნქტის პირველ წინადადებაში მიეთითოს ad hoc არბიტრაჟის შესახებ, ან მე-2 მუხლს დაემატოს 2¹ პუნქტი, რომელშიც დაფიქსირდება ad hoc არბიტრაჟის განსაზღვრება*). როგორც ვხედავთ, დღეს არსებული რედაქციით მე-2 მუხლის მეორე პუნქტი სამი წინადადებისაგან შედგება

და თუ პირველი ორი ძირითადად **ad hoc** არბიტრაჟს ეხება (თუმცა ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო დაწესებულებას საკუთარი პროცედურული წესები გააჩნია, მხარეებს მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც აქვთ შესაძლებლობა კორექტივები შეიტანონ ამ წესებში და ამ დაწესებულების ადმინისტრირებით მოქმედი არბიტრაჟისათვის ეს ცვლილებები სავალდებულო იქნება), მესამე წინადადება საარბიტრაჟო დაწესებულებისადმია მიმართული. როგორც აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ საარბიტრაჟო დაწესებულებას თავისი დებულება გააჩნია, მხარეებს კანონის შესაბამისად თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ ამ დებულებისაგან განსხვავებული წესები და პროცედურები. თუ ასეთ განსხვავებულ დათქმას არ ექნება ადგილი, ასეთ შემთხვევაში კანონმდებელმა განსაზღვრა, რომ კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებაზე მითითება მოიცავს კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წარმოების წესებს (არბიტრაჟის დებულება). ამდენად, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან, რომ დავა ამა თუ იმ საარბიტრაჟო დაწესებულებამ განიხილოს, საქმის განხილვის პროცედურული წესები იქნება ამ არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესები, თუმცა, როგორც აღვნიშნე, ეს არ ართმევს მხარეებს უფლებას, გაითვალისწინონ საარბიტრაჟო განხილვის განსხვავებული წესები (როგორც მთლიანად, ასევე ცალკეულ საკითხებზე). აღნიშნული შესაძლებლობა კომენტარული ნორმიდან პირდაპირ გამომდინარეობს და პრაქტიკაში ასეთ დათქმებს უკვე აქვს ადგილი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მრავალ საარბიტრაჟო დაწესებულებას გააჩნია სტანდარტული/მოდელური დათქმა (*მხარეთა შორის დადებულ ძირითად ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო შეთანხმება — გთხოვთ იხილოთ მე-8 მუხლის კომენტარი*). მაგალითისათვის ვნახოთ საერთაშორისო სავაჭრო პალატის რეგლამენტით გათვალისწინებული სტანდარტული საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც შემდეგი შინაარსისაა: „*ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა ან გამომდინარეობს ამ ხელშეკრულებიდან საბოლოოდ უნდა*

იქნას განხილული და გადაწყვეტილი საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო რეგლამენტით (ნესებით) ამ რეგლამენტის შესაბამისად დანიშნული ერთი ან რამდენიმე არბიტრის მიერ“. ანალოგიური სტანდარტული საარბიტრაჟო შეთანხმება აქვს საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს (GIAC), ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA Court), დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტს (CI Arb), სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს (SIAC) და სხვა. როგორც ვხედავთ, ასეთ დათქმებში არ არის მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი, მაგრამ აზრად არავის მოუვა, რომ მხარეები ასეთი დათქმებით კონკრეტულ არბიტრაჟზე არ არიან შეთანხმებული. დებენ რა ასეთი შინაარსის საარბიტრაჟო შეთანხმებას, მხარეები ერთმნიშვნელოვნად გამოხატავენ ნებას, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში დავა განხილული იქნება იმ საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ, რომლის წესებით დავის გადაწყვეტაზეც შეთანხმდნენ მხარეები. სწორედ ასეთი განმარტება მიეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესებზე შეთანხმებული მხარეების საარბიტრაჟო დათქმას და განჩინებაში მიეთითა: „**მხარეები შეთანხმდნენ რა კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულების „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის“ საარბიტრაჟო წესებზე, უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მათ გამოხატეს ნება, რომ დავა კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულების „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი“-ს ადმინისტრირებით იქნას განხილული, რითაც უარი თქვას და გამორიცხეს სახელმწიფო სასამართლო იურისდიქცია**“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინება №2ბ/4905-16 საქმეზე). ანალოგიური განმარტება მიეცა საარბიტრაჟო შეთანხმებას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ. მხარეთა საარბიტრაჟო დათქმა ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სახით: „**ხელშეკრულების დამდები მხარეები შეთანხმდნენ მასზე, რომ ყველა ღონეს მიმართავენ, რათა პირდაპირი, არაოფი-**

ციალური მოლაპარაკებებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი, მათ შორის ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ სადავო საკითხებზე ვერ შეთანხმდებიან, ნებისმიერ მხარეს დავის გადანაცვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს არბიტრაჟს საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) წესების შესაბამისად. არბიტრაჟის ადგილია თბილისი, საქართველო, არბიტრაჟის ენა იქნება ინგლისური და ექვემდებარება ICC ინსტრუქციებს“. მითითებულ საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებს არ ჰქონდათ განსაზღვრული კონკრეტული არბიტრაჟი და, ამასთან მითითება, რომ მხარეს შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს, არ ნიშნავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ არბიტრაჟზე. შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე არსებითად განიხილა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის, კერძო კომპანიის მოსაზრება, რომ სახეზე იყო ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება, გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლო გადანაცვეტილება და შეწყვიტა საქმეზე წარმოება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ არსებობს წერილობითი შეთანხმება არბიტრაჟის შესახებ, განსაზღვრულია არბიტრაჟის ადგილმდებარეობა, საარბიტრაჟო წარმოების ენა და არბიტრების დანიშვნის წესი და რომ შესაბამისად, მოცემული დავა საერთო სასამართლოებს უწყებრივად არ ექვემდებარება. სააპელაციო სასამართლოს განჩინება პირველი ინსტანციის სასამართლო გადანაცვეტილების გაუქმების და საქმეზე წარმოების შეწყვეტის შესახებ უცვლელად იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. ამასთან, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისრა კომპანიის მიერ იურიდიული მომსახურებისათვის გაღებული სოლიდური ხარჯის, ანაზღაურებაც (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განჩინება №ას-148-140-2017 საქმეზე). აღნიშნულიდან სავსებით ცხადია, რომ ისევე როგორც მხარე-

თა შეთანხმება კონკრეტულ საარბიტრაჟო დანესებულებაზე მოიცავს შეთანხმებას ამავე საარბიტრაჟო დანესებულების ნესებზე, ასევე შეთანხმება საარბიტრაჟო დანესებულების ნესებზე მოიცავს შეთანხმებას დავის კონკრეტული საარბიტრაჟო დანესებულების ადმინისტრირებით განხილვაზე.

3. კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად დაცულია თანაფარდობა სარჩელის და საარბიტრაჟო შესაგებლის განხილვის პროცედურასთან მიმართებაში. კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად კანონით განსაზღვრული კონკრეტული ნორმა, რომელიც საარბიტრაჟო სარჩელს ეხება, ასევე შეეხება საარბიტრაჟო შესაგებელსაც. ამ წესიდან გამონაკლისია ამავე კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (გთხოვთ იხილოთ მითითებული მუხლის კომენტარი).

მუხლი 3. საარბიტრაჟო წარმოების მხარეთა თანასწორობა

საარბიტრაჟო წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს თავისი პოზიციის გამოხატვის სრული შესაძლებლობა.

საარბიტრაჟო წარმოების პროცესში მხარეებს გააჩნიათ თანაბარი უფლებები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებების მსგავსად. ხარის ასეთი უფლება არ არის უკონტროლო და ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ თავისუფლების ფარგლები არ არის რეგულირებული. კონკრეტულად, მოპასუხე მხარის ფუნდამენტური უფლებაა წარადგინოს შესაგებელი მის მიმართ აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით, შესაგებელში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებები, აღძრას შემხვედრი სარჩელი. მოსარჩელე მხარე სარგებლობს უფლებით წარადგინოს მოპასუხე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სანინალმდეგო მტკიცებულებები, ოღონდ ეს საარბიტრაჟო პრო-

ცესის მოსამზადებელ ეტაპზე ხდება და არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ ვადებში. ორივე მხარე თანაბრად სარგებლობს უფლებით დაუსვას ერთმანეთს კითხვები, მიიღოს მონაწილეობა არბიტრთა დანიშვნაში და ა.შ. სწორედ მხარეთა ასეთი თანაბრობიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო დანესებულებებმა თავის პროცედურულ წესებში/დებულებებში გაითვალისწინეს მხარეთა ჩართულობის ისეთი უპრეცედენტო შესაძლებლობა, როგორცაა საარბიტრაჟო განხილვის საკითხთა შესახებ არბიტრაჟის დადგენილების შედგენაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა და სავალდებულობაც კი (*ვთხოვთ იხილოთ კანონის 30-ე — 31-ე მუხლების კომენტარი*). კერძოდ, არბიტრაჟი, კონკრეტული საქმის მასალიდან გამომდინარე, ადგენს რა ასეთი დადგენილების პროექტს, მას სწორედ მხარეთა უფლებების თანაბრობის პრინციპიდან გამომდინარე, ორივე მხარეს უგზავნის და აძლევს მათ თანაბარ შესაძლებლობას შეიტანონ კონკრეტული კორექტივები და თავად განსაზღვრონ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განსახილველ საკითხთა წრე. ასეთი ნოვაცია ბუნებრივია გამორიცხავს მხარის პრეტენზიის შესაძლებლობას, რომ მას რაიმე საკითხის განხილვის შესაძლებლობა არ მიეცა. შესაბამისად, სწორედ მოცემული კანონის მიღებამდე არსებული სუბიექტივიზმის გამორიცხვას ემსახურება. აღნიშნული თანასწორობა საარბიტრაჟო პროცესში ამასთანავე უზრუნველყოფს ასეთი საარბიტრაჟო პროცესის შედეგად მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობას როგორც საქართველოში, ისე საქართველოს საზღვრებს გარეთ. საარბიტრაჟო პროცესის მონაწილე მხარის თანაბრობის უფლების დარღვევა წარმოადგენს ისეთ უხეშ დარღვევას, რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან მისი ცნობისა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველია. შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალი, იქნება ეს **ad hoc** არბიტრაჟი, თუ საარბიტრაჟო დანესებულების ადმინისტრირებით წარმართული (**ინსტიტუციური არბიტრაჟი**), ვალდებულია განუხრელად დაიცვას მხარეთვის საკუთარი პოზიციის გამოხატვის უფლება, ხოლო ასეთი შესაძლებლო-

ბით მხარე ისარგებლებს თუ არა, ეს უკვე აღარ იქნება მთავარი (გთხოვთ იხილოთ 31-ე მუხლის კომენტარი). მხარეთა უფლებების ბალანსის დამრღვევი საარბიტრაჟო განხილვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას ან მისი ცნობისა და აღსრულებაზე უარის თქმის უდავო საფუძველია (გთხოვთ იხილოთ 42-ე და 45-ე მუხლების კომენტარი).

მუხლი 4. გადაწყვეტილების მიღების უფლების გადაცემა მესამე პირისათვის

მხარეებს უფლება აქვთ, მათთვის ამ კანონით მინიჭებული გადაწყვეტილების მიღების უფლება გადასცენ მესამე პირს

განსახილველი ნორმა ზოგადად მიუთითებს მხარეების უფლებაზე, გადაწყვეტილების მიღების უფლება გადასცენ მესამე პირს. შესაბამისად ნათელია, რომ ასეთი უფლება კონკრეტული მხარის აბსოლუტური უფლებაა და მხარე შეზღუდული არ არის მის არჩევანში. მას უფლება აქვს, მოცემული კანონით მინიჭებული ნებისმიერი უფლება გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს სამოქალაქო კოდექსით და საარბიტრაჟო განხილვის შეთანხმებული წესების შესაბამისად. მაგალითად, მიანიჭოს საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილება და მისი სახელით და პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების უფლების შესახებ სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე გაცემულ დოკუმენტში — იურიდიული პირის შემთხვევაში ეს უნდა დადასტურდეს იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (სამენარმეო რეეტრში რეგისტრირებული) მიერ გაცემულ რწმუნებულებაში, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში — სანოტარო წესით დამოწმებულ რწმუნებულებაში. საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში მიღებულია მხარეთა ისეთი შეთანხმება, რომლის დროსაც მხარეები თანხმდებიან სუბიექტზე, რომელიც მათ მაგივრად შეარჩევს და დანიშნავს არბიტრ(ებ)ს. ეს შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური პირი, ასევე საარ-

ბიტრაჟო დანესებულება ან სხვა ორგანო, მაგალითად სავაჭრო პალატა, როგორც დამნიშვნელი ორგანო (ე.წ. **Appointing authority** – მხარეთა შეთანხმებით ან კანონით განსაზღვრული პირი ან დანესებულება, რომელმაც უნდა დანიშნოს არბიტრ(ებ)ი). უმეტესწილად, დამნიშვნელი ორგანოსადმი მიმართვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეები დავის წარმოშობის შემდეგ ვერ ასრულებენ არბიტრ(ებ)ის დანიშვნის ვალდებულებას ან ვერ თანხმდებიან იმ არბიტრ(ებ)ზე, რომელთა დანიშვნაც მათი ერთობლივი შეთანხმებით უნდა მოხდეს. რიგ შემთხვევებში, საარბიტრაჟო დანესებულების წესები დამნიშნავ ორგანოს ასევე უფლებას აძლევს, გადაწყვიტოს არბიტრების აცილების საკითხი, დანიშნოს შემცვლელი არბიტრ(ებ)ი ან შეასრულოს სხვა ფუნქციები. დამნიშნავი ორგანოს შექმნა და მისი კომპეტენცია მოცემულია **UNCITRAL**-ის მოდელური კანონის მე-6, მე-11, მე-13, მე-14, მე-16, 34-ე მუხლებში. დამნიშნავი ორგანო, დანიშნულების არსიდან გამომდინარე, ცხადია მხოლოდ **ad hoc** არბიტრაჟისათვისაა განკუთვნილი.

მუხლი 5. უზღუდამონაცვლეობა საარბიტრაჟო წარმოებისას

1. სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამონაცვლეობის დროს უფლებამონაცვლე ხდება ასევე საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
 2. ერთ-ერთი მხარის გარდაცვალება ან ლიკვიდაცია არ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების გაუქმებას ან უკვე დანიშნული არბიტრის შეცვლას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
1. საარბიტრაჟო განხილვის პროცესში შესაძლებელია უფლებამონაცვლეობა, რომლის დროსაც მხარეები უშუალოდ არ არიან საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილენი, ანუ უშუალოდ

არ შეთანხმებულან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ, მაგრამ მათზე ავტომატურად ვრცელდება უკვე არსებული საარბიტრაჟო შეთანხმების პირობები. ასეთ შემთხვევასთან გვექნება საქმე: მოთხოვნის უფლების დათმობის დროს, როდესაც მოთხოვნის უფლების მფლობელი მოვალის მიმართ მის უფლებას გადასცემს მესამე პირს (ცესია, სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლი - უფლების გადაცემის შესახებ მოთხოვნის მფლობელსა (ცედენტი) და მესამე პირს (ცესიონერი) შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ძალითაც მოთხოვნის უფლების მქონე (ცედენტი) ამ უფლებას გადასცემს მესამე პირს (ცესიონერი), რომელიც ასეთი ხელშეკრულების საფუძველზე იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს და ხდება ახალი კრედიტორი. თავისთავად ცხადია, რომ მას მოვალესთან საარბიტრაჟო შეთანხმება დადებული არა აქვს. აღნიშნულის მიუხედავად, თავდაპირველ მევალეს, მოთხოვნის მფლობელსა და მოვალეს შორის დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება სრული მოცულობით ინარჩუნებს ძალას, რადგანაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ მოთხოვნის უფლების დათმობა არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულების დადება არ მოითხოვს მოვალის თანხმობას და ამავე კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნის უფლება, როგორც საკუთრების ობიექტი, ახალ სუბიექტზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ. პირი საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე გახდება მაგალითად ვალის გადაკისრებისას (სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ვალის გადაკისრება დაიშვება მხოლოდ მოთხოვნის მფლობელთან შეთანხმებით და ასეთი გარიგება მასსა და მესამე პირთან იდება, შესაბამისად მესამე პირი ხდება თავდაპირველ მოვალესა და კრედიტორს შორის დადებული საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული). ანალოგიური მდგომარეობა გვექნება სუბროგაციისას (ზიან-

ის ანაზღაურების უფლების გადასვლა მზღვეველზე, სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის პირველი ნაწილი), იჯარის და სხვა ტიპის ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მხარის შეცვლისას. ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო შეთანხმების შენარჩუნება სრულად შეესაბამება საპროცესო უფლებამონაცვლეობას. ამდენად, მოცემულმა სამართლებრივმა ნორმამ სწორად განსაზღვრა, რომ უფლებამონაცვლე ხდება ასევე საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე. ასე მაგალითად, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და კერძო კომპანიას გათვალისწინებული ჰქონდათ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების საარბიტრაჟო წესით განხილვა. ხელშეკრულების დადების შემდეგ მოხდა შემსრულებლის ჩანაცვლება სხვა კერძო კომპანიით. დამკვეთმა მიმართა სასამართლოს, ხოლო მოპასუხემ იშუამდგომლა სასამართლო განხილვის შეწყვეტის შესახებ საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის გამო. ბათუმის საქალაქო სასამართლომ დავა არსებითად განიხილა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა კერძო კომპანიამ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ შეწყვიტა წარმოება საქმეზე და ჩათვალა, რომ კერძო კომპანია სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებაში ჩანაცვლების გამო წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეს ძირითად ხელშეკრულებაში უფლებამონაცვლეობის გამო. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დატოვა უცვლელი, ამასთან ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დააკისრა როგორც სასამართლო, ასევე იურიდიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაც (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განჩინება №ას-148-140-2017 საქმეზე). საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე ხდება აგრეთვე კაპიტალურ საზოგადოებაში აქციების, წილის შემძენი, თუ ასეთი საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტებში, მათ შორის წესდებაში, არსებობს მოცემული კანონის მოთხოვნების შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება. თავისთავად ივარაუდება, რომ საზოგადოების აქციის/წილის

შემძენი გაცნობილია საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და მისი მხრიდან განხორციელებული გარიგება საარბიტრაჟო შეთანხმების მოწონებად და დასტურად უნდა ჩაითვალოს. უფლებამონაცვლეობასთან გვექნება საქმე იურიდიული პირების რეორგანიზაციისას განხორციელებული შერწყმისას (მაგალითისათვის — უკანასკნელ წლებში განხორციელდა ერთი საბანკო დაწესებულების მიერ მეორე საბანკო დაწესებულების შერწყმის რამდენიმე სხვადასხვა შემთხვევა და რეორგანიზაციის შედეგად ის საბანკო დაწესებულება, რომელსაც შეერწყა სხვა საბანკო დაწესებულება, უფლებამონაცვლეობის გზით ავტომატურად გახდა ამ უკანასკნელსა და მის კონტრაქტებთან არსებული საარბიტრაჟო დათქმის მონაწილე) და ა.შ. უფლებამონაცვლეობასთან გვექნება საქმე იპოთეკით დატვირთული ქონების გასხვისებისას, როდესაც იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრე გაასხვისებს იპოთეკით დატვირთულ ქონებას და ახალი შემძენი ცხადია, ვერ იქნება უკვე არსებული საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე, მაგრამ უფლებამონაცვლეობის წესით იკავებს თავდაპირველი მესაკუთრის ადგილს და ხდება იპოთეკართან არსებული საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე. აქვე პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, სხვა შემთხვევაში (უფლებამონაცვლეობის გარდა) შეიძლება თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმების გავრცელება მესამე პირებზე. კომენტარული კანონი ასეთ შესაძლებლობას პირდაპირ არ ითვალისწინებს, მაგრამ საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკისათვის ეს უცხო არ არის. ასეთი შემთხვევები არსებობს ე.წ. „ალტერ-ეგო“-ს (**Alter Ego**) დროს, როდესაც გარკვეული გარემოებების არსებობისას ხელმომწერ და არახელმომწერს შორის განსხვავება მხოლოდ თაღლითობის თუ უკანონობის დასაფარადაა გამოგონილი. მაგალითად, საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე შვილობილი კომპანიაა, მაგრამ ყველა ტრანზაქციის კონტროლი და მართვა ხორციელდება დედა კომპანიის მიერ, რომელიც არ არის საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე. აშშ-ს სასამართლო პრაქტიკის თანახმად განისაზღვრა ე.წ. „საბაზისო ჩამონათვალი“, როდესაც შვილობილი კომპანია დედა კომპანიის ალტერ-ეგოა. ასეთი შემთხ-

ვევები, როდესაც: დედა და შვილობილ კომპანიას: აქვთ აქციები საერთო საკუთრებაში, ჰყავთ საერთო დირექტორი და ხელმძღვანელები; აქვთ საერთო ეკონომიკური სტრუქტურები; დედა კომპანია აფინანსებს შვილობილ კომპანიას ან/და ახდენს მის ინკორპორაციას; დედა კომპანია ახდენს შვილობილი კომპანიის სახელფასო ვალდებულებების დაფარვას; შვილობილი კომპანიის დაფინანსების წყარო დედა კომპანიაა; დედა კომპანია შვილობილი კომპანიის ქონებას იყენებს, როგორც საკუთარს; ამ ორი კომპანიის ყოველდღიური ოპერაციები არ ინახება ერთმანეთისაგან განცალკევებით; შვილობილი კომპანია არ აწარმოებს კომპანიის ფორმალურ მხარეს და ა.შ. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ამ პირობების კუმულატიურად არსებობა სრულებითაც არ არის სავალდებულო. ერთ-ერთი პირობის არსებობა ყოველ კონკრეტულ საქმეში უნდა შეფასდეს სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში. ცნობილია აგრეთვე „კომპანიების ჯგუფის“ დოქტრინაც, რომელშიც მოიაზრება ერთი და იმავე პირის ან პირების მიერ კონტროლირებადი რამდენიმე იურიდიული პირი. კონტროლი შეიძლება გამოიხატოს დედა კომპანიის მიერ მისი შვილობილი კომპანიის ფინანსების მართვაში ან მაკონტროლირებელი კომპანიის მიერ გადაწყვეტილების მიღებაში ჩარევით, როდესაც შვილობილი კომპანია იღებს გადაწყვეტილების მიღებას. კანონმა ამ წესიდან დაუშვა ერთი გამონაკლისი, როდესაც დაადგინა, რომ სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამონაცვლეობა არ გამოიწვევს ჩანაცვლებული მხარის საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილედ გახდომას და ეს დაუკავშირა ძირითად ხელშეკრულებაში შესაძლო სხვაგვარ გადაწყვეტას.

2. თუ მოცემული მუხლის პირველი ნაწილი გარკვეულ დათქმას ითვალისწინებს საარბიტრაჟო შეთანხმების შენარჩუნებასთან დაკავშირებით, მუხლის მეორე ნაწილი საარბიტრაჟო შეთანხმების უპირობო შენარჩუნებაზე მიუთითებს ფიზიკური პირის გარდაცვალებისა ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ აღნიშნულის გამომრიცხავი შეთანხმება მხარეების მიერ წინასწარ არ არის დათქმული.

მუხლი 6. არბიტრაჟის დამოუკიდებლობა და სასამართლოს ჩარევის შემთხვევები

1. არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურით, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.
2. დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.
 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით აღიარებული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის და კერძო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის — კერძო ავტონომიის პრინციპის თანხმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას (სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი). სწორედ ასეთი თავისუფლების პირობებში, მხარეებს აქვთ შესაძლებლობა კერძო ხასიათის ქონებრივი — სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა განსახილველად გადასცენ მათ მიერ შერჩეულ არბიტრაჟს (როგორც დროებით, სპეციალურად მათი კონკრეტული დავისათვის შექმნილ *ad hoc* არბიტრაჟს, ასევე საარბიტრაჟო დანესებულების ადმინისტრირებით განმხილველ არბიტრაჟს - „ინსტიტუციური არბიტრაჟი“), რისი წინაპირობა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობაა. ასეთ მხარეთა დავას არბიტრაჟი განიხილავს მოდავე მხარეთა შეთანხმებით დადგენილი ან საარბიტრაჟო დანესებულების მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურით, მოცემული კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

2. სწორედ ზემომოყვანილი მსჯელობა მხარეთა ავტონომიის და თავისუფლების შესახებ ცხადყოფს არბიტრაჟის, როგორც ინსტიტუტის დამოუკიდებლობას და ყოვლად დაუშვებელია სასამართლოს მიერ არბიტრაჟის საქმიანობაში ჩარევა და ინტერვენცია, კანონით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა. კანონმა განსაზღვრა ის მინიმალური სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს საერთო სასამართლოს ჩარევას საარბიტრაჟო დავის განხილვისა და არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის ეტაპზე. მოცემული კანონის თანახმად, საერთო სასამართლოს ჩარევა გათვალისწინებულია შემდეგ შემთხვევებში: არბიტრის დანიშვნის საკითხში მხარეთა შეუთანხმებლობისას (მე-11 მუხლი), ასევე მხარეთა შეთანხმების არარსებობისას არბიტრის აცილებისას (მე-13 მუხლი), არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტისას (მე-14 მუხლი), არბიტრაჟის კომპეტენციაზე დავის განხილვისას (მე-16 მუხლი), არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობისა და აღსრულებისას (21-ე და 22-ე მუხლები), საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების უშუალოდ სასამართლოს მიერ გამოყენებისას (23-ე მუხლი), საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვისას (42-ე და 43-ე მუხლები) და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხის განხილვისას (44-ე და 45-ე მუხლები). აღნიშნულ საკითხებზე უფრო ვრცლად მითითებულია შესაბამისი მუხლის კომენტარში. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში 2015 წლის 18 მარტს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, შემცირდა პირველი ინსტანციის სასამართლოს შემხებლობა საარბიტრაჟო საქმიანობასთან და შესაბამისად გაიზარდა სააპელაციო სასამართლოს კომპეტენცია. თუ ამ ცვლილებებამდე არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხზე დავას პირველი ინსტანციის სასამართლო იხილავდა, ახალი ცვლილებით, რაც დაფიქსირდა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით, ეს ფუნქცია სააპელაციო სასამართლოს გადაეცა, რაც საკმაოდ დადებითი

მომენტი. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საქართველოში არსებული თანამედროვე საკანონმდებლო ბაზისა, საქართველოს სასამართლოები ფეხდაფეხ, სათანადოდ ვერ მიჰყვებიან არბიტრაჟის როგორც ინსტიტუტის განვითარებას საქართველოში. კერძოდ, მხარეთა ავტონომია და თავისუფლება დავის გადასაწყვეტად მიმართონ არბიტრაჟს სასამართლოს ნაცვლად, ავტომატურად გულისხმობს იმ კონკრეტული საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციურობის აღიარებას მხარეთა მიერ, რომელსაც მათ მიმართეს და შესაბამისად, ამ ტრიბუნალის მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების (შინაარსის და მიუხედავად) მატერიალური ნაწილის, შინაარსის უცილობლად აღიარებას. სწორედ აქედან გამომდინარეობს არბიტრაჟის ინსტიტუტში, სასამართლოებისაგან განსხვავებით, აპელაციის და კასაციის მექანიზმების არარსებობა (*გთხოვთ იხილოთ 42-ე მუხლის კომენტარი*). აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ზემოთქმულისა და მიუხედავად კანონში არსებული წინამდებარე დათქმისა, საქართველოში არსებობს ძალზედ მანკიერი პრაქტიკა, როდესაც სასამართლოები გარკვეულ შემთხვევებში უხეშად ერევიან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მატერიალურ, შინაარსობრივ ნაწილში ცნობა-აღსრულების და გაუქმების ეტაპზე, საკუთარი ინიციატივით საზღვრავენ პირგასამტეხლოს ოდენობას, რითაც ახდენენ ინტერვენციას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების და მხარეთა შეთანხმების შინაარსში, რაც ცალსახად დამანგრეველია არბიტრაჟის საქართველოში ფეხის მოკიდებისთვის და სათანადოდ განვითარებისთვის. სასამართლოები მსგავს გადაწყვეტილებებში არსებითად იშველიებენ „საჯარო წესრიგის“ არგუმენტს და სწორედ მის საფუძველზე, იმ არგუმენტით რომ კონტრეტული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს „საჯარო წესრიგს“, ცვლიან გადაწყვეტილების შინაარსს (*აღნიშნულზე გთხოვთ იხილოთ 45-ე მუხლის კომენტარი*). მრავალი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა მეტყველებს, რომ სასამართლოები არ შედიან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების არსებით შეფასებაში კანონით

დადგენილი იშვიათი გამონაკლისის გარდა. მაგალითად, შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს 2019 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით არ იქნა დაკმაყოფილებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საჩივარი სპორტული არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმებაზე. მითითებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით გაუქმდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება სოჭის (რუსეთის ფედერაცია) 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებში 2 ოქროს მედლის მომპოვებელი მოთხილამურის დისკვალიფიკაციის და ოქროს მედლების ჩამორთმევის შესახებ. შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ის არ შედის არბიტრაჟის მიერ განხილული საკითხის არსებით განხილვაში და არ ახდენს გადაწყვეტილების რევიზიას, რადგანაც „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ შვეიცარიის კანონი, ნიუ-იორკის 1985 წლის კონვენციის მსგავსად ადგენს საგამონაკლისო ნორმებს, რაც სპორტული არბიტრაჟის მიერ არ ყოფილა დარღვეული. ასეთი მაგალითები საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში მრავლადაა.

მუხლი 7. ვადები

1. ამ კანონით დადგენილი დღეებით გამოსათვლელი ვადის დინება იწყება იმ მოვლენის დადგომის შემდეგი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.
 1. მოცემული კანონი გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით აწესებს კონკრეტულ ვადებს. ასე მაგალითად, არბიტრის დანიშვნის, აცილების, უფლებამოსილების შეწყვეტის, არბიტრაჟის კომპეტენციის განსაზღვრის, გადაწყვეტილების გამოტანის,

მისი შესწორების, განმარტების, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმების განხილვის საკითხებზე დაწესებულია კონკრეტული და დიფერენცირებული ვადები. ეს კანონისმიერი ვადებია და ნიშნავს, რომ კონკრეტული მოქმედება ამ ვადაში უნდა შესრულდეს და თავისთავად ცხადია, ასეთი ვადა გაგრძელებას არ ექვემდებარება. ამ ვადის დინება იწყება იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. კანონმა მხარეებს მისცა შესაძლებლობა ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრონ კანონისმიერი ვადის დინების საწყისი თარიღი. როგორც წესი, მხარეებს ასეთ საკითხზე შეთანხმება არ გააჩნიათ, თუმცა ამის შესაძლებლობას მათ კანონი აძლევს და ეს შესაძლებლობა სწორედ რომ არბიტრაჟში მხარეების თავისუფლებისა და ავტონომიურობის პრინციპებიდან გამომდინარეობს. კანონი ასევე ითვალისწინებს ვადას, რომელიც მხარეებმა ან არბიტრაჟმა შეიძლება განსაზღვროს. ესაა მოპასუხის მიერ საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენის ვადის საკითხი. კანონის 30-ე მუხლის თანახმად ასეთი ვადა შეიძლება დაწესდეს მხარეთა შეთანხმებით, ან არბიტრაჟის მიერ. მართალია კანონი არაფერს მიუთითებს, მაგრამ საარბიტრაჟო დაწესებულებების საარბიტრაჟო განხილვის წესები/დებულებები ითვალისწინებენ ასეთი ვადის გაგრძელების შესაძლებლობას კონკრეტული პატივსაღები მიზეზის არსებობის შემთხვევაში.

2. თუ კანონისმიერი ან არბიტრაჟის მიერ/მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ვადა ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ ვადის დენა უნდა დაიწყოს კონკრეტული თარიღიდან, რომელიც უქმე ან დასვენების დღეა, ვადის დენა მაინც ამ დღიდან დაიწყება, ხოლო ვადის დამთავრების დღედ ითვლება არასამუშაო/უქმე დღის მომდევნო სამუშაო დღე, თუ ვადა ვადის არასამუშაო/უქმე დღეს. კანონი პირდაპირ არ ითვალის-

წინებს საპროცესო მოქმედების შესრულების ფორმას, მაგრამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კანონისმიერი ვადა ძირითადად არბიტრაჟისათვის/სასამართლოსათვის მიმართვის ვადაა, უნდა ვიხელმძღვანელოთ წინამდებარე კანონის ან/და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არბიტრაჟებისაგან განსხვავებით, საერთო სასამართლოებში დოკუმენტის ელექტრონული სახით წარდგენა ამ ეტაპზე, სამწუხაროდ არ არის გათვალისწინებული და, შესაბამისად, ვადა არ იქნება გასული, თუ შესაბამისი მხარე წერილობით დოკუმენტს სასამართლოში წარადგენს საპროცესო ვადის ბოლო დღის სამუშაო საათების დარღულებამდე, ან საპროცესო მოქმედებას შეასრულებს ვადის უკანასკნელი დღის 24 საათამდე საფოსტო დანესებულების მეშვეობით. რაც შეეხება საარბიტრაჟო დანესებულებებს, მათი გარკვეული ნაწილი უკვე გადასულია ელექტრონულ საქმისწარმოებაზე და მოცემული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დაცვით, ასეთ საარბიტრაჟო დანესებულებაში დოკუმენტის მიწოდება შესაძლებელია ელექტრონული შეტყობინების სახითაც.

თავი №2 საარბიტრაჟო შეთანხმება

მუხლი 8. საარბიტრაჟო შეთანხმების ცნება და ფორმა

1. საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.
2. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით.

3. საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით.
4. საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ მისი შინაარსი დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით, მიხედვად საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების დადების ფორმისა.
5. საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი ფორმით დადების შესახებ მოთხოვნა სრულდება ელექტრონული შეტყობინებით, თუ შეტყობინებაში მოცემული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისი შემდგომი გამოყენებისათვის.
6. საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელსა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას.
7. ხელშეკრულებაში არსებული მითითება ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას, არის წერილობითი ფორმის საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ ამგვარი მითითება აღნიშნულ დათქმას ხდის ხელშეკრულების ნაწილად.
8. თუ ხელშეკრულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობით, ისეთი დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ. ასეთ შეთანხმებაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-4-მე-6 პუნქტები.
9. პუნქტი ამოღებულია (26.03.2015 წ.)
 1. როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს „ერთჯერადი არბიტრაჟი“ - **ad hoc** არბიტრაჟი და „ინსტიტუციური არბიტრაჟი“ (გთხოვთ იხილოთ პირველი მუხლის კომენტარი). ნებისმი-

ერ მათგანში საარბიტრაჟო განხილვის დანყების საფუძველია საარბიტრაჟო შეთანხმება. საარბიტრაჟო შეთანხმება წარმოადგენს კერძოსამართლებრივ შეთანხმებას, მხარეთა წერილობითი ფორმით გამოხატულ სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებას მათი საპროცესო ურთიერთობის ფორმის, საარბიტრაჟო განხილვის არჩევის შესახებ. აღნიშნული შეთანხმებით მხარეები, ცალკეული გამონაკლისის გარდა (*გთხოვთ იხილოთ მოცემული მუხლის მე-2 პუნქტის კომენტარი*), განსაზღვრავენ საარბიტრაჟო განხილვისას მათ საპროცესო უფლებებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმება წარმოადგენს რა შერეული ბუნების (მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო-სამართლებრივი) სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებას, მასზე სრულად ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები გარიგების შესახებ. კანონის კომენტირებული მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე (*გთხოვთ ასევე იხილოთ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის კომენტარი*). პირველი მუხლის კომენტირებისას აღინიშნა, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი სრულად ეფუძნება მოდელურ კანონს და კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებული იყო „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელურ კანონთან. მოდელური კანონის შესაბამისი მუხლის (მე-7 მუხლი) თანახმად: **„საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება მხარეთა შორის, გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან გარკვეული სახის დავები, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის სახელშეკრულებო**

თუ სხვა განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით“. საარბიტრაჟო შეთანხმების არსის თაობაზე ზუსტად ანალოგიური განსაზღვრებაა დაფიქსირებული „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ ნიუ-იორკის 1985 წლის 10 ივნისის კონვენციაში. მის ინგლისურენოვან ორიგინალში (მე-2 მუხლის პირველი პუნქტი) ვკითხულობთ: *„Each Contracting State shall recognize an agreement in writing under which the parties undertake to submit to arbitration all or any differences which have arisen or which may arise between them in respect of a defined legal relationship, whether or not, concerning a subject matter capable of settlement by arbitration“*. აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების არსი რუსულენოვან ოფიციალურ ტექსტშიც იგივენაირად არის მითითებული: *„Каждое Договаривающееся Государство признает письменное соглашение, по которому стороны обязуются передавать в арбитраж все или какие-либо споры, возникшие или могут возникнуть между ними в связи с каким-либо конкретным договорным или иным правоотношением, объект которого может быть предметом арбитражного разбирательства“*. აღნიშნულის საფუძველზე სრულიად აშკარაა, რომ კომენტირებული ნორმა არსებითად არის აცდენილი როგორც ნიუ-იორკის 1985 წლის კონვენციის, ასევე მოდელური კანონის (2006 წლის რედაქციით) განსაზღვრებას, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა ეფუძნებოდეს სახელშეკრულებო ან სხვა, **განსაზღვრულ** სამართლებრივ ურთიერთობას, ანუ კონვენციის და მოდელური კანონის თანახმად მხარეებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული, რომ მათ შორის კონკრეტულად განსაზღვრულ, კონკრეტული ხელშეკრულებიდან ან წინასწარ **განსაზღვრული** და არა ნებისმიერი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე საკითხებზე არ შეეძლებათ დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვა, რადგანაც საარბიტრაჟო შეთანხმების დადებით მხარეები ნებაყოფლობით აცხადებენ უარს სასამართლო განხილვაზე და ეს სრულად **გამორიცხავს**

სასამართლო განხილვის შესაძლებლობას (გთხოვთ იხილოთ მე-9 მუხლის კომენტარი). ასეთი შედარებითი ანალიზით ნათელია, რომ კომენტირებული ნორმა არ ასახავს იმ დეკლარირებულ სულისკვეთებას, რომ კანონი მთლიანობაში წარმოადგენს ჩვენი კანონმდებლობის საერთაშორისო საარბიტრაჟო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ნათელ დადასტურებას და გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 11 დეკემბრის №40/72 და 2006 წლის 4 დეკემბრის 64-ე პლენარული სხდომის იმ რეზოლუციების აღქმას, რომლებითაც საერთაშორისო თანამეგობრობას მოეწოდა მხედველობაში მიეღო სავაჭრო სამართლის კომისიის, UNCITRAL-ის მიერ მიღებული მოდელური კანონი „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“. ასეთი პრინციპული ხასიათის ხარვეზის საფუძველზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება აღუსრულებელი აღმოჩნდეს, რაც სრულებითაც არ არის კანონის მიზანი. პირიქით, როგორც კანონის პირველი მუხლის პირველივე პუნქტშია მითითებული, კანონის მიზანი მისი აღსრულებაა. ამასთან, ნიუ-იორკის კონვენციაზე საქართველოს მიერთებით (რეტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით), ამ კონვენციის მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე აღსრულებას ექვემდებარება საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებიც და თავისთავად ცხადია, რომ კონვენციის მოთხოვნების შეუსაბამო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღუსრულებელი იქნება. ასეთი საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრამდე, კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი უნდა აღვიქვათ შემდეგი სახით: **„საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე“**. აღნიშნული კი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტთან, რომლის თანახმად „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშო-

რისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ“. ანალოგიური განსაზღვრებაა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტშიც.

2. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც UNCITRAL-ის მოდელური კანონი, საარბიტრაჟო შეთანხმების ორ ფორმას ითვალისწინებს: კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმის სახით და, მითითებულ ხელშეკრულებაში ასეთი დათქმის არ არსებობისას, ცალკე შეთანხმების სახით. შესაბამისად, როდესაც მხრეები აფორმებენ რაიმე სახის ხელშეკრულებას (ნასყიდობა, საბანკო კრედიტი, სესხი, ნარდობა, იჯარა და ა.შ.), ამ ხელშეკრულებაში ერთ-ერთი პუნქტის სახით შესაძლებელია გაითვალისწინონ მათ შორის წარმოშობილი სადავო საკითხების საარბიტრაჟო წესით განხილვა (**მაგალითისათვის: მხარეებს დადებული აქვთ ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მენარდემ დამკვეთის სასარგებლოდ უნდა შეასრულოს გარკვეული სამუშაო. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი ეხება მხარეთა შორის წამოჭრილი დავის საარბიტრაჟო წესით გადაწყვეტას, რაც წარმოადგენს საარბიტრაჟო დათქმას**). პრაქტიკაში ასევე ვხვდებით დამოუკიდებელ საარბიტრაჟო შეთანხმებას, რომელიც მხარეების მიერ ფორმდება დავის წარმოშობის შემდეგ დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით (**მაგალითად: მხარეთა შორის დადებულ ნარდობის ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული დავის გადაწყვეტის წესი და მხარეები საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ხელშეკრულებას აფორმებენ მათ შორის დავის წარმოშობის შემდეგ**). საარბიტრაჟო შეთანხმებების შედგენისას მნიშვნელოვანია ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ 2010 წლის ოქტომბერში შემუშავებული, საუკეთესო საარბიტრაჟო პრაქტიკაზე დამ-

ყარებული „საარბიტრაჟო დათქმების შედგენის სახელმძღვანელო პრინციპები“-ს გათვალისწინება ორივე ტიპის არბიტრაჟის შემთხვევაში. აღნიშნული მართალია სარეკომენდაციო ხასიათისაა, მაგრამ მათი გათვალისწინება უზრუნველყოფს ასეთი შეთანხმებების (დათქმების) ეფექტურობასა და საარბიტრაჟო გადანყვეტილებების აღსრულებადობას. საარბიტრაჟო შეთანხმების ორივე ფორმა (საარბიტრაჟო დათქმა და დამოუკიდებელი საარბიტრაჟო შეთანხმება) თანაბრად ეხება როგორც **ad hoc**, ასევე **ინსტიტუციურ არბიტრაჟს**. შესაბამისად ნათელია, რომ ასეთი არბიტრაჟებისათვის განსხვავებული შინაარსის შეთანხმებები იქნება. ასე მაგალითად, **ad hoc** არბიტრაჟის შემთხვევაში, როდესაც ორივე მხარე საქართველოს რეზიდენცია, საარბიტრაჟო დათქმისათვის სავსებით საკმარისია ძირითადი ხელშეკრულების ტექსტში ასეთი სახის ჩანაწერის არსებობა: **„მხარეები ვთანხმდებით, რომ ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა ან დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებასთან, მის დარღვევასთან, შეწყვეტასთან ან ბათილად ცნობასთან, საბოლოოდ უნდა იქნას გადანყვეტილი არბიტრაჟის მიერ“**. საერთაშორისო ელემენტის შემცველ ხელშეკრულებაში კი სასურველია მიეთითოს გამოსაყენებელი სამართალი, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამოსაყენებელ სამართალთან დაკავშირებული გაუგებრობები (გთხოვთ იხილოთ **36-ე მუხლის კომენტარი**). მიუხედავად იმისა, რომ ასეთ საარბიტრაჟო დათქმაში არ არის განსაზღვრული არანაირი პროცედურული საკითხი (განხილვის ადგილი, არბიტრთა რაოდენობა, ტრიბუნალის ფორმირების წესი და ა.შ., თუმცა სასურველია ამაზე მითითებაც — **აღნიშნულის შესახებ მითითებულია შესაბამისი მუხლების კომენტარში**), საარბიტრაჟო დათქმის ასეთი ფორმულირება ნათლად გამოხატავს მხარეთა განზრახვას დავის საარბიტრაჟო წესით განხილვის თაობაზე, შესაბამისად ასეთი საარბიტრაჟო დათქმის არსებობის დროს გამოირიცხება სასამართლო განხილვა. რაც შეეხება ასევე **ad hoc** არბიტრაჟის შემთხვევაში საარბიტრაჟო შეთანხმებას, ის შეიძლება დაიდოს უკვე დავის წარმოშობის შემთხვევაში და მიეთითოს

კონკრეტული დავის თაობაზე და რომ მხარეები დავას გადაწყვეტენ საარბიტრაჟო განხილვის გზით. ასეთი საარბიტრაჟო შეთანხმებაც, მიუხედავად იმისა, რომ მითითებული არ არის არანაირი საპროცესო საკითხი, სრულიად საკმარისი მიმანიშნებელია, რომ მხარეები **ad hoc** არბიტრაჟზე შეთანხმდნენ. რაც შეეხება ინსტიტუციურ არბიტრაჟს, ანუ შეთანხმებას, რომ დავა გადაწყვეტილი იქნეს საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრირებით, საარბიტრაჟო დათქმაშიც და ხელშეკრულებაშიც აუცილებელია მიეთითოს კონკრეტული და იდენტიფიცირებადი საარბიტრაჟო დაწესებულება ან კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წესები, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობას (გთხოვთ იხილოთ მე-16 მუხლის კომენტარი). შესაძლებელია მოყვანილი იქნეს საარბიტრაჟო დაწესებულების, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის“ მიერ შემოთავაზებული სტანდარტული საარბიტრაჟო დათქმა: „ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა ან დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებასთან, მის დარღვევასთან, შეწყვეტასთან ან ბათილად ცნობასთან, საბოლოოდ უნდა იქნას გადაწყვეტილი არბიტრაჟის მიერ, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების მიხედვით, ამ წესების შესაბამისად დანიშნული არბიტრის მიერ. საარბიტრაჟო განხილვის ადგილად განისაზღვროს . . . , საარბიტრაჟო განხილვა წარმართოს . . . ენაზე“ ასეთი სტანდარტული დათქმა მხარეებს უტოვებს უფლებას შეთანხმდნენ არბიტრის რაოდენობაზე (ერთი ან სამი), აგრეთვე განხილვის ადგილზე (ქვეყანა, ქალაქი) და საარბიტრაჟო განხილვის ენაზე (სხვადასხვა ენოვანი მხარეების შემთხვევაში). ასევე საინტერესოა საარბიტრაჟო დაწესებულების, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრის“ მიერ შემოთავაზებული საარბიტრაჟო დათქმა: „ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვე-

ტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, „დავების განმხილველ ცენტრს“. პრაქტიკაში ძირითადად მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში არსებული საარბიტრაჟო დათქმები ჭარბობს, თუმცა არსებობს დამოუკიდებელი საარბიტრაჟო შეთანხმებებიც, როდესაც მხარეებმა უკვე წამოჭრილი სადავო საკითხების გადასაწყვეტად დადეს დამოუკიდებელი შეთანხმება დავის კონკრეტული საარბიტრაჟო დანესებულების ადმინისტრირებით განხილვის შესახებ. ანუ შესაძლებელია, რომ მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმა არ არსებობდეს და მხარეები შემდგომ შეთანხმდნენ უკვე წარმოშობილი დავის კონკრეტული საარბიტრაჟო დანესებულების ადმინისტრირებით განხილვის შესახებ. ასევე შესაძლებელია, რომ მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყოს დავის სასამართლო წესით განხილვა, ხოლო დავის წარმოშობის შემდეგ კი მხარეებს შორის დაიდოს წერილობითი შეთანხმება დავის ინსტიტუციური არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ. მაგალითისათვის შეიძლება მოყვანილი იქნეს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველ ცენტრის“ ერთ-ერთი საქმე, სადაც მხარეთა დავა გამომდინარეობდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან და ამ ხელშეკრულებაში დავის წარმოშობის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო სასამართლო განხილვა. მხარეებმა ვერ მიაღწიეს რა შეთანხმებას ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკითხებთან დაკავშირებით (კრედიტის დაფარვის საკითხები, ხანდაზმულობა), წერილობითი ფორმით დააფიქსირეს საარბიტრაჟო შეთანხმება და ასეთი დავა გახდა საარბიტრაჟო განხილვის საგანი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება ითვალისწინებდეს საარბიტრაჟო განხილვის დანყების ნინა პროცედურას — მოლაპარაკების წარმოებას, კომპეტენტური ორგანოს შექმნას პრეტენზიების განხილვის მიზნით, საექსპერტო დასკვნის მიღებას სადავო საკითხთან დაკავშირებით და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ეს საკითხები

გარკვევით და ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული საარბიტრაჟო შეთანხმებაში, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი პროცედურები მხედველობაში არ იქნება მიღებული. შესაძლებელია ორსაფეხუროვანი დათქმაც მედიაციისა და არბიტრაჟის გათვალისწინებით („med-arb“). აღნიშნული შეიძლება პირობითად ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „მხარეები იღებენ ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავის გადაწყვეტა სცადონ მედიაციის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის „დავების განმხილველი ცენტრის“ რეგლამენტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მედიაცია არ დასრულდება სამედიაციო შეთანხმებით, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ „დავების განმხილველ ცენტრს“ დავის საარბიტრაჟო განხილვით გადაწყვეტის მიზნით მისი დებულების შესაბამისად“. შესაძლებელია მხარეებს გათვალისწინებული ჰქონდეთ შემათანხმებელი პროცედურა და ჰქონდეთ ასეთი სახის საარბიტრაჟო დათქმაც: „წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით. მხარეთა შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა, ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის მიერ, გადაეცემა სპეციალურ საექსპერტო საბჭოს, რომელიც შედგება 4 პირისაგან, რომელთაგან თითოეული მხარე ნიშნავს 2 წევრს. საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევენ მისი წევრები თავის შემადგენლობიდან და თავმჯდომარეს გააჩნია გადამწყვეტი ხმის უფლება. საექსპერტო საბჭოს მიერ მხარეთა შორის წამოჭრილი დავის გადაუწყვეტელობის შემთხვევაში დავა განიხილება ინსტიტუციური არბიტრაჟის მიერ. მხარეები ვთანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო დავა განიხილება საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესებით“. შესაძლებელია ისეთი ტიპის საარბიტრაჟო შეთანხმებაც (დათქმაც), როდესაც მხარეები შეთანხმდებიან დავის **et aequo et bono** (საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით). ასეთი ტიპის საარბიტრაჟო შე-

თანხმება პრაქტიკულად მხოლოდ საერთაშორისო დავების შემთხვევაშია.

3. კანონი როგორც საარბიტრაჟო დათქმის, ასევე დამოუკიდებელი საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ ითვალისწინებს ფორმასავალდებულობას — წერილობით ფორმას, რომლის დაცვაც აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების ნამდვილობისათვის და ზოგიერთ შემთხვევაში იმპერატიული მოთხოვნაც კი (*გთხოვთ იხილოთ ამავე მუხლის მე-8 პუნქტის კომენტარი*). ამასთანავე, კანონი ითვალისწინებს გარკვეული პირობების არსებობას, როდესაც წერილობითი ფორმა დაცულად ითვლება (*გთხოვთ იხილოთ ამავე მუხლის მე-4 — მე-6 პუნქტების კომენტარი*).

4. კონკრეტული გამონაკლისის გარდა (*გთხოვთ იხილოთ ამავე მუხლის მე-8 პუნქტის კომენტარი*), სავალდებულო არ არის ხელშეკრულების კლასიკური ფორმა, როდესაც ორივე მხარე აწერს ხელს ერთ დოკუმენტს. კომენტირებულმა კანონმა დასაშვებად მიიჩნია, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება, იქნება ეს მხარეთა ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის თუ დამოუკიდებელი შეთანხმების ფორმით, ჩაითვალოს წერილობითი ფორმით დადებულად, თუ საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსი დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით. მაგალითად, მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში არ არის საარბიტრაჟო დათქმა და მხარეებს არც ცალკე საარბიტრაჟო შეთანხმება დაუდიათ ორმხრივი ხელშეკრულების ფორმით. სადავო საკითხის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტის შესახებ ერთ-ერთმა მხარემ მეორე მხარეს გაუგზავნა წერილი, რომელსაც მეორე მხარის მხრიდან ასევე წერილობითი გამომხატურება მოჰყვა და გამოიხატა თანხმობა მიღებულ წინადადებაზე. ამგვარი შეთანხმება წინამდებარე კანონის მიზნებისათვის ჩაითვლება არბიტრაჟის იურისდიქციის შესახებ წერილობით შეთანხმებად.

5. კანონი ითვალისწინებს საარბიტრაჟო შეთანხმების ელე-

ქტრონული შეტყობინების ფორმით დადების შესაძლებლობა-საც, თუ ასეთ შეტყობინებაში მოცემული ინფორმაცია ხელმი-საწვდომია მისი შემდგომი გამოყენებისათვის (*ელექტრონული შეტყობინების თაობაზე გთხოვთ იხილოთ კანონის მე-2 მუხ-ლის კომენტარი*). შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, მხარეთა ნება ცალ-ცალკე დოკუმენტშია დაფიქსირებული და მხარეებ-მა ასეთი დოკუმენტი გაცვალეს ურთიერთ შორის.

6. კანონი წერილობითი ფორმით დადებულ საარბიტრაჟო შე-თანხმებად აგრეთვე მიიჩნევს საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენას, როდესაც შესაგებელ-ში საარბიტრაჟო მოპასუხე სარჩელს არსებითად პასუხობს და საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობაზე არ მიუთითებს. ასეთ დავაში შესაძლებელია მხარეთა შორის არ არსებობდეს წერილობითი ფორმით გაფორმებული საარბიტრაჟო შეთანხ-მება, რაც კანონის თანახმად გამორიცხავს დავის საარბიტრა-ჟო წესით განხილვას, მაგრამ როდესაც მხარემ მიმართა არ-ბიტრაჟს და მოპასუხე მხარემ წარადგინა შესაგებელი დავის არსებით საკითხზე და არ მიუთითა საარბიტრაჟო შეთანხმე-ბის არარსებობის შესახებ, ეს, კომენტირებული ნორმის თა-ნახმად საარბიტრაჟო შეთანხმებას წარმოადგენს, რადგანაც წარმოადგენს მხარეთა ნების თანხვედრას და არბიტრაჟმა არსებითად უნდა განიხილოს მხარეთა დავა, თუ განსახილ-ველი საკითხის მიმართ გააჩნია იურისდიქცია (*გთხოვთ იხი-ლოთ მე-16 მუხლის პირველი ნაწილის კომენტარი*). ამასთან-ავე, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, სავალდებულო არ არის, რომ მხარის წინადადება საარბიტრაჟო განხილვის შესახებ და მეორე მხარის საპასუხო გამომხაურება, იყოს ხელმოწერილი კონკრეტული უფლებამო-სილი პირ(ებ)ის მიერ. ნიუ-იორკის 1958 წლის 10 ივნისის კონ-ვენციის მე-2 მუხლის თანახმად, გათვალისწინებულია წერილ-ობითი ფორმით ჩამოყალიბებული საარბიტრაჟო შეთანხმება და არსადაა ნათქვამი, რომ ურთიერთგაცვლილი კორესპოდენ-ცია უნდა იყოს ხელმოწერილი, ასეთი ქმედება საარბიტრაჟო

შეთანხმების წერილობითი ფორმით დადებას უთანაბრდება, რაც სრულად შეესაბამება UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-7 მუხლის დანაწესს, აგრეთვე საერთაშორისო არბიტრაჟების დებულებებს. ამდენად, საკმარისია კორესპოდენცია (წერილობითი დოკუმენტი) მიუთითებდეს წინადადების ავტორის და თანხმობის გამოხატველის პიროვნებაზე, უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო სადავოობის შემთხვევაში, გამოხატული თანხმობა წარმოადგენს მტკიცებულებათა კვლევის შედეგად მტკიცების საგანს და არა საფუძველს, რომ ხელმოწერის (ფაქსიმილიის) არარსებობა მივიჩნიოთ საარბიტრაჟო შეთანხმების მიუღწევლობად. აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ განსახილველი კანონის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტი უკვე იმპერატიულად ადგენს, რომ თუ ხელშეკრულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარე ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანოა, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობით, ისეთი დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება და ძნელია, რომ არ დაეთანხმო, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებაა აგრეთვე საარბიტრაჟო მოპასუხის ნებისმიერი კონკლუდენტური ქმედება, მათ შორის არბიტრის დანიშვნა და საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობის შესახებ მითითების განუხორციელებლობა. შესაბამისად, თუ მოპასუხე მხარე განახორციელებს ერთ-ერთ ასეთ მოქმედებას ისეთ დროს, როდესაც საერთოდ არ არსებობს ან არსებობს გარკვეული ხარვეზის შემცველი ხელშეკრულება (*გთხოვთ იხილოთ მე-16 მუხლის კომენტარი*), შემდგომში არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების და გაუქმების ეტაპზე აპელირება საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობაზე ან ბათილობაზე დაუშვებელია.

7. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება (კონტრაქტი) შესაძლებელია არ ითვალისწინებდეს დავის განხილვის ფორმას, მაგრამ ასეთ ხელშეკრულებაში შეიძლება იყოს მი-

თითება სხვა კონკრეტულ ხელშეკრულებაზე, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა შორის შესაძლო დავის გადაწყვეტის საარბიტრაჟო წესს და ეს დოკუმენტი იყოს მხარეთა ძირითადი ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია საბანკო/საფინანსო ურთიერთობებში. მაგალითად, მხარეთა შორის დაიდო გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს, რომ თითოეული საბანკო პროდუქტის ხელშეკრულებაზე ცალკე დაიდება შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც იქნება გენერალური ხელშეკრულების ნაწილი. შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელს მიეცა საბანკო კრედიტი, არ ითვალისწინებს დავის განხილვის წესს, მაგრამ მასში არსებობს მითითება გენერალურ ხელშეკრულებაზე, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს საარბიტრაჟო განხილვას. საერთაშორისო პრაქტიკაში არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმების შესახებ მითითებულია ფრახტის ხელშეკრულებაში, ხოლო ასეთი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კონოსამენტი ასეთ დათქმას არ შეიცავს. უცხოურ სასამართლოთა პრაქტიკა ძირითადად აღიარებს არბიტრაჟის კომპეტენციას, თუ კონოსამენტში არსებობს ფრახტის ხელშეკრულებაზე მითითება, თუმცა სასამართლოებს განსხვავებული მოსაზრებების გააჩნიათ.

8. კანონმდებელმა, წინა მოცემულობისაგან განსხვავებით (მე-4 — მე-6 პუნქტები), თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ფიზიკური პირი ან იურიდიული პირია, იმპერატიულად დაადგინა, რომ აუცილებელია არა მარტო შეთანხმების წერილობითი ფორმით შედგენა, არამედ, ორივე ხელშემკვერელი მხარის პირადი ხელმოწერაც. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა განსახილველად გადასცეს არბიტრაჟს. კანონის

არსიდან გამომდინარე ცხადია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ პირთან დადებული ასეთი საარბიტრაჟო შეთანხმება ხელმოწერილი უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს სათანადო უფლებამოსილების მქონე სუბიექტის მიერ. ფიზიკურ პირებთან დადებული საარბიტრაჟო დათქმები უმეტესად სამომხმარებლო ხელშეკრულებებშია. უკანასკნელ პერიოდამდე სამომხმარებლო დავებზე საარბიტრაჟო შეთანხმების საკითხში ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, ევროკავშირის არაერთ დირექტივაზე დაყრდნობით ნეგატიური დამოკიდებულება გააჩნდა, მაგრამ საბოლოოდ, პრაქტიკა ჩამოყალიბდა იმ მიმართებით, რომ ასეთი დავები მხარეთა ნების ნამდვილობის შემთხვევაში დასაშვებია. პრაქტიკულად ამის იმპლემენტაცია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტია, რომელიც ითვალისწინებს ფიზიკურ პირთან დადებული საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმასავალდებულობას. ლიტერატურაში გამოხატული მოსაზრების თანახმად, მენარმის მიერ (სტანდარტული პირობების შემთავაზებელი) შეთავაზებული, ძირითად ხელშეკრულებაში გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის არსებობა კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრირებაზე, გარკვეულწილად გამოხატავს მის დარწმუნებულობას, რომ ამით იღებს სარგებელს. ძნელია ასეთ ნეგატიურ კონტექსტთან დათანხმება, რადგანაც სარგებელი მხოლოდ დავის გადაწყვეტის სისწრაფე — ინსტანციების არარსებობაა, რასაც ვერ ვიტყვით ტრადიციულ სასამართლო განხილვაზე, როდესაც სასამართლოს წარმოებაში თითოეული მოსამართლის წარმოებაში ერთდროულად ათას დავაზე მეტია და ასეთ პირობებში დავის განხილვა წლობით გრძელდება. ამდენად, სამომხმარებლო დავებში არსებული საარბიტრაჟო დათქმა (შეთანხმება არბიტრაჟზე) *a priori* არ წარმოადგენს ძირითად ხელშეკრულებაზე ხელმოწერილ ე.წ. სუსტი მხარის (მომხმარებლის) უფლებების შემლახავს.

მუხლი 9. საარბიტრაჟო შეთანხმება და დავის არსებით საკითხზე სარჩელის შეტანა სასამართლოში

1. სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გაკეთდეს, შეწყვიტოს წარმოება და მიუთითოს მხარეებს არბიტრაჟზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია.
2. პუნქტი ამოღებულია.
3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სარჩელის წარდგენიდან სასამართლოში განსჯადობის საკითხის გადანიშნულამდე საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და გამოტანილ იქნეს საარბიტრაჟო გადანიშნულებები.
1. „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ მოდელური კანონის მიღებასთან ერთად გაეროს 1985 წლის 11 დეკემბრის 112-ე პლენარულ სხდომაზე მიღებულია რეზოლუცია, რომლის თანახმად აღიარებულია არბიტრაჟის, როგორც დავების დარეგულირების მეთოდის სარგებლიანობა და აღინიშნა, რომ მოდელური კანონი 1958 წლის 10 ივნისის კონვენციასთან (ნიუ-იორკის კონვენცია) ერთად უზრუნველყოფს ერთიანი სამართლებრივი ჩარჩოების ჩამოყალიბებას საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში წარმოშობილი დავების სამართლიანი და ეფექტური გადანიშნულებისათვის. ამავდროულად, გაეროს გენერალურ მდივანს ეთხოვა მოდელური კანონის ტექსტის და კანონის მომზადების ამსახველი დოკუმენტაციის დაგზავნა წევრი ქვეყნების მთავრობებისა და სავაჭრო პალატებისათვის, ხოლო წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაცია მიეცა მოეხდინათ კანონმდებლობის ჰარმონიზაცია მოდელუ-

რი კანონის პრინციპებთან და მიმართულებებთან. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველომ, როგორც უკვე აღინიშნა, 2009 წელს მიიღო კანონი „არბიტრაჟის შესახებ“. კანონის პროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ განსახილველი კანონი სრულად ეფუძნება „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ მოდელურ კანონს. აღნიშნულის მიუხედავად, კანონში მაინც არსებობს ცალკეული ხარვეზები, რაზეც ასევე უკვე აღინიშნა. გამონაკლისი ამ თვალსაზრისით არც განსახილველი მუხლია. კანონის მე-9 მუხლი განსხვავდება მოდელური კანონის შესაბამისი მუხლის კონსტრუქციისაგან და იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რაც მითითებულის გათვალისწინებით, არ წარმოადგენს მოდელური კანონის მიზანს. კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, *„სასამართლო, რომელიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გაკეთდეს, შეწყვიტოს წარმოება და მიუთითოს მხარეებს არბიტრაჟზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია“*. მოდელური კანონის შესაბამისი მუხლის თანახმად კი (მე-8 მუხლი) *„სასამართლო, რომელიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც გაცხადებული უნდა იქნას არაუგვიანეს პირველი არსებითი განცხადების წარდგენისა, მიმართოს მხარეები არბიტრაჟში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილი ან გაუქმებულია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია“*. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ მოდელური კანონი საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თაობაზე სასამართლოში ინფორმაციის წარდგენას მოპასუხე მხარეს აკისრებს *პირველი არსებითი განცხადების წარდგენამდე*, ანუ საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შესაგებლის წარდგენამდე ან მასთან ერთად. შესაბამისად, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონში დაფიქსირებული ფორმულირება, რომ მხარის განცხადება უნდა გაკეთდეს შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე, არ გამომდინარეობს მოდელური კანონის აზრობრივი დატვირთვიდან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, შესაგებლის წარდგენის ზღვრული ვადა 21 დღეა და თუ მხარემ შესაგებელი წარადგინა ამ ვადის ფარგლებში, მაგრამ სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის გასვლამდე, ხოლო საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის შესახებ განაცხადა ამის შემდეგ (შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე), კანონის ამჟამინდელი რედაქციის თანახმად, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება, რაც კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ არ შეესაბამება მოდელური კანონის არსს, რადგანაც თუ მხარემ წარადგინა შესაგებელი ისე, რომ არ მიუთითა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თაობაზე, ეს ნიშნავს, რომ მხარე (მოპასუხე) დაეთანხმა მოსარჩელე მხარის ახალ წინადადებას (ოფერტა) სასამართლო განსჯადობასა და საარბიტრაჟო შეთანხმების გაუქმებაზე, რაც აქცეპტირებული იქნა მოპასუხის მიერ და მან არსებითად უპასუხა მის წინააღმდეგ მიმართულ სარჩელს ისე, რომ არ გამოხატა პროტესტი დავის სასამართლო განხილვის თაობაზე. ასეთი შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით სასურველი იქნება საკანონმდებლო ცვლილება და საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თაობაზე მოპასუხის უფლების/ვალდებულების განსაზღვრა შესაგებლის წარდგენამდე ან მასთან ერთად. აღნიშნული მსჯელობა ეხებოდა კომენტირებული ნორმის მხოლოდ პირველ ნაწილს — საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თაობაზე განცხადების წარდგენის ვადას და ფორმას, ხოლო კრიტერიუმები, რომელთა დროსაც სასამართლომ უნდა მიიღოს მხედველობაში საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა, ინვესს სერიოზულ პროცესუალურ პრობლემას. პრობლემის არსი შემდეგშია — კანონის მიღებიდან 2015 წლის მარტამდე, ცალკეულ მუხლებში საკანონმდებლო ცვლილებების განხორ-

ციელებამდე, არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ დავას (კანონის მე-16 მუხლი) იხილავდა პირველი ინსტანციის სასამართლო. 2015 წლის მარტში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, კანონის მე-16 მუხლიდან გამომდინარე საკითხების განხილვა დაექვემდებარა სააპელაციო სასამართლოს. საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა და ნამდვილობა, რაც მოიაზრებს მის შეწყვეტას და ბათილობასაც, უშუალოდ უკავშირდება საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციის (იურისდიქციის) საკითხს და ეს საკითხი 2015 წლის მარტის ცვლილების შემდეგ მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს განსჯადია და არა პირველი ინსტანციის. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო ასეთ საკითხს ვერ განიხილავს — კანონის მე-9 მუხლი კი სწორედ პირველი ინსტანციის განსჯად საკითხს ეხება **(სარჩელის წარდგენას და მოპასუხის მიერ შესაგებლის ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თაობაზე განცხადებას. ამ სტადიაზე კი პირველი ინსტანციის სასამართლო არ არის უფლებამოსილი განიხილოს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის თუ ბათილობის საკითხი)**. კანონის ამჟამინდელი რედაქციის თანახმად, თუ მოპასუხე, სასამართლოს წარმოებაში არსებულ სარჩელზე წარადგენს განცხადებას საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისა და სარჩელზე წარმოების შეწყვეტის შესახებ, ხოლო მოსარჩელე მხარე მიუთითებს მის **(საარბიტრაჟო შეთანხმების)** ბათილობასა და, შესაბამისად არანამდვილობაზე, პირველი ინსტანციის სასამართლო ამ საკითხის განხილვაზე არ არის უფლებამოსილი - როგორც აღინიშნა, ასეთი უფლებამოსილება პირველი ინსტანციის სასამართლოს გააჩნდა კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თავდაპირველი რედაქციის არსებობისას, მისი მიღებიდან, 2015 წლის მარტის ცვლილებებამდე. შესაბამისად ნათელია, რომ ასეთი საკითხის განხილვის შემთხვევაში შეიქმნება კუროზული და ნამდვილად ჩიხური მდგომარეობა, რაც არ გამომდინარეობს კანონის სულისკვეთებიდან და მიზნიდან და ნათელია, რომ არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხის სააპელაციო სასამართლოს განსჯად

დავად მიჩნევისას არ ყოფილა გათვლილი ასეთი ცვლილების თანმდევი შედეგი. ამ პრობლემიდან გამოსავალი კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანაა და ეს პუნქტი ასეთი რედაქციით უნდა ჩამოყალიბდეს: **„სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გაკეთდეს, შეწყვიტოს წარმოება და მიუთითოს მხარეებს არბიტრაჟზე“**. საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობის საფუძვლის არსებობის და საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციის არარსებობის საკითხზე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს დამოუკიდებლად იდავოს არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხზე „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული წესით. აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობის ან ძალადაკარგულობის საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხი (კანონის 42-ე მუხლი) ასევე სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციაა. შესაბამისად, კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტთან ერთად, საკანონმდებლო ცვლილებას საჭიროებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹ 16 მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„დაინტერესებული მხარის განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ, მათ შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით, განიხილება არბიტრაჟის მიერ საკუთარი კომპეტენციის არსებობის შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ“**.

2. კომენტირებული მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ სასამართლოში სარჩელის შეტანის პირობებში, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტამდე, საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და გამოტანილი იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. გასაგებად რომ აღინიშნოს, ეს ნორმა ისეთ შემთხვევას ითვალისწინებს, როდესაც მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის მიუხედავად მხარეს სასამართლოში შეტანილი აქვს სარჩელი. ამავდროულად

კი, სასამართლოში შეტანილი სარჩელის მოპასუხე მხარეს, იმავე საარბიტრაჟო შეთანხმებიდან გამომდინარე, თავად აქვს არბიტრაჟში აღძრული სარჩელი მის მონინაალმდეგესთან. სწორედ ასეთი შემთხვევაა ნაგულისხმები განსახილველ ნორმაში და ასეთი საარბიტრაჟო სარჩელის განხილვა კონკრეტულმა არბიტრაჟმა შეიძლება განიხილოს სასამართლო განხილვისაგან დამოუკიდებლად.

თავი №3 არბიტრაჟის შიგნით

მუხლი 10. არბიტრთა რაოდენობა

1. არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე არბიტრისაგან.
 2. არბიტრთა რაოდენობას და მათი დანიშვნის წესს განსაზღვრავენ მხარეები. მხარეები ნიშნავენ თანაბარი რაოდენობის არბიტრებს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
 3. თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრთა რაოდენობა ლუნი რიცხვით განისაზღვრება, მაშინ უკვე დანიშნული არბიტრები ვალდებული არიან, დანიშნიდან 10 დღის ვადაში დანიშნონ კიდევ ერთი არბიტრი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
 4. თუ არბიტრთა რაოდენობა არ იქნება განსაზღვრული მხარეთა შეთანხმებით, მაშინ არბიტრაჟი უნდა შეიქმნას სამი არბიტრის შემადგენლობით.
1. მოცემული კანონი არბიტრთა რაოდენობის განსაზღვრის საკითხში მხარეებს სრულ ავტონომიურობას და თავისუფლებას ანიჭებს, ოღონდ განსაზღვრავს, რომ არბიტრაჟი შეიძლება

შედგებოდეს როგორც ერთი, ასევე რამდენიმე არბიტრისაგან და არბიტრთა რაოდენობის განსაზღვრა მხარეთა გადასაწყვეტია და მათ ნებაზეა დამოკიდებული (ისევე როგორც შეთანხმება მათი დანიშვნის პროცედურების შესახებ). აღნიშნული ეხება როგორც **ad hoc**, ასევე ინსტიტუციურ არბიტრაჟს. მხარეთა გადაწყვეტილება არბიტრთა რაოდენობის შესახებ (ერთი ან რამდენიმე) შეიძლება არ იყოს დამოკიდებული დავის საგნის ღირებულებაზე. შესაბამისად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ დავას განიხილავს ერთი არბიტრი დავის საგნის საფასურის მიუხედავად.

2. ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს (IBA) მიერ 2010 წლის ოქტომბერში დამტკიცებული „საერთაშორისო საარბიტრაჟო დათქმების შედგენის შესახებ“ სახელმძღვანელო პრინციპების (მე-5 სახელმძღვანელო პრინციპი) რეკომენდაციის თანახმად, მხარეები არ უნდა შეთანხმდნენ არბიტრთა ლუნ რაოდენობაზე (ასეთი შეთანხმება მხოლოდ დამატებით პრობლემებს წარმოშობს). მითითებული რეკომენდაცია ასევე ორივე კატეგორიის არბიტრაჟს ეხება. ამავე რეკომენდაციის თანახმად, საქმის განხილვის სისწრაფისათვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს ერთი არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს (ეს საკითხი მხარეთა გადასაწყვეტია, მაგრამ რეკომენდაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი არბიტრის შემთხვევაში საქმე უფრო სწრაფად და, რაც მნიშვნელოვანია, ნაკლები დანახარჯებით იქნება განხილული, რადგანაც რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარი ტრიბუნალის შემთხვევაში იზრდება არბიტრებისათვის გადასახდელი ჰონორარის ოდენობა). ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში, როდესაც მხარეები დავის საარბიტრაჟო დაწესებულების წესებით განხილვაზე არიან შეთანხმებული ისე, რომ არბიტრთა რაოდენობაზე სპეციალური დათქმა არ განუხორციელებით (ინსტიტუციური არბიტრაჟის დროს, მხარეთა შეთანხმება საარბიტრაჟო დაწესებულების წესებზე არ გამოორიცხავს მათ უფლებას, ამ წესებიდან რომელიმე პროცედურული საკითხი განსხვავებულად

დაარეგულირონ. მაგალითად, არბიტრთა რაოდენობის ან დანიშვნის წესის საკითხი), არბიტრების რაოდენობა, ისევე როგორც მათი დანიშვნის პროცედურა (გთხოვთ იხილოთ მე-11 მუხლის კომენტარი) ამ დანესებულების საარბიტრაჟო წესებით (დებულება) განისაზღვრება. საარბიტრაჟო დანესებულებები საკუთარი საარბიტრაჟო წესების (დებულება) მიხედვით განსხვავებულად არეგულირებენ არბიტრთა რაოდენობის საკითხს და ზოგ შემთხვევაში არბიტრთა რაოდენობის საკითხს განსახილველი დავის საგნის ღირებულებას უკავშირებენ (ეს წესი არ გამოიყენება მხარეთა სხვაგვარი შეთანხმების დროს). საქართველოს საარბიტრაჟო დანესებულებების დებულებები ძირითადად განსაზღვრავენ, რომ არბიტრთა რაოდენობაზე მხარეთა შეთანხმების არარსებობისას დავა განიხილება ერთი არბიტრით ფორმირებული ტრიბუნალის მიერ. ამასთან, ზოგიერთი დანესებულების დებულება ითვალისწინებს გარკვეულ დათქმას. მაგალითად, „დავების განმხილველი ცენტრის“ დებულება ითვალისწინებს ასეთ დათქმას: „თუ საარბიტრაჟო მოთხოვნების ჯამი შეადგენს 1 000 000 ლარს ან მეტს, ან DR-ის სასამართლო ჩათვლის, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია საარბიტრაჟო ტრიბუნალის სამი არბიტრით ფორმირება, დავა განიხილება სამი არბიტრით ფორმირებული საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრი“-ს დებულების მე-14 მუხლის 14.3 პუნქტი), ხოლო საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წესები ასეთ დათქმას: „გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო საბჭო, დავის სირთულიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ საჭიროა სამი არბიტრის დანიშვნა“ (საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი). ანალოგიურ გადაწყვეტას ვხვდებით სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო რეგლამენტში (მე-6 მუხლი) და სხვა უცხოური საარბიტრაჟო დანესებულებების დებულებებში. ეს წესი არ მოქმედებს, თუ საარბიტრაჟო დანესებულების საარბიტრაჟო წესებზე შეთანხმების მიუხედავად, მხარეებმა იმავე საარბი-

ტრაჟო შეთანხმებაში განსაზღვრეს არბიტრთა რაოდენობა. მაგალითად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მათი დავა განიხილოს კონკრეტულმა საარბიტრაჟო დაწესებულებამ მისი საარბიტრაჟო წესების მიხედვით და, ამავდროულად, იმავე საარბიტრაჟო შეთანხმებაში გაითვალისწინეს, რომ შესაძლო დავა განიხილული იქნება ზეპირი მოსმენის გარეშე ერთი არბიტრის მიერ დავის საგნის ღირებულების მიუხედავად. ასეთი საარბიტრაჟო დათქმები საქართველოს სინამდვილეში საკმაოდ მრავალადაა.

3. თუ მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებს არბიტრთა ლუნ რაოდენობას და მხარეები ამ შეთანხმების შესაბამისად დანიშნავენ არბიტრებს, მაშინ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპერატიული დანაწესის შესაბამისად, უკვე დანიშნული არბიტრები ვალდებული არიან, დანიშნიდან 10 დღის ვადაში დანიშნონ კიდევ ერთი არბიტრი. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ, ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს (IBA) მიერ 2010 წლის ოქტომბრის მითითებული სახელმძღვანელო პრინციპების (მე-5 სახელმძღვანელო პრინციპი) თანახმად, მხარეები არ უნდა შეთანხმდნენ არბიტრთა ლუნ რაოდენობაზე. ამდენად, უმჯობესი იქნება, საარბიტრაჟო შეთანხმების/დათქმის შედგენისას მხარეებმა გაითვალისწინონ ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ზემოთ მითითებული რეკომენდაცია.

4. კომენტირებული ნორმის თანახმად, არბიტრაჟი სამი არბიტრის შემადგენლობით უნდა შეიქმნას, თუ არბიტრთა რაოდენობა მხარეთა შეთანხმებით არ არის განსაზღვრული. თუ წინა პუნქტებში მითითებული შემთხვევები ეხებოდა არბიტრების რაოდენობის განსაზღვრის საკითხში მხარეთა შეთანხმების არსებობას (მათ შორის ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში საარბიტრაჟო დაწესებულების წესებზე შეთანხმებას, რაც ასევე მოიცავს შეთანხმებას არბიტრთა რაოდენობის შესახებ), ამჟამად, მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ეხება სწორედ

ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარეები არბიტრთა რაოდენობაზე არ შეთანხმებულან. სწორედ ასეთ შემთხვევაში კანონის იმპერატიული მოთხოვნაა საარბიტრაჟო ტრიბუნალის სამი არბიტრის შემადგენლობით შექმნის შესახებ. ამდენად, აღნიშნული ეხება მხოლოდ და მხოლოდ **ad hoc** არბიტრაჟს, რადგანაც ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში არბიტრთა რაოდენობა საარბიტრაჟო დანესებულების საარბიტრაჟო წესებით (დებულება) არის განსაზღვრული და საარბიტრაჟო დანესებულების წესებზე შეთანხმება სრულად მოიცავს ყველა პროცედურულ საკითხს, მათ შორის არბიტრთა რაოდენობის თაობაზეც, თუ მხარეები სხვა წესზე არ არიან შეთანხმებული. ამდენად, ასეთი „სხვა წესი“-ს თაობაზე შეთანხმება არ მოიაზრება მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედების ქვეშ.

მუხლი 11. არბიტრაჟის დანიშვნა

1. დაუშვებელია პირის არბიტრად დანიშვნა მისი თანხმობის გარეშე. არბიტრობაზე თანხმობა პირმა უნდა განაცხადოს წერილობით.
2. არბიტრის (არბიტრების) და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნის პროცედურა დგინდება მხარეთა შეთანხმებით.
3. არბიტრის (არბიტრების) და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნაზე მხარეთა შეთანხმების არარსებობის ან შეთანხმებული პროცედურის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში:
 - ა) სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს და ამ წესით დანიშნული ორი არბიტრი ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარეს. თუ ერთ-ერთი მხარე არ დანიშნავს არბიტრს მეორე მხარის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშვნიდან 30 დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი

მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში;

- ბ) ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
 5. პირი, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ვალდებულია არბიტრის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე საარბიტრაჟო წარმოების მხარეებს და არბიტრაჟს, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია განათლებისა და არბიტრად მუშაობის გამოცდილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
 6. არბიტრის დანიშვნისას სასამართლომ ან სხვა დაწესებულებამ, რომელიც ნიშნავს არბიტრს, უნდა გაითვალისწინოს მხარეთა მიერ შეთანხმებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრის დანიშვნის უზრუნველსაყოფად.
 7. დაუშვებელია პირს აეკრძალოს არბიტრად დანიშვნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი არის (ეს რედაქცია ამოქმედდა 2020 წლის 1 იანვრიდან):
 - ა) შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიღები, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
 - ბ) სახელმწიფო მოსამსახურე, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი ან საჯარო მოხელე;

- გ) მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენისათვის და მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა;
- დ) ან იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებოთად დაკავშირებულ სხვა საქმეზე.

1. კომენტირებული ნორმით დადგენილი რეგულაცია ეხება ორივე ტიპის არბიტრაჟს — როგორც *ad hoc*, ასევე ინსტიტუციურ არბიტრაჟს, ოღონდ თითოეული მათგანის შემთხვევაში არსებობს გარკვეული ნიუანსები. საერთაშორისო პრაქტიკაა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნაა, რომ არბიტრად დანიშვნაზე კონკრეტულმა პირმა უნდა განაცხადოს წერილობითი ფორმით გამოსატყული თანხმობა. ასეთი წერილობითი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში ითვლება, რომ არბიტრის დანიშვნა არ არის იურიდიული ძალის მქონე. მაგალითად, მხარემ, ან ორივე მხარემ, ნებისმიერი ტიპის არბიტრაჟის შემთხვევაში, შესაძლებელია არბიტრად კონკრეტული პირი დაასახელოს, მაგრამ არბიტრად დასახელებული პირის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში ასეთი შეთანხმება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს და მხარეებს ხელახლა მოუწევთ არბიტრის დანიშვნა.

2. სასამართლო განხილვისაგან განსხვავებით, საარბიტრაჟო განხილვის ერთ-ერთი უპირატესობა არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის საკითხში მხარეთა მონაწილეობის უფლებაა და აღნიშნული მოცემული კანონითაა გარანტირებული. შესაბამისად, მხარეებს ამ უფლების გამოყენება როგორც საარბიტრაჟო დათქმის პირობების ჩამოყალიბებისას შეუძლიათ, ასევე შემდგომაც. ასეთი დოკუმენტის შედგენისას სასარგებლო იქნება ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს (IBA) მიერ 2010 წლის ოქტომბერში დამტკიცებული „საერთაშორისო საარბიტრაჟო დათქმების შედგენის შესახებ“ სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინება. მითითებული დოკუმენტი ითვალისწინებს სხვადასხვა შეთანხმებათა მოდელებს როგორც *ad hoc* არბიტრაჟებისათვის, ასევე საარბიტრაჟო

დანესებულებებისათვის, რომლებიც ადმინისტრირებას უწევენ ინსტიტუციურ არბიტრაჟებს. სახელმძღვანელო პრინციპები ითვალისწინებენ რეკომენდაციებს როგორც არბიტრთა რაოდენობის განსაზღვრის და დანიშვნის პროცედურებზე, აგრეთვე საარბიტრაჟო რეგლამენტების არჩევის, განსახილველ საკითხთა წრის, საქმის განხილვის ადგილის, გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის და სხვა საკითხებზე.

3. კანონმა გაითვალისწინა გარკვეული პროცედურები არბიტრ(ებ)ის ან/და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნაზე მხარეთა შეთანხმების არარსებობისას ან წარმოშობილი უთანხმოების შემთხვევაში. **ad hoc** არბიტრაჟის შემთხვევაში, როდესაც მხარეებს საარბიტრაჟო შეთანხმებაში/დათქმაში არ განუსაზღვრავთ არბიტრ(ებ)ის დანიშვნის წესი, კანონი, მოდელური კანონის მსგავსად, რომელიც სპეციალურად მხოლოდ **ad hoc** არბიტრაჟისათვისაა შექმნილი, ადგენს, რომ არბიტრაჟი/საარბიტრაჟო ტრიბუნალი უნდა შეიქმნას სამი არბიტრის შემადგენლობით (გთხოვთ იხილოთ მე-10 მუხლის კომენტარი). რა წესით ინიშნებიან არბიტრები: თითოეულმა მხარემ უნდა დანიშნოს ერთი არბიტრი და ამ წესით დანიშნული არბიტრები ნიშნავენ მესამე წევრს, რომელიც ამავდროულად საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს. როგორი პროცედურით ხდება მხარეთა მიერ არბიტრის დანიშვნა: კომენტირებული ნორმა ადგენს, რომ თუ ერთ-ერთი მხარე არ დანიშნავს არბიტრს მეორე მხარის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშნიდან 30 დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის დანიშვნაზე, მესამე არბიტრს, ანუ ტრიბუნალის თავმჯდომარეს, დანიშნავს სასამართლო ერთ-ერთი მხარის (ცხადია დაინტერესებული მხარის) განცხადების საფუძველზე, ასეთი განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცედურა ეხება მხოლოდ **ad hoc** არბიტრაჟს და, ამასთან, ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარეებს საარბიტრაჟო დათქმაში ან შეთანხმებაში არა აქვთ გათვალისწინებული დამ-

ნიშნავი ორგანო (გთხოვთ იხილოთ მე-4 მუხლის კომენტარი). საარბიტრაჟო დათქმაში/შეთანხმებაში დამნიშნავი ორგანოს გათვალისწინების შემთხვევაში, უკვე აღარ გვაქვს მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის ის მოცემულობა, რომ **მხარეები არ არიან შეთანხმებული არბიტრების დანიშვნის პროცედურაზე**, რადგანაც დამნიშნავი ორგანოს თაობაზე შეთანხმების მიღწევისას არბიტრების დანიშვნასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ ორგანოს მიერ და მისი გადაწყვეტილება საბოლოოა (გთხოვთ იხილოთ **UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი**). ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მხარეთა წერილობითი შეთანხმება დავის კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრირებით, ამ დაწესებულების საარბიტრაჟო წესებით განხილვის შესახებ, არბიტრების დანიშვნა და დანიშვნასთან დაკავშირებული საკითხები ამ დაწესებულების საარბიტრაჟო წესების შესაბამისად გადაწყდება და ამ დაწესებულების გადაწყვეტილება სასამართლოში გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება, რადგანაც საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრირებით დავის განხილვაზე შეთანხმების შემთხვევაში კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის მოცემულობა სახეზე აღარ გვექნება. ინსტიტუციური არბიტრაჟის სინამდვილეში მხარეებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლება ექნებათ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მათი წერილობითი შეთანხმება, რომ არბიტრ(ებ)ის დანიშვნის საკითხში ისინი არ ცნობენ საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წესებს (დებულება) და რომ ამ საკითხზე უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს. ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეთა სასამართლოსათვის მიმართვა ასევე შესაძლებელი იქნება, თუ ამა თუ იმ მიზეზის გამო საარბიტრაჟო დაწესებულება ვერ დანიშნავს არბიტრს.

4. მე-11 მუხლის მესამე პუნქტში გათვალისწინებული სასამართლო საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. აღნიშნული სრულად ეფუძნება ეფუძნება მოდელური კანონ-

ნის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის მითითებას, რომ არბიტრის დანიშვნის საკითხზე სასამართლოს ან დამნიშნავი ორგანოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრდება.

5. კანონი ითვალისწინებს პოტენციური არბიტრის/საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრის ვალდებულებას არბიტრის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე საარბიტრაჟო წარმოების მხარეებს და არბიტრაჟს (საკანონმდებლო ხარვეზის გამო ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრება მხოლოდ საარბიტრაჟო დაწესებულება), მათი მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია განათლებისა და არბიტრად მუშაობის გამოცდილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საარბიტრაჟო წარმოების მონაწილეს არბიტრ(ებ)ის კვალიფიციურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხის გადასაწყვეტად აინტერესებდეს ინფორმაცია არბიტრის კვალიფიკაციის შესახებ და იმ კრიტერიუმების დაზუსტება, რომლებიც შეიძლება მისაღებად იქნეს მიჩნეული შესაბამისი მხარისათვის, მაგრამ კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ არანაირ საკვალიფიკაციო მოთხოვნას, მათ შორის განათლების შესახებ, არ აწესებს. სწორედ აღნიშნულის გამო, არბიტრად ნებისმიერი განათლების მქონე, ასევე განათლების არმქონე პირიც კი შეიძლება დაინიშნოს მხარეთა მიერ (სხვა საკითხია, რამდენად დაინიშნება ასეთი პირი სასამართლოს მიერ).

6. მხარეთა თანხმობის/მოთხოვნის პირობებში არბიტრის სასამართლოს ან სხვა დაწესებულების **„სხვა დაწესებულება“** არის საარბიტრაჟო დაწესებულება, რომელსაც თავისი საარბიტრაჟო წესები/დებულება გააჩნია და ამ წესებითაა განსაზღვრული არბიტრის დანიშვნის პროცედურები. ასეთი **„სხვა დაწესებულება“** აგრეთვე დამნიშნავი ორგანო, რომლის თაობაზე მიეთითა მე-4 მუხლის კომენტარში) მიერ დანიშვნისას, კანონი მოითხოვს, რომ გათვალისწინებული იქნეს მხარეთა მიერ შეთანხმებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრის დანიშვნის

უზრუნველსაყოფად. იმასთან დაკავშირებით, რომ დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა უკავშირდება საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრის გარკვეული ურთიერთობის, კავშირის ან ინტერესის არსებობას პროცესის მონაწილეების ან განსახილველი დავის მიმართ, შეხედულებებს და ა.შ., ერთიანი სტანდარტების შემუშავების მიზნით, ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ 2004 წლის მაისში მოწონებული და რეკომენდირებული იქნა სახელმძღვანელოდ, 14 ქვეყნის მრავალი ექსპერტის მონაწილეობით შედგენილი სახელმძღვანელო წესები „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვაში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ“. მითითებული დოკუმენტით დადგინდა კონკრეტული სიტუაციების ჩამონათვალი (კონკრეტული ფერების მიხედვით შედგენილი სია), რომელიც განაპირობებს ან არ განაპირობებს ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებლობას. მითითებული წესების თანახმად, ყველა არბიტრი უნდა იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი და დარჩეს ასეთად საარბიტრაჟო წარმოების მთელი პროცესის განმავლობაში საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე ან სხვა საფუძვლით საარბიტრაჟო წარმოების საბოლოო დასრულებამდე (დავის მორიგებით დასრულება). სახელმძღვანელო წესები ადგენს მხარეების, მათ წარმომადგენლებს და არბიტრებს შორის შესაძლო ინტერესთა კონფლიქტების დაფგუფებას მათი სიმკაცრის დონეების მიხედვით. დაყოფა განხორციელდა წითელი, ნარინჯისფერი და მწვანე სიის სახით. წითელი ფერის 2 სიაა — იმპერატიული, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია არბიტრის ფუნქციის შესრულება და წითელი ფერის არაიმპერატიული სია, რომლის მიხედვითაც არბიტრის ფუნქციის შესრულება შესაძლებელია, მაგრამ ასეთი გარემოებების გაცხადებისა და მოწინააღმდეგე მხარის თანხმობის შემთხვევაში, ნარინჯისფერი სია, რომლის თანახმადაც აუცილებელია სიაში მითითებული გარემოებების გამჟღავნება და მწვანე სია, რომლის თანახმად მასში მითითებული გარემოებების არსებობა არ საჭიროებს გამჟღავნებას.

იმპერატიული წითელი სიის მიხედვით:

მხარეებსა და არბიტრს შორის არსებობს იგივეობა (პრინციპი არავინ შეიძლება იყოს საკუთარი საქმის განმსჯელი) ან არბიტრი იმ პირის იურიდიული წარმომადგენელია, რომელიც საარბიტრაჟო განხილვის მხარეა;

არბიტრს აქვს მაკონტროლებელი გავლენა ერთ-ერთ მხარეზე (დირექტორი, მენეჯერი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და ა.შ.);

არბიტრს გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური ინტერესი რომელიმე მხარის ან საქმის შედეგის მიმართ;

არბიტრი რეგულარულად უწევს კონსულტაციას მის დამნიშნავ მხარეს ან ასეთ მხარესთან დაახლოვებულ პირს და არბიტრი ან/და მისი ფირმა ფინანსურ სარგებელს იღებს ამ საქმიანობიდან.

ციტირებული წესების თანახმად, იმპერატიულ წითელ სიაში მითითებული ფაქტების გამჟღავნება ვერ აღმოფხვრის კონფლიქტს და ასეთი გარემოების არსებობისას მხარის თანხმობა/მხარეთა შეთანხმება ასეთი პირის არბიტრად დანიშვნის შესახებ ბათილია.

არაიმპერატიული წითელი სიის მიხედვით:

არბიტრს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაცემული აქვს იურიდიული რჩევა, საექსპერტო დასკვნა ან მანამდე ჰქონდა შეხება ამ საქმესთან;

არბიტრი ფლობს ერთ-ერთი მხარის აქციებს/წილებს;

არბიტრის ოჯახის წევრს აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური ინტერესი დავის შედეგის მიმართ;

არბიტრს ან მისი ოჯახის წევრს აქვს ახლო ურთიერთობა მესამე პირთან, რომელსაც შეიძლება რეგრესული მოთხოვნა

ნაუყენოს მოცემული დავის წაგებულმა მხარემ;

არბიტრს ახლო ურთიერთობა აკავშირებს მხარესთან ან მის წარმომადგენელთან;

არბიტრს აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური ინტერესი ერთ-ერთ მხარესთან ან დავის შედეგთან დაკავშირებით;

არბიტრის ოჯახის ახლო წევრს აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური ინტერესი ერთ-ერთი მხარის მიმართ ან ერთ-ერთ მხარესთან დაახლოებული პირის მიმართ.

ასეთი გარემოებების არსებობისას არბიტრის მიერ მისი მოვალეობის შესრულება მხოლოდ იმ პირობით და მხოლოდ მაშინ დაიშვება, როდესაც მხარეებისათვის აღნიშნული გარემოებების შესახებ ცნობილია და ამის მიუხედავად, ისინი მაინც ნათლად და არაორაზროვნად გამოთქვამენ თანხმობას ასეთი პირის მიერ არბიტრის ფუნქციების განხორციელების შესახებ.

ნარინჯისფერი სიის მიხედვით:

არბიტრი არბიტრად დანიშვნამდე უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში გამოდიოდა ერთ-ერთი მხარის ან ერთ-ერთ მხარესთან აფილირებული პირის წარმომადგენლად ან განუული აქვს მომსახურება რომელიმე მხარისათვის ან არბიტრად დანიშნავი მხარის აფილირებული პირის მიმართ სხვა საქმეში, მაგრამ არბიტრს და მხარეს ან აფილირებულ პირს აღარ აქვთ განგრძობადი ურთიერთობა;

არბიტრი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოდიოდა ერთ-ერთი მხარის ან ერთ-ერთი მხარესთან აფილირებული პირის წარმომადგენლად მოცემულ დავასთან კავშირის არმქონე საქმეზე;

არბიტრი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ერთ-ერთი მხარის ან/და ერთ-ერთი მხარის აფილირებული პირის მიერ არბიტრად დანიშნული იყო ორჯერ ან მეტჯერ;

არბიტრის იურიდიული ფირმა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში წარმოადგენდა ერთ-ერთი მხარის ან ერთ-ერთი მხარესთან აფილირებული პირის ინტერესებს ამ საქმესთან კავშირის არქონე საქმეში ამ არბიტრის მონაწილეობის გარეშე;

არბიტრი ამჟამად წარმოადგენს ან უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში წარმოადგენდა არბიტრს სხვა არბიტრაჟში ერთ-ერთი მხარის ან ერთ-ერთ მხარესთან აფილირებული პირის მონაწილეობით ამ საქმესთან დაკავშირებულ სხვა საქმეში;

არბიტრის იურიდიული ფირმა უწევს მიმდინარე მომსახურებას ერთ-ერთ მხარეს ან ერთ-ერთი მხარესთან აფილირებულ პირს მნიშვნელოვანი კომერციული ურთიერთობის და არბიტრის მონაწილეობის გარეშე;

იურიდიული ფირმა, რომელიც არბიტრის იურიდიულ ფირმასთან ერთად იყოფს შემოსავლებს ან ჰონორარს, იურიდიულ მომსახურებას უწევს ერთ-ერთ მხარეს ან ან ერთ-ერთი მხარესთან აფილირებულ პირს და წარმოადგენს მას არბიტრაჟში;

არბიტრი ან მისი იურიდიული ფირმა მხარის ან მხარესთან აფილირებული პირის იურიდიულ ინტერესს არბიტრაჟში წარმოადგენენ რეგულარულად, მაგრამ მოცემულ დავაში არ მონაწილეობენ;

არბიტრი და მეორე არბიტრი წარმოადგენენ ერთი და იმავე იურიდიული ფირმის ადვოკატებს/იურისტებს;

არბიტრი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში წარმოადგენდა პარტნიორს ან სხვაგვარად იყო დაკავშირებული სხვა არბიტრთან ან მოცემულ საქმეში მონაწილე ნებისმიერი მხარის წარმომადგენელთან;

არბიტრის იურიდიული ფირმის იურისტი/ადვოკატი არის სხვა დავაში მონაწილე იმავე მხარის ან მასთან აფილირებული პირის წარმომადგენელი;

არბიტრის ოჯახის წევრი არის პარტნიორი ან მუშაობს ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელ იურიდიულ ფირმაში, მაგრამ არ მონაწილეობს მოცემულ საქმეში;

არსებობს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა არბიტრსა და ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელს შორის, რისი დასტურიცაა ის ფაქტი, რომ არბიტრი და ეს პირი რეგულარულად ატარებენ ერთად მნიშვნელოვან დროს, ამასთან ეს არ არის დაკავშირებული მათ პროფესიულ შრომით მოვალეობებთან ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა თუ გაერთიანებებში მონაწილეობასთან;

არბიტრი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სამჯერ ან მეტჯერ იქნა დანიშნული არბიტრად ერთი და იმავე წარმომადგენლის ან ერთი და იმავე იურიდიული ფირმის მიერ;

არბიტრის იურიდიული ფირმა ამჟამად აწარმოებს საქმეს ერთ-ერთი მხარის ან ერთ-ერთ მხარესთან აფილირებული პირის მიმართ;

არბიტრი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში პროფესიული საქმიანობით დაკავშირებული იყო მხარესთან ან მასთან აფილირებულ პირთან, მაგალითად ყოფილი მუშაკის ან პარტნიორის სახით;

არსებობს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა არბიტრსა და მენეჯერს ან დირექტორს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შორის ან ნებისმიერ პირთან, რომელსაც მსგავსი ფუნქციები გააჩნია და შესაძლებლობას აძლევს გავლენა მოახდინოს ერთ-ერთი მხარის ან მასთან აფილირებული პირის, ან მონმის ან ექსპერტის მოქმედებაზე და ეს გარემოება დასტურდება იმით, რომ არბიტრი და ასეთი პირი ერთად რეგულარულად ატარებენ მნიშვნელოვან დროს და ეს არ არის დაკავშირებული მათ პროფესიულ შრომით მოვალეობებთან ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა თუ გაერთიანებებში მონაწილეობასთან;

არბიტრს, თუ ის ადრე მოსამართლედ მუშაობდა, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ერთ-ერთი მხარის მონაწილეობით საქმეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა აქვს განხილული;

არბიტრი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს საჯარო მიმოქცევაში არსებულ აქციებს, რომლებიც მათი რაოდენობისა თუ ღირებულებიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად მონაწილეობენ ერთ-ერთი მხარის ან მასთან აფილირებული პირის საქმიანობაში;

არბიტრს ბეჭდური სახით, საჯაროდ ზეპირი ფორმით ან სხვაგვარად გამოთქმული აქვს არბიტრაჟში განსახილველ საქმესთან დაკავშირებული რომელიმე პოზიციის მხარდამჭერი პოზიცია;

არბიტრს მის დამნიშნავ საარბიტრაჟო დაწესებულებაში უკავია გარკვეული თანამდებობა;

არბიტრი წარმოადგენს მენეჯერს, დირექტორს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ფლობს მსგავს უფლებამოსილებას, რომელიც საშუალებას აძლევს გავლენა მოახდინოს ერთ-ერთ მხარესთან აფილირებულ პირზე, თუ ასეთი პირი პირდაპირ არ მონაწილეობს არბიტრაჟში განსახილველ საქმეში.

როგორც ვხედავთ, ნარინჯისფერი სიას საკმაოდ მოცულობითია. მითითებულ სიაში არსებული ნებისმიერი გარემოების შესახებ არბიტრი ვალდებულია გაამყლავნოს ასეთი გარემოება და მხარის გადასანყვეტია განუცხადებს თუ არა არბიტრს აცილებას (კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნათა დაცვით).

მწვანე სიის მიხედვით:

არბიტრს არბიტრად დანიშვნამდე საჯაროდ აქვს გამოთქმული აბსტრაქტული მოსაზრება საარბიტრაჟო განხილვის ერთ-ერთ საკითხზე;

არბიტრის იურიდიული ფირმა მოქმედებდა ერთ-ერთი მხარის

ან მასთან დაახლოვებული პირის წინააღმდეგ ამ საქმესთან კავშირში არმყოფ საქმეში და არბიტრი იმ საქმეში არ ლეზულობდა მონაწილეობას;

ფირმა, რომელიც თანამშრომლობს არბიტრის იურიდიულ ფირმასთან ან გაერთიანებულია მასთან, მაგრამ არ აწარმოებს ჰონორარებისა და სხვა შემოსავლების მასთან გაყოფას, იურიდიულ მომსახურებას უწევს ერთ-ერთ მხარეს ან ერთ-ერთი მხარის აფილირებულ პირს ამ საქმესთან კავშირის არმქონე საქმეში;

არბიტრს აქვს ურთიერთობა სხვა არბიტრთან ან ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელთან ერთი და იგივე პროფესიულ ასოციაციაში ან სოციალურ ორგანიზაციაში წევრობის გზით;

არბიტრს მის დამნიშნავ მხარესთან ან მასთან აფილირებულ პირთან (ან მათ წარმომადგენლებთან) არბიტრად დანიშვნამდე ჰქონდა კონტაქტი, თუ ასეთი კონტაქტი შემოიფარგლებოდა არბიტრად დანიშვნის შესაძლებლობაზე და კვალიფიკაციაზე მსჯელობით და ადგილი არ ჰქონდა განსახილველი საკითხების არსის და პროცესუალური ასპექტების განხილვას;

არბიტრი და მხარის წარმომადგენელი ან სხვა არბიტრი მანამდე ერთად ახოციელებდნენ მომსახურებას როგორც არბიტრები ან მხარის წარმომადგენლები;

არბიტრი ფლობს საჯარო მიმოქცევაში მყოფი აქციების უმნიშვნელო რაოდენობას საარბიტრაჟო პროცესის ერთ-ერთ მხარეში. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, **მითითებული გარემოებების არსებობა სახელმძღვანელო წესების თანახმად არ საჭიროებს გამჟღავნებას** (თუმცა საქართველოს არბიტრთა ეთიკის კოდექსის ნორმებიდან გამომდინარე, რომელიც ეთიკური სტანდარტების უფრო მაღალ ხარისხს ითვალისწინებს, ასეთი გარემოებების გამჟღავნება სავალდებულოა). ერთი საკითხი, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს, ესაა არბიტრის და მხარის ან მასთან აფილირებული პირის წარმო-

მადგენლის სოციალურ ქსელში მეგობრობის საკითხი. არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. მიუკერძოებლობის დადასტურების მიზნით ალბათ უფრო სწორი იქნება ინფორმაციის გამჟღავნება და ყოველი კონკრეტული გარემოება მხარეთა შესაფასებელი იქნება.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ 2004 წლის მაისში მოწონებული და რეკომენდირებული სახელმძღვანელო წესების თანახმად, არბიტრს გამჟღავნების განმეორებითი ვალდებულება ეკისრება, თუ მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ გაუქმებული იქნა და ეს საქმე კვლავ მის წარმოებაში აღმოჩნდება. ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის მითითებული სახელმძღვანელო წესების თანახმად, არბიტრის მიერ შესაბამისი ფაქტების გამჟღავნება მისი მიუკერძოებლობის სასარგებლოდ უნდა იყოს აღქმული და დაუშვებელია როგორც უსაფუძვლო აცილება, ასევე უსაფუძვლო თვითაცილება.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ 2014 წლის ივნისში მიღებული იქნა არბიტრთა ეთიკის კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს რა სახელმძღვანელო წესების დებულებებს, ადგენს არბიტრთა ქცევის საკმაოდ მაღალ სტანდარტებს და მისი დაცვა სავალდებულოა. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეთიკის ნორმების განუხრელი დაცვა სავალდებულოა იმ ადვოკატებისთვისაც, რომლებიც საარბიტრაჟო წარმოების მხარეებს წარმოადგენენ. „მერკანტილიზმისათვის პროფესიონალიზმის დაპირისპირების შესახებ“ ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს 2000 წლის სექტემბრის დადგენილების და ამავე ასოციაციის მიერ დამტკიცებული ეთიკის საერთაშორისო კოდექსის შესაბამისად, ისევე როგორც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ადვოკატებმა მხარეთა უფლებების და ინტერესების დაცვა უნდა განახორციელონ კვალიფიციურად და ეთიკის სტანდარტების განუხრელი დაცვით.

7. კანონმა გაითვალისწინა არბიტრად დანიშვნის გამომრიცხავი საფუძვლები. კერძოდ, პირი არბიტრად ვერ დაინიშნება, თუ: შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღებია და თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობს პირი ან საჯარო მოხელეა (2017 წლის 1 ივლისიდან კი, კანონში 2016 წლის 21 დეკემბერს შეტანილი ცვლილების შესაბამისად, არბიტრად დანიშვნა ეკრძალებათ სახელმწიფო მოსამსახურეებს, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს, პოლიტიკური თანამდებობის პირებს და საჯარო მოსამსახურეებს) ან მსჯავრდებულია დანაშაულის ჩადენისათვის და მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა. პირს არბიტრად დანიშვნა ეკრძალება ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე იყო მედიატორი. სხვა შემთხვევაში დაუშვებელია პირს აეკრძალოს არბიტრად დანიშვნა.

მუხლი 12. არბიტრის აცილეზის საფუძვლები

1. მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ არბიტრი არ აკმაყოფილებს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ კვალიფიკაციას ან/და არსებობს გარემოებები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს დასაბუთებული ეჭვი არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში.
2. მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს თავის მიერ დანიშნული არბიტრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომლების მისთვის ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შემდეგ.
3. პირი, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ან უკვე დანიშნული არბიტრი ვალდებულია მისი დანიშნიდან საარბიტრაჟო განხილვის მთელი ვადის განმავლობაში დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებს და არბიტრაჟს იმ გარემოებათა

შესახებ, რომლებიც საეჭვოს ხდის მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

1. მე-11 მუხლის კომენტარებში მოყვანილი იქნა ის საორიენტაციო საფუძვლები, რომელთა არსებობისას მხარემ შეიძლება დააყენოს არბიტრის აცილების საკითხი. ასეთი საფუძვლების არსებობისას ან თუ გამოირკვევა, რომ არბიტრი არ აკმაყოფილებს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ კვალიფიკაციას (მხარეები შეთანხმდნენ საქმის გარკვეული კვალიფიკაციის მქონე არბიტრის მიერ განხილვის შესახებ და ამის მიუხედავად, საარბიტრაჟო დანესებულებამ არბიტრის დანიშნისას მხარეთა შეთანხმებაში აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემი არ გაითვალისწინა), საქმის მიუკერძოებლად განხილვის უზრუნველსაყოფად კანონმა მხარეს მიანიჭა არბიტრის აცილების უფლება. როგორც აღინიშნა, აცილების უდავო საფუძველია ე.წ. „იმპერატიულ წითელ სიაში“ მითითებული ნებისმიერი გარემოება, ამასთანავე, აცილების საფუძველია „არაიმპერატიულ წითელ სიაში“ და „ნარინჯისფერ სიაში“ მითითებული გარემოებები, ოღონდ, ასეთი გარემოებების არბიტრის მიერ გამჟღავნების შემდეგ მხარეებმა მაინც ნათლად და არაორაზროვნად უნდა გამოთქვან თანხმობა ასეთი პირის მიერ არბიტრის ფუნქციების განხორციელების შესახებ („იმპერატიული წითელი სიის“ შემთხვევაში ასეთი თანხმობა არ ჩაითვლება ნამდვილად და გავლენას იქონიებს გადაწყვეტილების გაუქმების ან ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვის შედეგზე (გთხოვთ იხილოთ კანონის 42-ე და 45-ე მუხლების კომენტარი).

2. მხარის მიერ დანიშნული არბიტრის აცილების საკითხი ასეთმა მხარემ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს, თუ გარემოებები, რომელთა გამოც იგი მოითხოვს მის მიერ დანიშნული არბიტრის აცილებას, არბიტრის კანდიდატურის დასახელებამდე და მის დანიშნამდე მისთვის ცნობილი არ იყო. რადგანაც კანონმა ეს საკითხი დაუკავშირა აცილების საფუძვლის არსებობის შესახებ ინფორმაციის ფლობის დროის საკითხს, სავსებით ცხადია, რომ მხარეს უფლება არა

აქვს დასვას მის მიერ დანიშნული არბიტრის აცილება, თუ აცილების საფუძვლის არსებობა მისთვის არბიტრის კანდიდატურის წამოყენებამდე იყო ცნობილი. შესაბამისად, ყოველი მხარის რისკია, რამდენად გააზრებულად მოახდენს არბიტრის კანდიდატურის შერჩევა-დანიშვნას (გთხოვთ ასევე იხილოთ 31-ე მუხლის კომენტარი).

3. ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ რეკომენდირებულ სახელმძღვანელო წესებში მითითებული გამჟღავნებასავალდებულო გარემოებების ან ისეთი გარემოების არსებობისას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს არბიტრის მიუკერძოებლობაზე ან შექმნას მიუკერძოებლობის გონივრული ეჭვი, პირი, რომელიც უნდა დანიშნოს, ან უკვე დანიშნულია არბიტრად, ვალდებულია მისი დანიშნიდან საარბიტრაჟო განხილვის მთელი ვადის განმავლობაში დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებს და არბიტრაჟს ასეთი გარემოებათა შესახებ. ასეთ ვალდებულებას არბიტრს პირდაპირ აკისრებს საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული არბიტრთა ეთიკის კოდექსი, რომლის შესაბამისად, „ყოველი ეჭვი, იმის შესახებ, არსებობს თუ არა გამჟღავნების ვალდებულება, უნდა გადაწყდეს გამჟღავნების სასარგებლოდ (მე-2 პრინციპის მე-4 პუნქტი). ამდენად ნათელია, რომ საქართველოს არბიტრთა ეთიკის კოდექსი არბიტრთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხში უფრო მაღალ სტანდარტებს ითვალისწინებს.

მუხლი 13. არბიტრის აცილების პროცედურა

1. მხარეებს, ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, შეუძლიათ შეთანხმდნენ არბიტრის აცილების პროცედურაზე.
2. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას მხარე, რომელსაც განზრახული აქვს, აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია არბიტრის აცილების შესახებ წერილობითი განცხა-

დება წარუდგინოს არბიტრაჟს იმ დღიდან 15 დღის ვადაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. არბიტრის აცილების შესახებ განცხადებაში უნდა მიეთითოს არბიტრის აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ გამოაცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე მხარე არ დაეთანხმება მის აცილებას არბიტრის აცილების შესახებ განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, არბიტრის აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი ამ ვადის გასვლიდან 30 დღეში.

- 2¹. თუ არბიტრის აცილების შესახებ მხარის განცხადება არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა, მხარეს, რომელიც არბიტრის აცილებას აცხადებს, შეუძლია არბიტრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.
3. ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს არბიტრის დანიშნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია, 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.
4. სასამართლოს ამ მუხლის 2¹ და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილება გამოაქვს განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. ასეთ შემთხვევაში არბიტრს უფლება აქვს გამოაცხადოს თვითაცილება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. არბიტრის აცილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე არბიტრაჟს შეუძლია გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვა იმ არბიტრის მონაწილეობის გარეშე.

ილებით, რომლის აცილებასაც ითხოვს მხარე, და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

5. აცილების საფუძვლის არსებობისას არბიტრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

1. საარბიტრაჟო წარმოების მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ არბიტრ(ებ)ის აცილების პროცედურაზე. სავალდებულოა, რომ ასეთი პროცედურა წერილობითი ფორმით იყოს ჩამოყალიბებული, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმება არ იქნება ნამდვილი. არბიტრ(ებ)ის აცილების პროცედურის განსაზღვრის უფლებით მხარეები სარგებლობენ როგორც **ad hoc** არბიტრაჟის, ასევე ინსტიტუციური არბიტრაჟის დროს. **ad hoc** არბიტრაჟის შემთხვევაში, თუ არბიტრის დანიშვნის, აცილების, უფლებამოსილების შეწყვეტის და შეცვლის ფუნქციებს ახორციელებს დამნიშნავი ორგანო, აცილების საკითხზე მიღებული მისი გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას (*გთხოვთ იხილოთ მოდელური კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი*). სხვა შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმების მიუღწევლობისას, მხარეს აქვს სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში აცილების პროცედურა გათვალისწინებულია საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წესებით (დებულება) და არბიტრ(ებ)ის აცილების პროცედურა საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წესებით განისაზღვრება, რაც ასევე გამორიცხავს სასამართლო წესით გასაჩივრებას (*გთხოვთ იხილოთ მოდელური კანონის მე-6 მუხლი და მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი*).

2. მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის (არბიტრის აცილების პროცედურაზე მხარეთა შეთანხმება) არარსებობისას, მხარემ, შესაბამისი საფუძვლის გაგებიდან 15 დღის ვადაში, არბიტრაჟს წერილობითი განცხადება უნდა წარუდგინოს. „არბიტრაჟი“-ს ქვეშ მოიაზრება **ad hoc** არბიტრაჟის წესით ფორმირებული საარბიტრაჟო ტრიბუნალი და არა საარბიტრაჟო დაწესებულება, რადგანაც მხ-

არეთა შეთანხმება საარბიტრაჟო დაწესებულებაზე, კანონის მე-2 მუხლის თანახმად ნიშნავს შეთანხმებას ამ საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წესებზე და ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში ეს პროცედურა საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წესებით რეგულირდება (გთხოვთ იხილოთ მე-2 მუხლის კომენტარი). ასეთ შემთხვევაში მხარემ შესაბამისი მტკიცებულებით უნდა დაადასტუროს, რომ აცილების საფუძვლის შესახებ ინფორმაციის გაგებიდან არ გასულა 15 დღის ვადა და ასევე უნდა მიუთითოს აცილების საფუძველი და მოტივი. ასეთი განცხადების წარდგენის შემთხვევაში არბიტრი, თუ განცხადებულ აცილებას საფუძვლიანად მიიჩნევს, უფლებამოსილია თვითააცილება გამოაცხადოს და ის აცილებულად ითვლება (ასეთ შემთხვევაში სხვა პროცედურა აღარ მოითხოვება). თვითააცილების განუცხადებლობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო პროცესის სხვა მხარეს (მხარეებს) უფლება აქვთ დაეთანხმოს არბიტრის აცილების შესახებ განცხადებას და არც ასეთ შემთხვევაში მოითხოვება სხვა პროცედურა — არბიტრი აცილებული იქნება. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ გამოაცხადებს თვითააცილებას ან თუ მოწინააღმდეგე მხარე არ დაეთანხმება მის აცილებას არბიტრის აცილების შესახებ განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, აცილების საკითხს გადაწყვეტს საარბიტრაჟო ტრიბუნალი (კანონის ტექსტში მითითებული ტერმინი „არბიტრაჟი“ ამ შემთხვევაში სამი ან მეტი ნევრისაგან შემდგარ საარბიტრაჟო ტრიბუნალის დატვირთვითაა გამოყენებული). კანონი არ არეგულირებს უნდა მიიღოს თუ არა მონაწილეობა აცილების საკითხის განხილვაში ასაცილებელმა არბიტრმა, თუმცა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა (მაგალითად ავსტრია) უშვებს ასეთ შესაძლებლობას. ვფიქრობ, მართებული იქნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის ანალოგიის გამოყენება და ასაცილებელი პირის ჩამოცილება აცილების საკითხის განხილვისაგან.

3. 2015 წლის მარტში, კანონში შეტანილი ცვლილებით, დამატებით განისაზღვრა, რომ თუ არბიტრის აცილების შეს-

ახებ მხარის განცხადება არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა, მხარეს, რომელიც არბიტრის აცილებას აცხადებს, შეუძლია არბიტრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადანყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით. ამ შემთხვევაშიც ტერმინის „არბიტრაჟი“-ს ქვეშ მოიაზრება სამი ან მეტი არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო ტრიბუნალი და არა საარბიტრაჟო დანესებულება. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ საკითხის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოა, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა გაიმართოს საარბიტრაჟო განხილვა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹ 15 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადანყვეტილება ასეთ განცხადებაზე მიღებული უნდა იქნეს 14 დღის ვადაში განცხადების წარმოებაში მიღების დღიდან და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად ასეთი გადანყვეტილება საბოლოოა, რაც ასევე შეესაბამება მოდელური კანონის მითითებული მუხლების მოთხოვნებს.

4. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისაგან განსხვავებით, კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი, ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, ითვალისწინებს არბიტრის აცილების განსაზღვრულ პროცედურას თუ მხარეებს განსაზღვრული არა აქვთ დამნიშნავი ორგანო. კერძოდ, კანონის რედაქციის მიხედვით, მხარემ, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, არბიტრის აცილების გარემოების შეტყობიდან 30 დღის განმავლობაში აცილების შესახებ განცხადებით უშუალოდ სასამართლოს უნდა მიმართოს. ეს პუნქტი, წინა პუნქტებში მითითებული გარემოებების გამო უშუალოდ და მხოლოდ *ad hoc* არბიტრაჟს ეხება და ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარეებს არ განუსაზღვრავთ არბიტრის აცილების რაიმე პროცედურული ნესები.

5. კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სასამართლო

გადანყვეტილებამდე, ანუ განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის გასვლამდე, არბიტრს უფლება აქვს გამოაცხადოს თვითაცილება (ცხადია, თუ ის განცხადებას საფუძვლიანად მიიჩნევს). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ არბიტრის აცილების საკითხის განხილვამდე და გადანყვეტილების გამოტანამდე „არბიტრაჟს შეუძლია გაარძელოს საარბიტრაჟო განხილვა იმ არბიტრის მონაწილეობით, რომლის აცილებასაც ითხოვს მხარე და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადანყვეტილება“. სიტყვა „არბიტრაჟი“ ამ შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალის კონტექსტშია მოტანილი.

6. კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აცილების საფუძვლის არსებობისას არბიტრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ რეკომენდირებულ სახელმძღვანელო წესებში მითითებული ან, არბიტრის შეხედულებით ისეთი გარემოებების არსებობისას, რაც ეჭვქვეშ დააყენებს მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას, არბიტრმა არ უნდა განაცხადოს თანხმობა არბიტრად დანიშვნაზე, ხოლო უკვე დანიშვნის შემთხვევაში თვითაცილების გზით უარი უნდა განაცხადოს არბიტრის ფუნქციის განხორციელებაზე. ასეთი უფლების განხორციელებაზე უარის თქმა, აცილების საფუძვლის სასამართლოს მიერ გაზიარების შემთხვევაში, ცხადია შემდგომში შექმნის ასეთი არბიტრის მიერ/მონაწილეობით გამოტანილი გადანყვეტილების გაუქმების საფუძველს, თუ არბიტრაჟი ისარგებლებს კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით მინიჭებული უფლებით და გადანყვეტილებას მის წარმოებაში არსებულ საქმეზე გამოიტანს სასამართლოს მიერ აცილების საკითხის გადანყვეტამდე. აღსანიშნავია, რომ არბიტრმა თვითაცილება უნდა განაცხადოს მაშინაც, როდესაც მოეთხოვება კონფიდენციალური და/ან სამართლებრივად დაცული ინფორმაციის გამჟღავნება და მას ამის თაობაზე არ გააჩნია ასეთი ინფორმაციის მფლობელის თანხმობა (საქართველოს არბიტრთა ეთიკის კოდექსის მეორე პრინციპი, პ.9).

მუხლი 14. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. მხარეს არა აქვს უფლება, ერთპიროვნულად შეცვალოს თავის მიერ დანიშნული არბიტრი.
2. მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში არბიტრს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან მხარეთა შეთანხმებით. აღნიშნულ შემთხვევებში შეთანხმების მიუღწევლობისას ერთ-ერთ მხარეს შეუძლია არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნის დაყენებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით. სასამართლოს აღნიშნულ საკითხზე გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში, ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
3. არბიტრის მიერ უარის თქმა თავისი მოვალეობის შესრულებაზე ან მხარის თანხმობა არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტაზე არ გულისხმობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობას ან აცილების ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობას ან მათ აღიარებას.

1. მხარის უფლება, დანიშნოს არბიტრი, შეუქცევადია. ამასთანავე, მას არბიტრის აცილების საფუძვლის შემთხვევაში გააჩნია მისი აცილების უფლება, რაც უკვე განხილული იყო მე-11 — მე-13 მუხლების კომენტარებისას.

2. კანონი ითვალისწინებს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესაძლებლობას როგორც თავად არბიტრის მოთხოვნის, აგრეთვე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტას ადგილი შეიძლება ჰქონდეს არბიტრის სხვა სამუშაოზე ან საცხოვრებელ ადგილზე გადასვლის შემთხვევაში, რაც შეუძლებელს ხდის არბიტრის მოვალეობის შესრულებას და არბიტრი თავად არის

უფლებამოსილების შეწყვეტის ინიციატორი. შესაძლებელია სხვა საფუძვლების არსებობაც. მაგალითად, გარკვეული, სხვა გარემოებების გამო არბიტრი ფაქტობრივად ან იურიდიულად შეზღუდულია თავისი ფუნქციების შესრულებაში და საარბიტრაჟო დაწესებულება, როდესაც მხარეები შეთანხმებულები არიან დავის ამ დაწესებულების რეგლამენტით განხილვის შესახებ, მისი რეგლამენტის/დებულების შესაბამისად თავად მიიღებს გადაწყვეტილებას არბიტრის შეცვლის შესახებ ან დააკმაყოფილებს მხარის განცხადებას არბიტრის აცილების შესახებ, ან ერთი მხარის მიერ დაყენებულ აცილებას დაეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე. ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში ამ საკითხზე გადაწყვეტილებას, ისევე როგორც აცილების შემთხვევაში, ლებულობს საარბიტრაჟო დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურა და მისი გადაწყვეტილება ასევე არ ექვემდებარება გასაჩივრებას (*გთხოვთ იხილოთ მოდელური კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი*). **ad hoc** არბიტრაჟის შემთხვევაში ამ საკითხზე გადაწყვეტილებას ლებულობს დამნიშნავი ორგანო, თუ მხარე სარგებლობს მისი მომსახურებით და დამნიშნავი ორგანოს გადაწყვეტილებაც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება (*გთხოვთ იხილოთ მოდელური კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი*). რაც შეეხება **ad hoc** არბიტრაჟში დამნიშნავი ორგანოს არარსებობის შემთხვევას, მხარემ არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე უნდა მიმართოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებაც ასევე არ გასაჩივრდება.

3. კანონის მოცემული მუხლით განსაზღვრულია, რომ არბიტრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა ან მხარის თანხმობა არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტაზე არ გულისხმობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობას ან აცილების ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობას ან მათ აღიარებას. როგორც აღინიშნა, არბიტრმა თვითააცილება უნდა განაცხადოს მაშინაც, როდესაც მოეთხოვება კონფიდენციალური და/ან სამართლებრივად დაცული ინფორმაციის გამჟღავნება და

მას ამის თაობაზე არ გააჩნია ასეთი ინფორმაციის მფლობელის თანხმობა და ასეთ შემთხვევაში განსახილველი საქმისგან განრიდება სწორედ არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე მიუთითებს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ არბიტრის აცილება მეორე მხარის თანხმობის შემთხვევაში ავტომატურ რეჟიმში ხდება და კანონი არ ითვალისწინებს ასეთი თანხმობის მოტივაციის გაცხადებას. შესაბამისად, არანაირი საფუძველი არ არსებობს, რომ ასეთი თანხმობა არბიტრის უმოქმედობის შედეგად მივიჩნიოთ.

მუხლი 15. ახალი არბიტრის დანიშვნა

არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ახალი არბიტრი დაინიშნება იმ წესების დაცვით, რომლების გამოყენებულ იქნა წინა არბიტრის დანიშვნისას.

არბიტრის უფლებამოსილების ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში (მნიშვნელობა არა აქვს საფუძველს) ახალი არბიტრის დანიშვნა უნდა განხორციელდეს იმ პროცედურის შესაბამისად, რაც წინ უძღვოდა წინა არბიტრის დანიშვნას.

თავი №4

არბიტრაჟის უზღუდამოსილება

მუხლი 16. არბიტრაჟის კომპეტენცია

1. არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით, საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც

არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.

2. განცხადება იმის შესახებ, რომ არბიტრაჟს არ აქვს კომპეტენცია, შეიძლება გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე. მხარის მიერ არბიტრის დანიშვნა ან არბიტრის დანიშვნაში მონაწილეობა არ ართმევს ამ მხარეს უფლებას, გააკეთოს ასეთი განცხადება.
3. განცხადება არბიტრაჟის მიერ საკუთარი კომპეტენციის გადაჭარბების შესახებ უნდა გაკეთდეს მხარის მიერ შესაბამისი გარემოების შეტყობიდან 7 დღის ვადაში.
4. განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგაც, თუ აღნიშნული ვადის გასვლას არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს.
5. არბიტრაჟი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ განცხადებასთან დაკავშირებით გადანყვეტილება მიიღოს საბოლოო საარბიტრაჟო გადანყვეტილების გამოტანამდე ან საბოლოო საარბიტრაჟო გადანყვეტილებასთან ერთად. თუ არბიტრაჟი საბოლოო საარბიტრაჟო გადანყვეტილების გამოტანამდე დაადგენს, რომ მას აქვს შესაბამისი კომპეტენცია, ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება, არბიტრაჟის ამგვარი გადანყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში გაასაჩივროს ეს გადანყვეტილება სასამართლოში. არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხის გადანყვეტამდე საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და გამოტანილ იქნეს საარბიტრაჟო გადანყვეტილება.

6. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში არბიტრაჟი საკუთარი კომპეტენციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე ან საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად.

1. დებენ რა საარბიტრაჟო შეთანხმებას, მხარეები ამით კონკრეტულ არბიტრაჟს (*ad hoc* ან ინსტიტუციურს) აღჭურვავენ საქმის განხილვისა და აღსრულებადი გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილებით. შესაბამისად, არბიტრაჟის კომპეტენციის წყაროს წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმება. საარბიტრაჟო შეთანხმების შედგენისას მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ საარბიტრაჟო დათქმა უნდა ემსახურებოდეს მის შესრულებას. ეს უშუალოდ უკავშირდება არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხს. ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს (IBA) მიერ 2010 წლის ოქტომბერში დამტკიცებული „საერთაშორისო საარბიტრაჟო დათქმების შედგენის შესახებ“ სახელმძღვანელო პრინციპების (მე-2 სახელმძღვანელო პრინციპი) რეკომენდაციის თანახმად, მხარეებმა კონკრეტული არბიტრაჟი *(ამ შემთხვევაში ნაგულისხმებია საარბიტრაჟო დანესებულება, რომელიც ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში ახორციელებს ადმინისტრირებას. საარბიტრაჟო დანესებულება არ წარმოადგენს დავის განმხილველ ორგანოს და მხარეებს ეხმარება პროცესის ადმინისტრირებაში, წარმოადგენს პროცესის ჩატარების მხარდამჭერს და მხარეთა ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული აქვს საარბიტრაჟო განხილვის წესები, დებულება, თუმცა, როგორც არაერთხელ აღინიშნა, მხარეები არ არიან შეზღუდული ცალკეული პროცედურული საკითხების მათ მიერ განსაზღვრაში, რაც შესასრულებლად სავალდებულო იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალი-სათვის, რომლის ფორმირებას, მხარეთა სხვაგვარი შეთანხმების არარსებობისას ასევე საარბიტრაჟო დანესებულება ახორციელებს)* არაორაზროვნად უნდა მიუთითონ. მითითებულის გათვალისწინებით, ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში

მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში/დათქმაში ნათლად უნდა გამოხატონ საკუთარი ნება არსებული ან სამომავლო დავის კონკრეტული და იდენტიფიცირებადი საარბიტრაჟო დანესებულების შესახებ ან ასეთი დანესებულების საარბიტრაჟო ნესების მიხედვით განხილვის შესახებ და თანაბრად უნდა იყოს დაცული ორივე მხარის უფლებები. „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ გაეროს 1958 წლის 10 ივნისის კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, ასეთი შეთანხმება უნდა იყოს შესრულებადი. შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმება არ უნდა იყოს აღუსრულებელი („*incapable of being performed*“). რა არის კომპეტენცია, რა სტადიაზე და ვის მიერ მიიღება (**საარბიტრაჟო დანესებულების თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ და როდის უნდა ჩაერიოს სააპელაციო სასამართლო არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხის განხილვაში**) გადაწყვეტილება არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებით. არბიტრაჟის კომპეტენცია მოიცავს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული დავის განხილვას საარბიტრაჟო ტრიბუნალის და არა საარბიტრაჟო დანესებულების მიერ (**საარბიტრაჟო დანესებულება უშუალოდ არ იხილავს დავას, ის, როგორც აღინიშნა, ახორციელებს საარბიტრაჟო პროცესის ადმინისტრირებას. ეს ძალიან არსებითია და მნიშვნელობა აქვს კომპეტენციის განსაზღვრის საკითხში. პრაქტიკაში არსებობს სააპელაციო სასამართლოს რამდენიმე განჩინება, რომლითაც სასამართლომ არბიტრაჟის კომპეტენცია არ ცნო მხარის წარმომადგენლის საარბიტრაჟო დანესებულებასთან აფილირებულ პირად მიჩნევის გამო, რაც არ არის სწორი კანონის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, რადგანაც კომენტირებული ნორმის და მოდელური კანონის არსიდან გამომდინარე, კომპეტენციის საკითხი უკავშირდება საარბიტრაჟო ტრიბუნალს, რომელიც უშუალოდ იხილავს დავას და შესაბამისი საფუძვლის არსებობისას აცილების საკითხიც სწორედ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ნევრ(ებ)ს ეხება და არა საარბიტრაჟო დანესებულებას**) და მხოლოდ შეთანხმებით განსაზღვრულ ფარგლებში, მაგრამ არბიტრაჟის კომპეტენცია მარ-

ტოოდენ მხარეთა შეთანხმებით არ შემოიფარგლება. კანონის იმპერატიული დანაწესის თანახმად, „არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის“ (კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი). შესაბამისად, არბიტრაჟის **(ამ ტერმინში მოიაზრება არბიტრაჟი, როგორც პროცესი, რომელსაც ახორციელებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი)** კომპეტენცია არის მისი იურისდიქციის **(Jurisdiction – საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილება, განიხილოს მისთვის გადაცემული დავა)** არსებობა განიხილოს მისთვის გადაცემული არბიტრაჟუნარიანი დავა. შესაბამისად, საარბიტრაჟო დავის დაწყების საფუძველი — მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა იყოს არბიტრაჟუნარიანი, რათა სახეზე იყოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენცია კონკრეტული დავის განხილვის საკითხზე. ამდენად, შესაძლებელია არსებობდეს მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება დავის არბიტრაჟის **(ad hoc ან ინსტიტუციურის)** მიერ განხილვის შესახებ, მაგრამ არბიტრაჟს არ გააჩნდეს მხარეთა შეთანხმებაში მითითებული დავის განხილვის უფლებამოსილება **(ნებისმიერი სახელმწიფო დავათა ცალკეულ კატეგორიაზე ადგენს სასამართლოს ექსკლუზიურ განსჯადობას და ასეთი კატეგორიის დავებზე საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის პირობებშიც კი, საარბიტრაჟო განხილვა დაუშვებელია იურიდიქციის არარსებობის გამო)**. ცხადია, ასეთ დავებზე საარბიტრაჟო შეთანხმება ან დათქმა, როგორც გარიგება, ნების ავტონომიის პირობებშიც კი, უცილოდ ბათილი გარიგებაა და მას არ სჭირდება დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოება. ასეთი გარიგება ბათილია მისი დადების დღიდან და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. შესაბამისად, ასეთ დავებზე მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში არ იქნება ცნობილი და მიქცეული აღსასრულებლად, ხოლო მოპასუხის მიერ მისი გასაჩივრების შემთხვევაში კი დაექვემდებარება გაუქმებას მიუხედავად იმისა, ისარგებლა თუ არა მოპასუხემ კანონის 31-ე მუხლით გათ-

ვალისწინებული უფლებით. ე.წ. **კომპეტენცია კომპეტენციისათვის** შესახებ დოქტრინიდან გამომდინარე („**competence-competence**“ — პრინციპი, რომლის თანახმად საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება თავად დაადგინოს საკუთარი იურისდიქციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რაც გულისხმობს არბიტრაჟის უფლებამოსილებას მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი იურისდიქციისა და კომპეტენციის შესახებ განიხილოს თუ არა კონკრეტული დავა), „საგარეო ვაჭრობის არბიტრაჟის შესახებ“ ჟენევის 1961 წლის 21 აპრილის ევროკონვენციის მე-5 მუხლის (**მართალია საქართველოს არ მოუხდენია ამ კონვენციასთან მიერთება, მაგრამ კონვენცია არსებობს და იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოც გახდება მისი მონაწილე მხარე**), **UNCITRAL**-ის მოდელური კანონის მე-16 მუხლის და ამ ნორმებზე დაყრდნობით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, კომპეტენციის შესახებ დავის წარმოშობის შემთხვევაში არბიტრაჟი უფლებამოსილია თავად მიიღოს დადგენილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ, რაც, კანონის თანახმად, მოიცავს როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას, ასევე არბიტრაჟის იურისდიქციის და თავად საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის დადგენას. აქედან გამომდინარე, როდესაც არბიტრაჟი დაადგენს მის კომპეტენციას/ იურისდიქციას, კანონის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე დაუშვებელია ცნობა-აღსრულების ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ეტაპზე, სასამართლომ დაადგინოს, რომ არბიტრაჟს არ გააჩნდა იურისდიქცია განეხილა კონკრეტული დავა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანი, კონკრეტული სამართალურთიერთობის მომცველი დავა საქართველოს კანონმდებლობით არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი, ან/და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს (გთხოვთ იხილოთ 42-ე და 45-ე მუხლების კომენტარი). მნიშვნელოვანია ასევე როდის უნდა განახორციელოს სააპელაციო სასამართლომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციის

საკითხის შემონმება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹ 16 მუხლის შესაბამისად სასამართლოს არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ გამოაქვს დასაბუთებული განჩინება, რომლითაც უნდა განსაზღვროს აქვს თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალს შესაბამისი კომპეტენცია. **UNCITRAL**-ის მოდელური კანონის, მითითებული ევროკონვენციის და დოქტრინის თანახმად, სასამართლო მხოლოდ მაშინ არის უფლებამოსილი განიხილოს მხარის განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის არარსებობის შესახებ, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი თავად დაადგენს საკუთარი კომპეტენციის არსებობას. შესაბამისად, სასამართლომ ასეთი განცხადებით მხარის მიმართვის შემთხვევაში, მხარეს უნდა განუმარტოს, რომ კომპეტენციის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა მიიღოს. ამდენად, სასამართლო უკვე საარბიტრაჟო ტრიბუნალის დადგენილების შეფასებას განახორციელებს (*გთხოვთ ასევე იხილოთ ამავე მუხლის მე-5 პუნქტის კომენტარი*). აქვე აღსანიშნავია, რომ თუ ტრიბუნალმა ან სასამართლომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციის არარსებობა მიიჩნია ტრიბუნალის ფორმირების წესის დარღვევის გამო, მაშინ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირება ხელახლა უნდა განხორციელდეს და ახლად ფორმირებულმა ტრიბუნალმა უნდა განიხილოს საარბიტრაჟო დავა, ხოლო თუ კომპეტენციის არარსებობა იურისდიქციული პრობლემის გამო იქნა ცნობილი, დავა საარბიტრაჟო განხილვას არ ექვემდებარება. სამართლებრივ სისტემათა უმრავლესობის მიერ აღიარებულია საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობა (***separability of the arbitration clause***) – საქმის საარბიტრაჟო წესით განხილვის სასარგებლოდ მხარეთა მიერ გაკეთებული არჩევანის დაცვა. მოცემული პრინციპი ასევე გაზიარებულია კომენტირებულ ნორმაშიც და აღნიშნულია, რომ **„ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას“**. კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმე-

ბად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე და მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა ავტომატურად, ანუ ყველა შემთხვევაში არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას. კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო დათქმა არის მხარეთა შორის კონკრეტული თანამშრომლობის შესახებ დადებულ ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო შეთანხმება (გთხოვთ იხილოთ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის კომენტარი). შესაბამისად, საუბარია სწორედ ასეთ ძირითად ხელშეკრულებაზე, რომელშიც ცალკე პუნქტის სახით არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება — საარბიტრაჟო დათქმა. ამდენად, სწორედ ასეთი ძირითადი ხელშეკრულების ბათილად ცნობა ავტომატურ რეჟიმში არ იწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილად ცნობას. მაგალითად, ძირითადი ხელშეკრულება შეიძლება ბათილად იყოს ცნობილი იმის გამო, რომ სამენარმეო საზოგადოების უძრავი ქონების განკარგვის ხელშეკრულების დადებაზე არ არსებობდა ამ საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული შესაბამისი ნებართვა ან, იპოთეკის ხელშეკრულება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი მისი ფორმის დაუცველობის გამო (სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის დარღვევა ამავე კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე). აღნიშნული საფუძვლის არსებობა ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობაზე. კომენტარებზე ნორმა კომპეტენციის არარსებობაში მოიაზრებს საარბიტრაჟო შეთანხმების/დათქმის არარსებობას ან ბათილობას. როგორც აღინიშნა, ძირითადი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ავტომატურ რეჟიმში არ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების/დათქმის ბათილობას. საფუძველი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საარბიტრაჟო შეთანხმების/დათქმის ბათილად ცნობა, ესაა ხელშეკრულების დადების უფლებამოსილების არქონა (მაგალითად, ხელშეკრულება სამენარმეო სუბიექტის სახელით დაიდო არაუფლებამოსილი პირის მიერ. სადავოობის შემთხვევაში, ანუ თუ არ ექნება ადგილი ასეთი პირის მიერ დადებული ხელშეკრულების შემდგომ მონონებას უფლებამოსილი

პირის მხრიდან, როგორც ხელშეკრულება, ასევე ასეთ ხელშეკრულებაში მოქცეული საარბიტრაჟო დათქმა ბათილად იქნება ცნობილი), აგრეთვე ნების ნაკლი — ხარვეზი, რომელიც თან სდევდა ძირითად ხელშეკრულებაში მოქცეულ საარბიტრაჟო დათქმასაც. ასეთი საფუძვლებია თაღლითობა, მოცყუება, შეცდომა, ანუ ნების ნაკლთან დაკავშირებული შემთხვევები (ნაწილობრივ ასეთი საფუძველი მითითებულია მოცემული კანონის 46¹ მუხლში. არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით საარბიტრაჟო შეთანხმების/დათქმის ბათილად ცნობის საფუძველია ასევე ისეთი საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის აღსრულება შეუძლებელია საარბიტრაჟო დანესებულების იდენტიფიცირების დადგენის შეუძლებლობის გამო (მაგალითად, მხარეები საარბიტრაჟო დათქმით შეთანხმდნენ ისეთ საარბიტრაჟო დანესებულებაზე, რომლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება - მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში გაითვალისწინეს, რომ მათი შესაძლო დავა და უთანხმოება განხილული იქნეს გორის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მიერ. ასეთი დათქმა აღუსრულებელი იქნება, რადგანაც ასეთი საარბიტრაჟო დანესებულება ბუნებაში არ არსებობს). საარბიტრაჟო შეთანხმების/დათქმის შესრულება ასევე შეუძლებელი იქნება როდესაც მხარეები შეთანხმდნენ კონკრეტულ არბიტრზე **ad hoc** არბიტრაჟის შემთხვევაში და არბიტრი უარს აცხადებს არბიტრად დანიშვნაზე ან სხვა ნებისმიერი მიზეზით შეუძლებელია მის მიერ დავის განხილვა. ბათილია ისეთი საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის დროსაც დარღვეულია კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული თანაბრობის პრინციპი და მხოლოდ ერთ მხარეს აქვს საარბიტრაჟო დანესებულებისათვის მიმართვის უფლება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ სამოქალაქო უფლებათა დაცვის განხორციელების საერთო პრინციპებიდან გამომდინარე, შეთანხმება დავების განხილვის შესახებ არ შეიძლება ერთ მხარეს ანიჭებდეს უფლებას, ხოლო მეორე მხარეს ასეთ უფლებას ართმევდეს (პრაქტიკაში ასეთ ასიმეტრიულ საარბიტრაჟო დათქმებს საკრედიტო ხე-

ლშეკრულებებში ვხვდებით). ბათილი იქნება ისეთი საარბიტრაჟო შეთანხმება/დათქმა, როდესაც არ არის ნათლად და გარკვევით ფორმულირებული და არ იძლევა მხარეთა ნება-სურვილის რეალური და ნამდვილი მიზნების დადგენის შესაძლებლობას დავის გადაწყვეტის საარბიტრაჟო მექანიზმებთან დაკავშირებით. ნამდვილი არ იქნება ისეთი საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც დადგენილია არბიტრაჟისათვის მიმართვის გარკვეული ვადა და მხარეებს ამ ვადაში არ მიუმართავთ არბიტრაჟისათვის, შესაბამისად, კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო განხილვის საფუძველი არ არსებობს და მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ასეთი საარბიტრაჟო შეთანხმების/დათქმის საფუძველზე არბიტრაჟს აღარ გააჩნია დავის განხილვის კომპეტენცია. შეუძლებელი იქნება საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულება, თუ მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით/დათქმით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დაწესებულება დავის წარმოშობის პერიოდისათვის აღმოჩნდება ლიკვიდირებული. ასეთ შემთხვევაში მართალია მხარეებს გამოხატული ჰქონდათ თანხმობა, რომ დავა საარბიტრაჟო წესით ყოფილყო განხილული, მაგრამ ეს თანხმობა კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრირებულ განხილვას ეხებოდა. ანუ მხარეთა ნება კონკრეტულ არბიტრაჟს ეხებოდა და არა ზოგადად საარბიტრაჟო განხილვას, რადგანაც კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წესების გამოყენებაზე დათანხმება მხარეთა ნების პრიმატი იყო და დავის დროისათვის ასეთი დაწესებულების ლიკვიდაციის გამო მხარეთათვის სხვა საარბიტრაჟო დაწესებულების წესების ან საერთოდ **ad hoc** არბიტრაჟის შეთავაზება მხარეთა ნების გამოხატულებაში ინტერვენციად აღიქმება. ამდენად, ასეთ შემთხვევაში, მხარეთა ახალი შეთანხმების არარსებობისას, დავა სასამართლო წესით უნდა იყოს განხილული. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა ნამდვილ და აღსრულებად საარბიტრაჟო შეთანხმებად არ მიიჩნევს საარბიტრაჟო შეთანხმებას, რომელშიც ალტერნატიული სახით არის განსაზღვრული დავის შემთხვევაში არბი-

ტრაჟისათვის ან სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა. სასამართლოები მიიჩნევენ, რომ ასეთი დათქმის არსებობის შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს დასრულებული საარბიტრაჟო შეთანხმება. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება საერთაშორისო საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკას, რომელიც მსგავს შეთანხმებას, ნების ნაკლის არარსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვისათვის საკმარის საფუძვლად მიიჩნევს. აქვე უნდა აღინიშნოს ონლაინ სესხების გაცემისას დაფიქსირებული საარბიტრაჟო დათქმების შესახებ — ასეთი სახის ხელშეკრულებაში შეიძლება დაფიქსირებული იყოს საარბიტრაჟო დათქმა, თუნდაც კონკრეტული საარბიტრაჟო დანესებულების ან/და მისი საარბიტრაჟო წესების (დებულება) აღნიშვნით, მაგრამ სადავობისას ასეთი საარბიტრაჟო დათქმა ბათილ საარბიტრაჟო შეთანხმებად/დათქმად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ ფიზიკურ პირთან დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება ორივე მხარის მიერ უნდა იყოს ხელმოწერილი და მარტოოდენ ის გარემოება, რომ ონლაინ რეჟიმში სესხის აღების დროს ფიზიკურმა პირმა შესაბამისი გრაფის ონლაინ რეჟიმში შევსების დროს თანხმობა გამოხატა დავის საარბიტრაჟო წესით განხილვის შესახებ, სადავობის შემთხვევაში (*არბიტრაჟის კომპეტენციის განსაზღვრის სტადიაზე*) არ უნდა ჩაითვალოს საკმარისად (*გთხოვთ იხილოთ მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის კომენტარი*). ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია თბილისის სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკა, რომლის მიხედვით სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე იმ მოტივით, რომ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირთან დადებულ საარბიტრაჟო შეთანხმებას მხარე პირადად უნდა აწერდეს ხელს. ერთ-ერთ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად მიუთითა, რომ ფიზიკური პირის შემთხვევაში მხოლოდ ხელშეკრულების გაცნობა და ელექტრონულად აღნიშნულის დადასტურება, ვერ ჩაითვლება საარბიტრაჟო შეთანხმების დადებად (*თბილისის სააპელაციო სა-*

სამართლოს 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №23/3594-15).

2. კომენტირებული ნორმის თანახმად, განცხადება იმის შესახებ, რომ არბიტრაჟს არ აქვს კომპეტენცია, შეიძლება გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე. ასეთი განცხადების გაკეთება შესაძლებელია არბიტრის დანიშვნის ან არბიტრის დანიშვნაში მონაწილეობის მიღების შემთხვევაშიც. **UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განცხადება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ იურისდიქციის არქონის შესახებ უნდა გაკეთდეს არა უგვიანეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე.** ასეთი მცირეოდენი შეუსაბამობის მიუხედავად სრულიად ნათელია მოთხოვნის არსი — განცხადება უნდა გაკეთდეს შესაგებლის წარდგენამდე, თუმცა მისი შესაგებელთან ერთად წარდგენა არ გამოირიცხება. მთავარი საკითხი კომპეტენციის/იურისდიქციის არარსებობის საკითხზე განცხადების წარდგენაა და კანონი იმპერატიულად ადგენს ზღვრულ ვადას. თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ან საარბიტრაჟო დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურის მიერ დადგენილ ვადაში ასეთი განცხადება არ იქნება წარდგენილი, იგულისხმება, რომ საარბიტრაჟო მოპასუხე სადავოდ არ ხდის არბიტრაჟის კომპეტენციას, რაც სრულ შესაბამისობაშია კანონის 31-ე მუხლთან (გთხოვთ იხილოთ 31-ე მუხლის კომენტარი). თუმცა კანონმა დაუშვა ვადის დარღვევით წარდგენილი განცხადების განხილვის შესაძლებლობა (გთხოვთ იხილოთ მე-4 პუნქტის კომენტარი).

3. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონმა, მოდელური კანონისაგან განსხვავებით, დაანესა კონკრეტული ვადა — შესაბამისი გარემოებების შეტყობიდან 7 დღე, რომლის განმავლობაშიც მხარეს მიეცა უფლება განაცხადოს არბიტრაჟის მიერ საკუთარი კომპეტენციის გადაჭარბების შესახებ (თავისთავად ცხადია, ასეთი განცხადება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის მტკიცებულებებს). მოდელური კანონი შემოიფარგლება შემდეგი ფორმულირებით: **განცხადება არბიტრის მიერ**

უფლებამოსილების გადამეტების შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად მას შემდეგ, რაც საარბიტრაჟო წარმოების დროს წამოიჭრება უფლებამოსილების გადამეტებით განხორციელებული ქმედების საკითხი. ცხადია, ასეთი კონკრეტიზაცია არ არის ზედმეტი, თუმცა, კომენტირებული ნორმა ასევე ითვალისწინებს განცხადების ასეთი ვადის გასვლის შემდეგ წარდგენის შესაძლებლობასაც, თუ აღნიშნული ვადის გასვლას არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს (*გთხოვთ იხილოთ მე-4 პუნქტის კომენტარი*). არბიტრაჟის უფლებამოსილების გადამეტებას ექნება ადგილი, თუ ტრიბუნალი განაგრძობს საქმის განხილვას სარჩელის წარდგენის შემდეგ ისეთ დამატებით მოთხოვნაზე, რომელზეც არ მიღწეულა საარბიტრაჟო შეთანხმება. უფლებამოსილების გადამეტებას ექნება ადგილი ისეთი შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღებისას, რომლის დავის საგანზე ასევე არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თუ შესაბამისმა მხარემ, ვის წინააღმდეგაც არის მიმართული ასეთი მოთხოვნა, არ განაცხადა გაზრდილ მოთხოვნაზე საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციის არარსებობის შესახებ, ამასთან კანონით განსაზღვრულ 7 დღის ვადაში და აგრძელებს პროცესში მონაწილეობას, ჩაითვლება, რომ მოცემულ საკითხზე მხარეთა შორის დაიდო საარბიტრაჟო შეთანხმება და, შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ კომპეტენციის გაცდენაზე განცხადების წარუდგენლობით მან დაკარგა ასეთი განცხადების შემდგომში წარდგენის უფლება და მის მიმართ უარყოფითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მას აღარ აქვს უფლება ამ საფუძვლით მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ან ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა (*გთხოვთ იხილოთ კომენტირებული მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე 31-ე მუხლის კომენტარი*).

4. კომპეტენციის არქონის ან გადაჭარბების შესახებ მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ წარდგენისას მხარე ვალდებულია დაასაბუთოს ვადის

გაშვების საპატიოობა, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟს, კანონის მითითებული დათქმიდან გამომდინარე (პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული ვადები), სრული უფლება გააჩნია ასეთი განცხადება არ სცნოს დასაშვებად. შესაძლებელია ვადის გაშვების მიზეზი საპატიოდ იყოს ცნობილი, მაგრამ განცხადება იყოს დაუსაბუთებელი, რაც გამოიწვევს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. განცხადების დასაშვებად და, დასაბუთებულად ცნობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო განხილვა შეწყდება არბიტრაჟის კომპეტენციის არქონის გამო და ასეთი შეწყვეტის საფუძვლიდან გამომდინარე გადაწყდება მხარეთა შორის სადავო საკითხზე ხელახლა უნდა მოხდეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირება, თუ მხარემ სასამართლოს უნდა მიმართოს (*გთხოვთ იხილოთ პირველი პუნქტის კომენტარი*).

5. კანონმა არბიტრაჟს მიანიჭა შესაძლებლობა, კომპეტენციის არქონის ან გადაჭარბების შესახებ მხარის განცხადება განიხილოს როგორც საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე, ასევე საბოლოო გადანყვეტილების მიღებასთან ერთად. პირველ შემთხვევაში, არბიტრაჟი საპროცესო დოკუმენტის — დადგენილების მიღების ფორმით დაადგენს, რომ მას გააჩნია საქმის განხილვის კომპეტენცია. კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე ნათელია, რომ არბიტრაჟმა ასეთი საპროცესო აქტი, დადგენილება უნდა გადასცეს განცხადების ავტორს. ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, არბიტრაჟის დადგენილება გაასაჩივრის სასამართლოში არბიტრაჟის დადგენილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. UNCITRAL-ის მოდელური კანონიც, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიც და საარბიტრაჟო დანესებულებების საარბიტრაჟო წესებიც ითვალისწინებს, რომ ასეთ შემთხვევაში არბიტრაჟი უფლებამოსილია, სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხის გადანყვეტამდე დაინყოს, გააგრძელოს და გადანყვეტილების გამოტანით დაასრულოს კიდევ დანყებული საარბიტრაჟო განხილვა. რაც შეეხება მხარის მიერ

სასამართლოში შეტანილ განცხადებას არბიტრაჟის კომპეტენციის არქონის/გადაჭარბების შესახებ, ასეთ განცხადებას იხილავს თბილისის ან ქუთაისის სააპელაციო სასამართლო საარბიტრაჟო განხილვის ადგილის გათვალისწინებით (გთხოვთ იხილოთ 25-ე მუხლის კომენტარი), განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში და სასამართლოს განჩინება ასეთი განცხადების როგორც დაკმაყოფილების, ასევე დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა და არ საჩივრდება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹⁶ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო არბიტრაჟს მოცემულ საკითხზე არ ცნობს კომპეტენტურად, განჩინებაში უნდა მიეთითოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანო. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, არბიტრაჟის კომპეტენციის არქონის დადგენის შემთხვევაში, ბათილად იქნება ცნობილი არბიტრაჟის მიერ მოცემულ საკითხზე მანამდე გამოტანილი ყველა გადაწყვეტილება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც „საგარეო ვაჭრობის არბიტრაჟის შესახებ“ ჟენევის 1961 წლის 21 აპრილის ევროკონვენციის მე-5 მუხლის, UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-16 მუხლის, ასევე „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის ნორმების ლოგიკური ანალიზის თანახმად და „კომპეტენცია კომპეტენციისათვის“ შესახებ დოქტრინიდან გამომდინარე, **სასამართლო არაა უფლებამოსილი** დასაშვებად სცნოს მხარის განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის არქონის ან გადაჭარბების შესახებ, სანამ ასეთი სახის განცხადებაზე შესაბამის გადაწყვეტილებას არ მიიღებს ის საარბიტრაჟო ტრიბუნალი, რომლის კომპეტენციასაც არ ეთანხმება საარბიტრაჟო პროცესის მონაწილე ერთ-ერთი მხარე. ანუ მხარე არაა უფლებამოსილი აღნიშნულ საკითხზე პირდაპირ სასამართლოს მიმართოს და თავის მხრივ, სასამართლო არაა უფლებამოსილი ასეთი პროცედურის დაცვის გარეშე სცნოს დასაშვებად მხარის შესაბამისი განცხადება. სწორედ ამ გზით წავიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკაც. სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე უარი თქვა არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ

მხარის განცხადების მიღებაზე და აღნიშნა, რომ „სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი არ არის დასაშვებად ცნოს მხარის განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ მანამ, სანამ ამ სახის განცხადებაზე შესაბამის გადანყვეტილებას არ მიიღებს ის არბიტრაჟი, რომლის კომპეტენციასაც საარბიტრაჟო სამართალწარმოების ერთ-ერთი მხარე არ ეთანხმება. შესაბამისად, მხარე უფლებამოსილი არ არის, აღნიშნულ საკითხზე პირდაპირ სასამართლოს მიმართოს. თავის მხრივ, სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, ასეთი პროცედურების დაცვის გარეშე დასაშვებად ცნოს მხარის განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 7 მარტის განჩინება საქმეზე №2ბ/1382-17).

6. კომენტირებული ნორმის თანახმად მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებაში/დათქმაში შეიძლება შეთანხმდნენ, რომ საკუთარი კომპეტენციის შესახებ არბიტრაჟი, მხარის განცხადების არარსებობის შემთხვევაშიც, იმსჯელებს პროცესის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ სტადიაზე (წინასწარ ან საბოლოო გადანყვეტილებაში). აღნიშნული არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, მოცემული მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული პირობების დაცვით, მხარეს აღარ აქვს არბიტრაჟისათვის შესაბამისი განცხადებით მიმართვის უფლება. კანონის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ კანონი არ იძლევა პასუხს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც არბიტრაჟი საფუძვლიანად სცნობს მხარის განცხადებას არბიტრაჟის კომპეტენციის არქონის/გადაჭარბების შესახებ. ამაზე პირდაპირი პასუხი მხოლოდ საარბიტრაჟო დაწესებულებების საარბიტრაჟო წესებში/დებულებებშია, რომელთა თანახმად, ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვა შეწყდება.

მუხლი 17. არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება

1. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას.
2. არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მიმართვის საფუძველზე, წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით, გონივრულ ვადაში დაავალოს მხარეს:
 - ა) საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება ან აღდგენა;
 - ბ) ისეთი ზომების მიღება, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისათვის ან საარბიტრაჟო წარმოებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას;
 - გ) ღონისძიებების განხორციელება იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებითაც აღსრულდება შემდგომი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;
 - დ) იმ მტკიცებულებების შენახვა და შენარჩუნება, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავას და მის გადაწყვეტას.

1. საარბიტრაჟო პროცესში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ისევე აქტუალურია, როგორც საერთო სასამართლოთა სისტემაში საქმის განხილვის დროს. კანონის მოცემული მუხლი განსაზღვრავს, რომ შუამდგომლობა არბიტრაჟს შეიძლება წარედგინოს საარბიტრაჟო პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის საარბიტრაჟო

სარჩელის აღძვრამდეც კი. ასეთი ღონისძიების მიზანია გად-
ანყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი
დაბრკოლების თავიდან აცილება. ასეთი უფლებამოსილება
თანაბრად გააჩნიათ როგორც საარბიტრაჟო დანესებულებ-
ების ადმინისტრირებით ფორმირებულ საარბიტრაჟო ტრიბუნ-
ალებს, აგრეთვე *ad hoc* არბიტრაჟებს. „არბიტრაჟის შესახებ“
კანონმა, UNCITRAL-ის მოდელური კანონის და რეგლამენტის
მსგავსად, განსაზღვრა, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნ-
ველყოფა შეიძლება განხორციელდეს როგორც საარბიტრაჟო
დანესებულების, ასევე უშუალოდ სასამართლოს მიერ და საა-
რბიტრაჟო მოსარჩელის, მათ შორის პოტენციური მოსარჩელის
ასეთი სახის მოთხოვნის განხილვა წარმოადგენს სააპელაციო
სასამართლოს პრეროგატივას (კანონის მე-2 და 23-ე მუხლები).

2. კანონმა ამომწურავად განსაზღვრა არბიტრაჟის მიერ საა-
რბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გა-
მოყენების ფარგლები და კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნ-
ქტში მიუთითა იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლითაც
უნდა იხელმძღვანელოს არბიტრაჟმა სარჩელის უზრუნველყ-
ოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობის განხილ-
ვისას. საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებამსდე ასეთი
ფუნქციის განხორციელება, მოდელური კანონის შესაბამისად
ეკისრება საგანგებო არბიტრს. ინსტიტუციური არბიტრაჟის
შემთხვევაში საქართველოში ასეთ ფუნქციას ასრულებს საა-
რბიტრაჟო დანესებულების შესაბამისი სტრუქტურა (საარბი-
ტრაჟო საბჭო, საარბიტრაჟო დანესებულების, მუდმივმოქმედი
არბიტრაჟის სასამართლო). აღსანიშნავია, რომ ჩვენი კანონი,
UNCITRAL-ის მოდელური კანონის მსგავსად, ასეთი ღონისძიე-
ბების გამოყენების წინაპირობად ადგენს მონინააღმდეგე მხ-
არის ინფორმირებას საარბიტრაჟო ტრიბუნალის წარმოება-
ში არსებულ საქმეზე საარბიტრაჟო მოსარჩელის, აგრეთვე
პოტენციური მოსარჩელის (უზრუნველყოფის ღონისძიების
საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე მოთხოვნის შემთხვევა-
ში) მოთხოვნის თაობაზე. აღნიშნული რეალურად არ არის
ეფექტური ღონისძიება, რადგან არ მიიღწევა ე.წ. მოულოდ-

ნელობის ეფექტი და არაკეთილსინდისიერ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა მყისიერად გაასხვისოს ქონება, რითაც აზრი ეკარგება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას და ეჭვქვეშ აყენებს საარბიტრაჟო დავის დასრულებამდე **status quo**-ს შენარჩუნებას. პრაგმატული თვალსაზრისით, სწორედ აღნიშნულის გამო მხარისათვის უფრო ეფექტურია უშუალოდ სასამართლოსათვის მიმართვა (*გთხოვთ იხილოთ 23-ე მუხლის კომენტარი*), რადგანაც სააპელაციო სასამართლოები ძირითადად აკმაყოფილებენ ასეთ შუამდგომლობებს, რაც საკმაოდ პოზიტიური მომენტია.

მუხლი 18. არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების პირობები

1. მხარემ, რომელიც შუამდგომლობით მიმართავს არბიტრაჟს სარჩელის ამ კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, უნდა დაასაბუთოს შემდეგი გარემოებების არსებობა:
 - ა) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება მეორე მხარისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით;
 - ბ) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში;
 - გ) არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ

მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება. აღნიშნული ვარაუდი გავლენას არ ახდენს არბიტრაჟის მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

2. ამ კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც არბიტრაჟი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.
3. არბიტრაჟი უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, აღნიშნულ უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.
4. მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, ეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერი ხარჯისა და ზიანისათვის, რომლებიც გამონვეულია ამ მხარის მიერ მოთხოვნილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით, თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ აღნიშნულ გარემოებებში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიებები არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეს ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურება საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე დააკისროს.

1. კანონი განსაზღვრავს იმ სავალდებულო მოთხოვნებს, რომელთა დაცვითაც უნდა მოხდეს საარბიტრაჟო სარჩელის, მათ შორის მომავალში აღსაძრავი სარჩელის, კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ - „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვა-გადაწყვეტა. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობა შეიძლება იყოს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუს-

რულებელი დარჩება ან მნიშვნელოვანწილად გაძნელებდა მისი აღსრულება. ამ მიმართებით, შუამდგომლობის ავტორმა უნდა დაასაბუთოს, რომ: ა. უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომელიც ვერ იქნება კომპენსირებული მეორე მხარისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით; ბ. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგადაც მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში; გ. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება. აღსანიშნავია, რომ კანონის ასეთი ფორმულირება იმდევარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია უტყუარი მტკიცებულებების წარდგენით დაამტკიცოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. შუამდგომლობის წარდგენის სტადიაზე საკმარისად უნდა ჩაითვალოს ალბათობის მაღალი ხარისხით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ემყარება საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნა. მართალია კანონი მოსარჩელეს ავალდებულებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლიანი ვარაუდის შესახებ მითითების განხორციელებას (რაც შეიძლება შეცდომაც კი იყოს, რადგანაც ყველა მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისი სარჩელის დაკმაყოფილების საკმაოდ დიდი ალბათობაა), მაგრამ უპრიანი იქნება, თუ სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას უშუალოდ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ (იმ ვარაუდის დაშვებით, რომ საარბიტრაჟო სარჩელში მითითებული გარემოებები სწორია და ემყარება მხარეთა შეთანხმებას და არ ეწინააღმდეგება არბიტრაჟის მიერ გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის მოთხოვნებს) და არა მხარის მიერ იქნება გადაწყვეტილი გააჩნია თუ არა საარ-

ბიტრაჟო სარჩელს დაკმაყოფილების პერსპექტივა და სწორედ ამის გათვალისწინებით, წარდგენილი მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე უნდა გადამწყვიტოს საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი.

2. კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთ-ერთ სახედ ითვალისწინებს არბიტრაჟის უფლებამოსილებას, დაავალოს მხარეს იმ მტკიცებულებების შენახვა და შენარჩუნება, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავას და მის გადწყვეტას. კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად განსაზღვრულია, რომ უზრუნველყოფის ამ ღონისძიების მიმართ უზრუნველყოფის დანარჩენ ღონისძიებებთან დაკავშირებული მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ არბიტრაჟის მიერ მიზანშეწონილად მიჩნევის ფარგლებში.

3. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის თავიდან აცილების ერთ-ერთ საპროცესო-სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს არბიტრაჟის უფლება, მოსთხოვოს შუამდგომლობის აღმძვრელ მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა. ბუნებრივია, რომ არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება ზიანს აყენებდეს მოპასუხე მხარეს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მხარეს, რომელმაც ასეთი უზრუნველყოფა მოითხოვა, თავის მხრივ, შეიძლება დაეკისროს იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება განიცადოს მოწინააღმდეგე მხარემ. ზიანის ცნების ქვეშ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება უფლების დროებით შეზღუდვა, ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების დანიშნულებაც სწორედ უფლების დროებითი შეზღუდვაა. ზიანის მიყენებაში მოიაზრება ფაქტობრივი ზიანის დადგომა ან შემოსავლის დაკარგვა. უზრუნველყოფის გარანტია შეიძლება იყოს საბანკო გარანტია, დეპოზიტზე თანხის განთავსება, თავდებობა. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი გა-

რანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს ასეთი სახის გარიგებისადმი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმის დაცვით.

4. მოცემული მუხლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს შუამდგომლობის ავტორის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევისათვის, თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული და საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის არბიტრაჟის მიერ გამოყენების შედეგად მხარემ გასწია ხარჯი ან/და მიიღო ზიანი. ასეთი ხარჯის/ზიანის ანაზღაურება შუამდგომლობის ავტორს შეიძლება დაეკისროს საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. ბუნებრივია, ხარჯის განევაჯ და ზიანის მიღებაც მხარის მიერ დასაბუთებული უნდა იქნეს.

მუხლი 19. არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეცვლა, შეჩერება და გაუქმება

არბიტრაჟი უფლებამოსილია, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს, შეცვალოს, შეაჩეროს ან გააუქმოს მის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხარეთათვის წინასწარ შეტყობინების შემდეგ, თავისი ინიციატივით.

კანონმა არბიტრაჟს — საარბიტრაჟო ტრიბუნალს, რომელმაც გამოიყენა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მიანიჭა უფლებამოსილება დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, შეცვალოს, შეაჩეროს ან გააუქმოს მის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები. ასეთი სახის მოთხოვნა მისმა ავტორმა სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს და დაარწმუნოს არბიტრაჟი მის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების უსწორობაში ან მიზანშეუწონლობაში. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის

ოფის ღონისძიებების თავისი ინიციატივით შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების უფლებამოსილება განსაკუთრებულ შემთხვევებში არბიტრაჟსაც გააჩნია, ოღონდ კანონმა სავალდებულო პირობად განსაზღვრა ასეთი განზრახვის შესახებ მხარეთათვის წინასწარი შეტყობინების განხორციელება. როგორც ვხედავთ, საკმაოდ მშრალად არის განსაზღვრული არბიტრაჟის უფლებამოსილება ასეთი საკითხების გადაწყვეტისას და სასურველია კანონმდებელს მეტი სიცხადე შეეტანა მოცემულ საკითხში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს, რომ კანონში არაფერია ნათქვამი საქმის მოსარჩელე მხარის სანინააღმდეგოდ დასრულების შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების უპირობოდ გაუქმების შესახებ. თუმცა სავსებით ნათელია, რომ თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ დააკმაყოფილებს საარბიტრაჟო სარჩელს, მოპასუხე, რომლის წინააღმდეგაც იქნა გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, დაინტერესული იქნება ასეთი ღონისძიების გაუქმებით და შესაბამისი განცხადებით მიმართავს საარბიტრაჟო ტრიბუნალს. საერთო სასამართლოების შემთხვევაში ასეთი საკითხი კანონითაა გადაწყვეტილი, რაც გამორიცხავს ყოველგვარი დამატებითი განცხადების წარდგენის აუცილებლობას — სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, სარჩელის განუხილველად დატოვება ან საქმეზე წარმოების შეწყვეტა სასამართლოს ავალდებულებს ასეთი გადაწყვეტილების გამოტანისას ავტომატურ რეჟიმში მოახდინოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლი). კომენტირებული ნორმა მართალია ითვალისწინებს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას, მაგრამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე სრულიად ნათელია, რომ ეს ეხება არბიტრაჟის დისკრეციას საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე და არა გადაწყვეტილების გამოტანისას არბიტრაჟის ვალდებულებას, გააუქმოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, როდესაც საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო მოსარჩელის

სარჩელი არ კმაყოფილდება, საარბიტრაჟო სარჩელი დატოვებულია განუხილველად ან საქმეზე წყდება წარმოება.

მუხლი 20. ინფორმაციის განცხადების ვალდებულება

არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეებს მოსთხოვოს იმ ინფორმაციის დაუყოვნებლივ განცხადება, რომელიც უკავშირდება იმ გარემოებათა არსებით ცვლილებებს, რომელთა საფუძველზედაც მოხდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნა ან გამოყენება.

კანონმა არბიტრაჟს — საქმის განმხილველ საარბიტრაჟო ტრიბუნალს მიანიჭა უფლებამოსილება მოსთხოვოს საარბიტრაჟო წარმოების ნებისმიერ მხარეს ინფორმაცია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით მოსალოდნელ ცვლილებებზე (უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამდე) ან ასეთი ღონისძიების გამოყენების შედეგად მომხდარ ცვლილებებზე. ასეთი უფლებამოსილება გათვალისწინებულია UNCITRAL-ის როგორც მოდელურ კანონში, ასევე საარბიტრაჟო რეგლამენტში და მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დანესებულებათა რეგლამენტების უმრავლესობაში. ასეთი უფლებამოსილება ემსახურება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლო შედეგების პროგნოზირებას.

მუხლი 21. არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა და აღსრულება

1. არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვს სავალდებულო ძალა და ისინი უნდა აღსრულდეს სასამართლოსათვის მიმართვის გზით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტ-

ანილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის აღნიშნული ღონისძიებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება, ამ მუხლისა და კანონის 22-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. თუ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოსათვის მიმართვას არ საჭიროებს, არბიტრაჟი უფლებამოსილია დაადგინოს მათი აღსრულების განსხვავებული წესი.

2. მხარე, რომელიც მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ცნობისა და აღსრულების შესახებ, ან რომლის შუამდგომლობაც დააკმაყოფილა სასამართლომ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სასამართლოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებას, შეცვლას ან გაუქმებას.
3. სასამართლო უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეს, რომელიც შუამდგომლობს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე, ამ კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.
4. სასამართლოში ამ კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მისი ცნობისა და აღსრულებისათვის წარდგენილ უნდა იქნეს ამ კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

1. მოცემული კანონი ადგენს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სავალდებულობას და ითვალისწინებს მის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებების იძულებითი აღსრულების შესაძლებლობას სასამართლოს მიერ მათი ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის გზით. ამასთან, მნიშვნ-

ელობა არა აქვს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მხარეები ერთი ქვეყნის რეზიდენტები არიან თუ არა. კანონი მოცემული საკითხის განხილვის უფლებამოსილ სასამართლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს. მართალია კანონი პირდაპირ არ მიუთითებს, რომელმა სააპელაციო სასამართლომ (თბილისის თუ ქუთაისის) უნდა განიხილოს უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო საპროცესო აქტი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ ამოსავალ წერტილად მიჩნეული უნდა იქნეს მოვალის ან მისი ქონების (ნებისმიერი აქტივის) ადგილსამყოფელი. საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მიმართ გამოყენებული იქნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, ხოლო უცხოეთის საარბიტრაჟო დაწესებულების საპროცესო აქტის მიმართ გამოიყენება „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ ნიუ-იორკის 1958 წლის 10 ივნისის კონვენცია და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები. შუამდგომლობის დასაბუთებისას მისმა ავტორმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ამავე კანონის 22-ე მუხლით განსაზღვრული გარემოებები, რომლებიც იწვევენ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას (*გთხოვთ იხილოთ 22-ე მუხლის კომენტარი*). კანონმა პირდაპირ არ მიუთითა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებებზე, რომელთა ცნობისა და აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვა არ დაიშვება და გაითვალისწინა, რომ არბიტრაჟი თავადაა უფლებამოსილი დაადგინოს ასეთი ღონისძიებების აღსრულების განსხვავებული წესი. ასეთი საკითხი შემთხვევით არ არის გათვალისწინებული, რადგანაც განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისა, UNCITRAL-ის მოდელური კანონი, ისევე როგორც უცხოური საარბიტრაჟო დაწესებულებების დებულებები, ითვალისწინებს წინასწარი ბრძანების გაცემის შესაძლებლობას, რომლითაც მეორე მხარეს დაეკისრება ვალდებულება, არ შეუშალოს ხელი მოთხოვნილი დროებითი ღონისძიებების მიზნის განხორციელებას (*UNCITRAL-ის მოდელური კანონის მუხლი 17 „ბ“*. იმავე კანონის მე-17 „გ“ მუხლის

თანახმად, წინასწარ ბრძანებას სავალდებულო ძალა აქვს მხარეებისათვის, მაგრამ ის არ ექვემდებარება აღსრულებას სასამართლოს მიერ). ამდენად, აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს კანონი მართალია არ ითვალისწინებს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გარდა უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ საერთაშორისო ნორმებზე და პრაქტიკაზე დაყრდნობით, არ კრძალავს უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიებების გამოყენებას, რომლებიც, ამ ეტაპზე კანონით არ არის გათვალისწინებული. ასეთ მოსაზრებას აძლიერებს ისიც, რომ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი დაკავშირებულია საარბიტრაჟო შეთანხმებასთან და, ამდენად, ასეთი განსხვავებული ღონისძიებები შესაძლოა გათვალისწინებული იყოს უშუალოდ საარბიტრაჟო შეთანხმებაში.

2. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის შესაბამის სასამართლოში წარმდგენი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიანოდოს შუამდგომლობის განმხილველ სასამართლოს ინფორმაცია არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერების, შეცვლის ან გაუქმების თაობაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული არბიტრაჟის საპროცესო აქტის ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა ისეთ დროს, როდესაც ასეთ აქტი აღარ არსებობს ან თავად მისმა მიმღებმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა თავად შეაჩერა მისი მოქმედება.

3. მოცემული მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მოსთხოვოს შუამდგომლობის აღმძვრელ მხარეს წარადგინოს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული უზრუნველყოფის გარანტია (გთხოვთ იხილოთ მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის კომენტარი).

4. როგორც აღინიშნა, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით სასამართლოს შეიძლება მიემართოს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების არსებობის შემთხვევაში. შუამდგომლობის წარდგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები (შუამდგომლობის უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენა, წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა — გთხოვთ იხილოთ მითითებული მუხლის კომენტარი).

მუხლი 22. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველები

1. მხარეს შეიძლება უარი ეთქვას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:
 - ა) მხარე, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიებები, მიმართავს სასამართლოს და დაამტკიცებს, რომ:
 - ა.ა. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე უარი ეფუძნება ამ კანონის 45-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ გარემოებებს;
 - ა.ბ. არბიტრაჟის გადანყვეტილება უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის თაობაზე არ იქნა შესრულებული;
 - ა.გ. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეაჩერა ან გააუქმა არბიტრაჟმა, ან იმ

ქვეყნის სასამართლომ, სადაც ტარდება საარბიტრაჟო განხილვა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები;

ბ) სასამართლო მიიჩნევს, რომ:

ბ.ა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება სცილდება სასამართლოს უფლებამოსილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების არსებითად შეცვლის გარეშე მისი ფორმის იმ ფარგლებში შეცვლის შესახებ, რომლებიც აუცილებელია აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღსრულებისათვის;

ბ.ბ. ამ კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.ბ.“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები გამოიყენება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი საფუძვლით სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ვრცელდება მხოლოდ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე.
3. სასამართლო, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე, გადაწყვეტილების გამოტანისას არსებითად არ იხილავს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.
1. კანონის 21-ე მუხლის თანახმად, არბიტრაჟის მიერ გამ-

ოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს სავალდებულო ძალა გააჩნიათ. მითითებული მუხლი განსაზღვრავს ასეთი ღონისძიებების ცნობისა და აღსრულების პირობებს. მოცემული მუხლი კი ადგენს იმ გამონაკლისებს, რომელთა არსებობაც გამორიცხავს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებას. შესაბამისად ნათელია, რომ მხოლოდ ასეთი გარემოებების არსებობისას შეიძლება ეთქვას უარი საარბიტრაჟო მოსარჩელეს, რადგანაც მოცემული მუხლის მე-3 პუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ სასამართლო, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე, გადაწყვეტილების გამოტანისას არსებითად არ იხილავს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

2. არბიტრაჟის — საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე უარი მხარეს შეიძლება ეთქვას იმ შემთხვევებში, თუ სახეზე იქნება ამ კანონის 45-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გარემოებები (*გთხოვთ იხილოთ დასახელებული მუხლის კომენტარი*), შუამდგომლობის აღმძვრელი მხარის მიერ არ იქნება შეასრულებული არბიტრაჟის გადაწყვეტილება შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის შესახებ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შეაჩერა ან გააუქმა მისმა მიმღებმა არბიტრაჟმა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ტარდება საარბიტრაჟო განხილვა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები. შუამდგომლობა ასევე არ დაკმაყოფილდება, თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება სცილდება სასამართლოს უფლებამოსილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არბიტრაჟის მიერ მიღებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნვე-

ლყოფის ღონისძიების არსებითად შეცვლის გარეშე მისი ფორმა იმ ფარგლებში იქნება შეცვლილი, რომელიც აუცილებელია უზრუნველყოფის ასეთი ღონისძიების აღსრულებისათვის (საქართველოს სასამართლოებს ასეთი გადაწყვეტილება, ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, ჯერ არ მიუღია).

3. არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მიმართ ასევე მოქმედებს ამ კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.ბ.“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები: დავა, რომელზეც არბიტრაჟის მიერ გამოყენებული იქნა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად უნდა განეკუთვნებოდეს არბიტრაჟის იურისდიქციას და ასეთი ღონისძიება, ისევე როგორც მისი ცნობა და აღსრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დააკმაყოფილოს საარბიტრაჟო მოსარჩელის შუამდგომლობა არბიტრაჟის მიერ მიღებული საარბიტრაჟო სარჩელის ცნობისა და აღსრულების შესახებ.

4. კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ (საფუძვლის მიუხედავად), ვრცელდება მხოლოდ ასეთი ღონისძიების ცნობისა და აღსრულების საკითხის განხილვაზე და არა არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შუამდგომლობის განხილვის სტადიაზე. ანუ, თუ საარბიტრაჟო მოსარჩელეს **რაიმე საფუძვლით** უარი ეთქვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობასა და აღსრულებაზე, ასეთი უარი ავტომატურ რეჟიმში არ იმოქმედებს არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხის განხილვისას, რადგანაც მოცემული სტადიისათვის შუამდგომლობის დაკმაყოფილების გამომრიცხავი გარემოება არ იყოს შემაფერხებელი საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების

საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის. მაგალითად, თუ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობაზე სასამართლომ უარი განაცხადა იმის გამო, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელემ არ წარადგინა უზრუნველყოფის გარანტია, ცხადია, ეს ხელს ვერ შეუშლის საბოლოო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხის დადებითად გადაწყვეტას. ასეთ გადაწყვეტას ხელს ვერ შეუშლის ის გარემოებაც, რომ საარბიტრაჟო განხილვის საწყის ეტაპზე მხარეებს არ გააჩნდათ საარბიტრაჟო შეთანხმება. მოცემული კანონის მე-8 მუხლის მე-ნ პუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება **„ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას“**. ამდენად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას საარბიტრაჟო მოპასუხეს თავისი პოზიცია შესაგებლის წარდგენის სახით შესაძლებელია ჯერ არ ჰქონდეს განხორციელებული და ასეთ ეტაპზე სასამართლო ბუნებრივია, არ დააკმაყოფილებს საარბიტრაჟო მოსარჩელის შუამდგომლობას, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას თუ ასეთი შეთანხმება უკვე არსებობს, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის საფუძველი, ამ მოტივით, არ იარსებებს.

**მუხლი 23. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო
გამოყენებული სარჩალის უზრუნველყოფის
ღონისძიებები**

1. მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს.
2. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სა-

სამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

3. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

1. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონმა საარბიტრაჟო მოსარჩელეს მიანიჭა უფლება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს უშუალოდ სასამართლოს მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისა, რაც გამორიცხავს დავის არსებით განხილვას სასამართლოს მიერ (გთხოვთ იხილოთ კანონის მე-8 და მე-9 მუხლების კომენტარი). ამდენად, საარბიტრაჟო შეთანხმების/დათქმის არსებობისას სასამართლოსათვის საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხზე მიმართვა არ ნიშნავს, რომ მხარე არღვევს საარბიტრაჟო შეთანხმებას. მხარის ასეთი უფლება პირდაპირაა გათვალისწინებული UNCITRAL-ის მოდელურ კანონში (მე-9 მუხლი), ასევე მრავალი საარბიტრაჟო დანესებულების საარბიტრაჟო წესებში (დებულება) (საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების მე-20 მუხლი, სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო რეგლამენტის 26-ე მუხლი, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს რეგლამენტის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ა.შ.). „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, ისევე როგორც თავად არბიტრაჟის (საარბიტრაჟო ტრიბუნალის) მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ცნობა-აღსრულებაზე უფლებამოსილი

სასამართლოებია თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლო. როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა საარბიტრაჟო განხილვისას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე მხარემ, რომელსაც საქართველოში გააჩნია ქონება (უძრავი ან მოძრავი), შეიძლება გადაიტანოს სხვა ქვეყანაში, რომელიც არ არის ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მონაწილე და, შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება გართულდება ან საერთოდ შეუძლებელი გახდება, თუ საარბიტრაჟო მოპასუხეს სხვა აქტივი არ გააჩნია.

2. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონმა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხში სააპელაციო სასამართლოს მიანიჭა იგივე უფლებამოსილება, რაც მას გააჩნია საერთო სასამართლო სისტემისათვის დადგენილი სამართალწარმოების ფარგლებში. ამასთან, მოცემული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხში სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება ვრცელდება როგორც საქართველოს საარბიტრაჟო დანესებულებებში განსახილველი სარჩელების, ასევე უცხოურ საარბიტრაჟო დანესებულებების წარმოებაში არსებული სარჩელების მიმართაც. აღნიშნული პირდაპირ გამომდინარეობს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან, რომელიც ითვალისწინებს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა. სასამართლოს პრაქტიკიდან შეიძლება მოყვანილი იქნეს მრავალი მაგალითი, როდესაც უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო დანესებულების ადმინისტრირებით განსახილველ საქმეზე საქართველოს სასამართლომ განიხილა უცხო ქვეყნის კომპანიის შუამდგომლობა საარბიტრაჟო მოპასუხის, ასევე უცხო ქვეყნის კომპანიის საქართველოში არსებული ქონების მიმართ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. მაგალითად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა უცხოური გემთმფლობელი კომპანიის შუამდგომლობა ლონდონის საზღვაო არბიტრთა ასოციაციის არბიტრაჟში (LMAA) ინგლისის სამართ-

ლის მიხედვით განსახილველ დავაზე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ასევე უცხოური კომპანიის მიმართ, რომელიც ჩარტერის საფუძველზე ფლობდა საარბიტრაჟო მოსარჩელის კუთვნილ მცურავ საშუალებას — გემს. საარბიტრაჟო მოსარჩელის კუთვნილი გემი ლონდონის არბიტრაჟში მიმართვის დროისათვის იმყოფებოდა ფოთის პორტის აკვატორიაში და ამ გემზე იმყოფებოდა მოპასუხის კუთვნილი ტვირთი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა საარბიტრაჟო მოსარჩელის შუამდგომლობა და ყადაღა დაედო მოპასუხის მფლობელობაში არსებულ გემზე განთავსებულ ტვირთს (სხვადასხვა დიამეტრის ლითონის მილებს) და დადგენილი იქნა ყადაღა-დადებული მილების განთავსება ფოთის პორტის ტერიტორიაზე არსებულ ღია სანყობში, საბაჟო კონტროლის ზონაში (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 1 ივლისის განჩინება №2/ბ-639-2014 საქმეზე). ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ასევე დააკმაყოფილა სხვა უცხოური კომპანიის შუამდგომლობა ლონდონის საზღვაო არბიტრთა ასოციაციის არბიტრაჟში (LMAA) ინგლისის სამართლის მიხედვით განსახილველ დავაზე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ასევე უცხოური კომპანიის მიმართ და მითითებული არბიტრაჟის მიერ დავის საბოლოო გადაწყვეტამდე ყადაღა დაედო ფოთის პორტში მყოფ, უცხოური კომპანიის კუთვნილ მშრალი ტვირთის მზიდავ გემს და აუკრძალა საქართველოს ტერიტორიული ზღვიდან გასვლა და დადგენილი იქნა მისი განთავსება ფოთის პორტის გარე რეიდზე და საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის ამოღება (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 ივლისის განჩინება №2/ბ-674-2013 საქმეზე). ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საზღვაო საარბიტრაჟო კომისიაში მიმდინარე დავასთან დაკავშირებით სარჩელის უზრუნველყოფის სახით ყადაღა დაადო საარბიტრაჟო მოპასუხის, საქართველოს კომპანიის კუთვნილ უძრავ ქონებას და სატრანს-

პორტო საშუალებებს. აღნიშნული განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შეიცვალა უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების ნაწილში და უზენაესი სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით საარბიტრაჟო მოპასუხეს აეკრძალა ამ ქონების გასხვისება, ხოლო სატრანსპორტო საშუალებებზე ყადაღის დადების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება დარჩა უცვლელი (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინება №2/ბ-985 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 21 თებერვლის განჩინება №ას-1556-1476-2017 საქმეზე). სააპელაციო სასამართლოების მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ფართოდ გამოიყენება საქართველოში მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვებთან დაკავშირებითაც. მაგალითად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო მოსარჩელეების (მიკრონიზიის დროშის ქვეშ მცურავი გემის მეზღვაურების) შუამდგომლობის საფუძველზე, აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით მიმდინარე დავაზე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით საარბიტრაჟო მოპასუხის, უცხო ქვეყნის კომპანიის გემს აეკრძალა ფოთის პორტის დატოვება (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინება №2/ბ-1037-2016 საქმეზე). ანალოგიური პრაქტიკაა თბილისის სააპელაციო სასამართლოშიც (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის განჩინება №2ბ/6790-16 საქმეზე, 2016 წლის 12 აგვისტოს განჩინება №2ბ/4151 საქმეზე, 2016 წლის 22 ივლისის განჩინება №2ბ/4050-16 საქმეზე, 2016 წლის 8 დეკემბრის განჩინება №2ბ/6381-16 საქმეზე და მრავალი სხვა). საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, არსებობს თუ არა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება და იურისდიქციულად რამდენად არის დავა არბიტრაჟუნარიანი (სარბიტრაჟო იურისდიქციის მქონე). მითითებულ განჩინებებში სწორედ საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობასა და დავის არბიტრაჟუ-

ნარიანობაზე იყო გამახვილებული ყურადღება და კარგია, რომ სააპელაციო სასამართლოებს ერთიანი და კანონშესაბამისი მიდგომა გააჩნიათ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხში.

3. მოცემული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო, რომელსაც საარბიტრაჟო მოსარჩელე მიმართავს შუამდგომლობით საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესებით, მითითებული კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტების გარდა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მითითებული ნორმები ეხება ადმინისტრაციული ორგანოების ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას („ვ“ პუნქტი) და „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განხილულ საქმეზე გაცემული სააღსრულებო საბუთის შეჩერებას ან მითითებულ საქმეზე წარმოების განახლებას, შესაბამისად, ასეთ საკითხებზე არბიტრაჟს არ გააჩნია კომპეტენცია და ასეთი საკითხები არც შეიძლება იყოს არბიტრაჟის განხილვის საგანი მიუხედავად იმისა, მხარეებს აქვთ თუ არა ასეთი საკითხების არბიტრაჟის მიერ განხილვაზე საარბიტრაჟო შეთანხმება. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის მარტში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ სააპელაციო სასამართლოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ზომების მიღება შეუძლია საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდეც და აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოები საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფას ასეთი სარჩელის აღძვრამდეც ახორციელებენ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ს.ს. „კ-ა“-ს შუამდგომლობა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ასეთი სარჩელის აღძვრამდე და პოტენციურ მოპასუხეს აეკრძალა მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების გან-

კარგვა და უფლებრივი დატვირთვა (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის განჩინება №2ბ/6806-16 საქმეზე). საკითხი, რომელიც შეიძლება წამოიჭრას, ესაა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება იმ შემთხვევაში, თუ არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელი არ იქნება დაკმაყოფილებული. ბუნებრივია, საარბიტრაჟო სარჩელზე გადაწყვეტილება საარბიტრაჟო ტრიბუნალს გამოაქვს და საარბიტრაჟო წარმოების შედეგად მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ სააპელაციო სასამართლოს მყისიერი ინფორმაცია ვერ ექნება. ამდენად, სააპელაციო სასამართლო, რომელმაც დააკმაყოფილა საარბიტრაჟო მოსარჩელის შუამდგომლობა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ ასეთი გადაწყვეტილების დამონმებული ასლის წარდგენის შემდეგ, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საკითხის განხილვისას იხელმძღვანელებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლით და გააუქმებს მის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

თავი №5

საარბიტრაჟო განხილვა

მუხლი 24. საარბიტრაჟო განხილვის წესის განსაზღვრა

1. საარბიტრაჟო განხილვის წესს განსაზღვრავენ მხარეები ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.
2. თუ მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის წესის შესახებ, მაშინ დავა განიხილება არბიტრაჟის მიერ დადგენილი წესით, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

1. კანონის თანახმად მხარეებს სრული უფლება გააჩნიათ თავად განსაზღვრონ საარბიტრაჟო განხილვის წესები იმისდა მიუხედავად, საარბიტრაჟო განხილვა ხორციელდება *ad hoc* არბიტრაჟის, თუ საარბიტრაჟო დანესებულების საარბიტრაჟო ადმინისტრირებით. ამდენად, მხარეებს აქვთ არჩევანის თავისუფლება — ჩატარდეს *ad hoc* არბიტრაჟი საარბიტრაჟო დანესებულების ჩართულობის გარეშე, თუ ასეთი დანესებულების წესების შესაბამისად და მისი ადმინისტრირებით. *ad hoc* შემთხვევაში იმისათვის, რომ მხარეები მოერგონ მათ სურვილებს და დავის კონკრეტულ მახასიათებლებს, უფლებამოსილი არიან შეიმუშავონ მათი დავის განხილვის საკუთარი პროცედურული წესები (მაგალითად, განსაზღვრონ ტრიბუნალის დანიშვნის, გამოსაყენებელი სამართლის, არბიტრაჟის ადგილის, მტკიცებულებათა გაცვლის, მოწმეთა დაკითხვის წესის და აშ. პროცედურები), თუმცა ასეთი „შემოქმედება“ არ არის მარტივი და გამოსავალი არის სპეციალურად *ad hoc* არბიტრაჟისათვის შექმნილი წესების გამოყენება. ასეთი წესებია გაეროს ეგიდით შემუშავებული UNCITRAL-ის საარბიტრაჟო განხილვის წესები (რეგლამენტი), რაც წლების მანძილზე ჩამოყალიბებული პრაქტიკის შედეგია და ქმნის საარბიტრაჟო ტრიბუნალისათვის გონივრულ ჩარჩოებს. ამასთანავე, ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ დავა საარბიტრაჟო დანესებულების ადმინისტრირებით ხორციელდება და საარბიტრაჟო დანესებულების საარბიტრაჟო წესებით უნდა განიხილებოდეს, მხარეებს ამ შემთხვევაშიც შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ განსხვავებულად დაადგინონ საარბიტრაჟო პროცესის ცალკეული საკითხები. ადგილობრივ დავათა შემთხვევაში ასეთი განსხვავებული პროცედურების დადგენა არ არის ფართოდ გავრცელებული და მხარეები ძირითადად საარბიტრაჟო დანესებულების საარბიტრაჟო წესებით ხელმძღვანელობენ.

2. კომენტარებულ ნორმის თანახმად, თუ მხარეები არ გამოიყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებას დამოუკიდებლად დაადგინონ საარბიტრაჟო განხილვის წესები, მხარეთა დავა

განხილული იქნება მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არბიტრაჟის მიერ დადგენილი წესით: საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წესებით (დებულება), თუ დავა განიხილება ინსტიტუციური არბიტრაჟის მიერ, როდესაც არ გამოირიცხება მხარეთა ნების ავტონომიიდან გამომდინარე საპროცედურო საკითხების განსხვავებულად დარეგულირება (გთხოვთ იხილოთ მე-2 მუხლის კომენტარი) ან *ad hoc* არბიტრაჟის ფარგლებში ფორმირებული საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ. როგორც აღინიშნა პირველი პუნქტის კომენტარებისას, *ad hoc* არბიტრაჟის შემთხვევაში, მხარეთა საარბიტრაჟო განხილვის წესზე შეთანხმების არარსებობისას გამოიყენება UNCITRAL-ის მოდელური კანონით და UNCITRAL-ის რეგლამენტით დადგენილი წესები. ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში, როდესაც დავა განიხილება საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრირებით, ამ დაწესებულების საარბიტრაჟო განხილვის წესების შესაბამისად, მხარეებს, მათ შორის მოპასუხე მხარეს, შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ არბიტრაჟის მიერ განსახილველ საკითხთა წრის განსაზღვრაში. ასეთ შესაძლებლობას იძლევა საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო განხილვის წესებით გათვალისწინებული ისეთი საპროცესო აქტი, როგორცაა საარბიტრაჟო განხილვის საკითხთა შესახებ დადგენილება. პასუხი კითხვაზე — სავალდებულოა თუ არა ასეთი საპროცესო აქტი მხარეებისათვის, გაცემულია საარბიტრაჟო დაწესებულებების საარბიტრაჟო განხილვის წესებში - დებულებებში. ასე მაგალითად, საარბიტრაჟო დაწესებულების - მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრის“ დებულების მე-2 მუხლის 2.3 პუნქტის თანახმად, „თუ ამ მუხლის 2.1 და 2.2 პუნქტების შესაბამისად მხარეები შეთანხმებულები არიან დავა განიხილოს „დავების განმხილველმა ცენტრმა“, იგულისხმება, რომ წინამდებარე დებულება წარმოადგენს მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების ნაწილს“, ანალოგიური დათქმაა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესებში, აგრეთვე სხვა საარბიტრაჟო დაწესებულე-

ბების დებულებებში, რომლებიც სავალდებულოდ მიიჩნევენ ასეთი დადგენილების გამოცემას. მითითებული საპროცესო დოკუმენტი „საარბიტრაჟო განხილვის საკითხთა შესახებ დადგენილება“ ძალიან მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ნებისმიერი საარბიტრაჟო საქმის წარმატებულად განხილვისათვის და საქმის სწრაფად, ეფექტიანად და ეკონომიურად წარმართვას ემსახურება. ამაზე პირდაპირი მითითებაა „დავების განმხილველი ცენტრის“ დებულების მე-19 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი უზრუნველყოფს საარბიტრაჟო განხილვის სწრაფ და ნაკლები დანახარჯებით წარმართვას, ხოლო დებულების 24-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო განხილვის სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით წარმართვის მიზნით, ტრიბუნალმა თავისი შეხედულებისამებრ შეიძლება მიიღოს პროცედურული ზომები, მათ შორის, ტრიბუნალი უფლებამოსილია შეადგინოს პროცედურული განრიგი. საარბიტრაჟო განხილვის საკითხთა შესახებ დადგენილებაში მიეთითება შემდეგი საკითხები: ინფორმაცია საარბიტრაჟო განხილვის თითოეული მხარის, მისი წარმომადგენლის სახელი, გვარი, საკონტაქტო მონაცემები, არბიტრ(ებ)ის სახელი, გვარი, მხარეთა სამართლებრივი მოთხოვნებისა და ინტერესების აღწერა, დავის ღირებულება, საარბიტრაჟო განხილვის ენა, ადგილი, გამოსაყენებელი სამართალი, საარბიტრაჟო განხილვისას გადასაწყვეტ საკითხთა წრე, პროცედურული წესები, რომლებმაც დებულებასთან ერთად უნდა დაარეგულირონ ცალკეული პროცესუალური საკითხები. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ შედგენილი ასეთი პროცესუალური დოკუმენტის პროექტი გადაეცემა საარბიტრაჟო პროცესის ყველა მხარეს. მათ აქვთ სრული შესაძლებლობა შეიტანონ კორექტივები დოკუმენტში, ხოლო შენიშვნების არარსებობისას კი, ხელი უნდა მოანერონ ასეთ დადგენილებას. თუ რომელიმე მხარე უარს იტყვის ასეთი დადგენილების შედგენაში მონაწილეობაზე ან მისი ხელმოწერით დადასტურებაზე, დადგენილება გადაეცემა „დავების განმხილველი ცენტრის“ სასამართლოს (საარბიტრაჟო დანესებულების სტრუქტურა) დასამტკიცე-

ბლად და საარბიტრაჟო განხილვა გაგრძელდება. შესაბამისად ნათელია, რომ მხარეთა ასეთი ჩართულობა გამორიცხავს არაკეთილსინდისიერი მხარის პრეტენზიას, რომ არბიტრაჟმა სადავო საკითხის განხილვისას ყურადღება არ გაამახვილა მისი შეხედულებით რაიმე საკითხზე. აღსანიშნავია, რომ ამავე დებულების თანახმად, დადგენილების ხელმოწერის/დამტკიცების შემდეგ მხარეს ახალი მოთხოვნ(ებ)ის დაყენების უფლება აქვს მხოლოდ ტრიბუნალის თანხმობით. გასათვალისწინებელია, რომ კანონი ითვალისწინებს ელექტრონული შეტყობინებების განხორციელების შესაძლებლობას (კანონის მე-2 მუხლი). შესაბამისად, არბიტრთა კონსულტაციების, მონმეების, ექსპერტების ან მხარეების მოსმენა, მხარეთა სხვაგვარი შეთანხმების არარსებობისას, შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად, ტელევიდეოკონფერენციების ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების მეშვეობით. საარბიტრაჟო დანესებულებების საარბიტრაჟო წესები უფრო აკონკრეტებენ ასეთი კომუნიკაციის ფორმას. მაგალითად, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესები პირდაპირ ითვალისწინებს პროცედურული კონფერენციების ჩატარებას ტელევიდეოკონფერენციების ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით (საარბიტრაჟო წესების 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ანალოგიური პროცედურა გათვალისწინებულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს რეგლამენტით (24-ე მუხლი), UNCITRAL-ის რეგლამენტით (28-ე მუხლის მე-2 პუნქტი — მონმეების და ექსპერტების დისტანციურად დაკითხვის შესაძლებლობა), დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტის საარბიტრაჟო განხილვის წესების თანახმად შესაძლებელია მონმეთა და ექსპერტთა დისტანციური დაკითხვა (დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტი), ხოლო სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის დებულება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ითვალისწინებს არა მარტო არბიტრების თათბირის გამართვის, არამედ მხარეთა მოსმენის შესაძლებლობასაც კი (დებულების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი).

მუხლი 25. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი

1. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვის ადგილს განსაზღვრავს არბიტრაჟი საქმის გარემოებებისა და იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მოსახერხებელია ეს ადგილი მხარეებისათვის.
2. არბიტრაჟს შეუძლია ნებისმიერ ადგილზე მოიწვიოს სხდომა არბიტრთა შორის კონსულტაციების ჩასატარებლად, მოწმეების, ექსპერტების ან მხარეების მოსამენად, მტკიცებულებათა შესამოწმებლად, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1. საარბიტრაჟო განხილვის ადგილის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა გააჩნია საარბიტრაჟო განხილვისას წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად კომპეტენტური სასამართლოსა და შესაბამისად, საერთაშორისო არბიტრაჟის შემთხვევაში, გამოსაყენებელი სამართლის (საარბიტრაჟო კანონმდებლობის თუ საჯარო წესრიგის და სხვა სავალდებულო დებულებების) განსაზღვრისათვის. მაგალითად, მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად საქმის განხილვის ადგილია ქუთაისი. მხარეები არიან ზუგდიდის და თელავის სანარმოები. მხარეთა შეუთანხმებლობა არბიტრის დანიშვნის, აცილების, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების, მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების აღმოჩენის, არბიტრაჟის კომპეტენციის განსაზღვრის, არბიტრაჟის გადანყვეტილების ცნობა-აღსრულებისა თუ გაუქმების საკითხში განხილული უნდა იქნეს ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული განსჯადობის წესების შესაბამისად. ამდენად, საარბიტრაჟო განხილვის ადგილს სამართლებრივი დატვირთვა გააჩნია და მოიაზრებს არა კონკრეტული საპროცესო ქმედების (მოსმენის ჩატარების, მოწმეთა დაკითხვის, ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევის, ადგილობრივი დათვალიერების) განხორციელების

ლოკაციას, არამედ პროცედურული კანონმდებლობის გამოყენების საკითხს. კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს სრული თავისუფლება გააჩნიათ საარბიტრაჟო განხილვის ადგილის განსაზღვრაში. თუ მხარეები ასეთი უფლებით არ ისარგებლებენ, ან ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, საარბიტრაჟო განხილვის ადგილს განსაზღვრავს მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებული არბიტრაჟი. ზოგიერთი საარბიტრაჟო დანესებულების საარბიტრაჟო წესებში პირდაპირაა მითითებული საარბიტრაჟო განხილვის ადგილი. მაგალითად, „დავების განმხილველი ცენტრის“ დებულებაში (მე-20 მუხლი) მითითებულია, რომ „საარბიტრაჟო განხილვის ადგილია თბილისი, თუ მხარეები სხვა ადგილზე არ შეთანხმდებიან“. ანალოგიური დათქმვა, მათ შორის და არა მხოლოდ, მაგალითად სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის დებულებაში, რომლის თანახმად საარბიტრაჟო განხილვის ადგილად განსაზღვრულია ქალაქი სინგაპური (მე-18 მუხლი), ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს დებულების მიხედვით, მხარეთა შეთანხმების არარსებობისას საქმის განხილვის ადგილია ლონდონი (დებულების მე-16 მუხლი). საარბიტრაჟო დანესებულებების უმრავლესობა კი ზოგადად აღნიშნავს, რომ მხარეთა შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვის ადგილს განსაზღვრავს საარბიტრაჟო ტრიბუნალი (საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი, დებულების 22-ე მუხლი, დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტი, დებულების მე-18 მუხლი, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო, დებულების მე-18 მუხლი, UNCITRAL-ის საარბიტრაჟო რეგლამენტის მე-18 მუხლი). საარბიტრაჟო განხილვის ადგილი მხარეებმა უნდა განსაზღვრონ *ad hoc* არბიტრაჟის შემთხვევაშიც. ასეთი განსაზღვრის არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვის ადგილი უნდა დაადგინოს ასეთი არბიტრაჟის წესით ფორმირებულმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა. საქმის განხილვის ადგილის განსაზღვრისას საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს საქმის კონკრეტული გარემოებები და მხარეთა მოსაზრებები.

2. საარბიტრაჟო განხილვის ადგილის ნებისმიერი გადაწყვეტის შემთხვევაში, იქნება ეს დებულებაში მითითებული ადგილი, თუ თავად საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილი ადგილი (მხარეთა შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში), საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია ნებისმიერ ადგილზე ჩაატაროს სხდომა და ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვის უკვე განსაზღვრული ადგილი კვლავ უცვლელი იქნება. ანუ, თუ საქმის განხილვის ადგილად განისაზღვრა ქალაქი თბილისი, ქუთაისი ან ნებისმიერი სხვა ქალაქი, სხდომა/სხდომები შეიძლება არბიტრაჟის შეხედულებით რამდენიმე სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში ჩატარდეს (ერთსა და იმავე საქმეზე სხდომები შეიძლება ჩატარდეს ბათუმშიც, ფოთშიც და თელავშიც). თუ საქმის განხილვის ადგილს სხდომის ჩატარების ადგილთან გავაიგივებთ, ეს გამოიწვევს კომპეტენტური სასამართლოს არჩევის საკითხის გადაწყვეტის სირთულეს, რადგანაც სახეზე იქნება სხვადასხვა სასამართლოს, მათ შორის სააპელაციო სასამართლოს იურისდიქცია — ქუთაისის და თბილისის, ხოლო საერთაშორისო არბიტრაჟის შემთხვევაში, პრობლემა კიდევ უფრო ფართო მასშტაბიან სახეს მიიღებს. ამდენად, სხდომის ჩატარების ადგილისა და მიუხედავად, საქმის განხილვის ადგილი და, შესაბამისად, კომპეტენტური სასამართლო განისაზღვრება **საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ ან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული საქმის განხილვის ადგილის** მიხედვით ფუნქციონირებადი სასამართლოს იურისდიქციის შესაბამისად. ასეთი გადაწყვეტა სრულად შეესაბამება კანონის არსსაც და საერთაშორისო არბიტრაჟების დებულებებსაც. მაგალითისათვის შეიძლება მოყვანილი იქნეს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს დებულება, რომლის შესაბამისადაც, საარბიტრაჟო სასამართლოს საარბიტრაჟო სხდომა შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ გეოგრაფიულად მოსახერხებელ ადგილას (დებულების 16.2 მუხლი. ამავე დებულების თანახმად, როგორც აღინიშნა, საქმის განხილვის ადგილად ითვლება ქალაქი ლონდონი). ასევე შესაძლებელია მოყვანილი იქნეს „დავების განმხილველი ცენ-

ტრის“ დებულების მე-20 მუხლი, რომლის თანახმადაც ტრიბუნალი უფლებამოსილია საქმის ზეპირი მოსმენა გამართოს „სხვა ადგილას“ (დებულებით ან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ადგილისაგან განსხვავებულ ადგილას). ანალოგიურად, მხარეთა კონკრეტული შეთანხმების არარსებობისას, საქმის განხილვის ადგილისდა მიუხედავად, არბიტრთა შორის კონსულტაციების ჩასატარებლად, მონმეების, ექსპერტების ან მხარეების მოსასმენად, მტკიცებულებათა შესამოწმებლად, არბიტრაჟი უფლებამოსილია ნებისმიერ ადგილზე მოიწვიოს სხდომა.

მუხლი 26. საარბიტრაჟო დავის განხილვის დანაშაულის დაწყება

საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დღეს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მხარეებს სრული შესაძლებლობა გააჩნიათ თავად განსაზღვრონ საარბიტრაჟო დავის დაწყების დრო. ასეთი შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვის დაწყების დღედ მიიჩნევა არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დღე. განსაზღვრული აქვთ თუ არა მხარეებს მოცემული საკითხი, უნდა შეფასდეს მათი საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსიდან. ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში, თუ მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებაში პირდაპირ არ მიუთითებენ ამ საკითხზე და თანხმობას აცხადებენ დავის საარბიტრაჟო წესების მიხედვით განხილვის შესახებ, საარბიტრაჟო დავის განხილვის დაწყება დამოკიდებულია საარბიტრაჟო დანესებულების საარბიტრაჟო წესების (დებულება) შინაარსზე. საარბიტრაჟო დანესებულების, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრი“-ს დებულების მე-19 მუხლის 19.4 პუნქტის შესაბამისად, საარბიტრაჟო განხილვის დაწყების დღედ ითვ-

ლება არბიტრაჟის სამდივნოს მიერ სარჩელის მიღების (რეგისტრაციის) დღე. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების მე-6 მუხლის შესაბამისად, ნებისმიერმა მხარემ, რომელსაც სურს დაიწყოს საარბიტრაჟო პროცესი წესების შესაბამისად, საარბიტრაჟო ცენტრის სამდივნოში უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო განაცხადი, შიდა წესებით განსაზღვრულ ან საარბიტრაჟო ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულ მისამართზე. საარბიტრაჟო პროცესი ჩაითვლება იმ რიცხვში დაწყებულად, როდესაც სამდივნომ მიიღო საარბიტრაჟო განაცხადი. ანალოგიურად რეგულირდება ეს საკითხი საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს რეგლამენტითაც (რეგლამენტის მე-4 მუხლი). UNCITRAL-ის მოდელური კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, საარბიტრაჟო წარმოება იწყება არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების მოპასუხის მიერ მიღების დღეს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, მხარე, რომელსაც სურს საარბიტრაჟო განხილვის დაწყება, არბიტრაჟის რეგისტრატორს წარუდგენს შესაბამის განაცხადს მტკიცებულებებთან ერთად. დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტის საარბიტრაჟო წარმოების წესების მე-3 მუხლის შესაბამისად, საარბიტრაჟო განხილვის დაწყების დღედ ითვლება მოპასუხის მიერ საარბიტრაჟო დავის დაწყების შესახებ შეტყობინების მიღების დღე, ხოლო ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს დებულების პირველი მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო განხილვის დაწყების მსურველი მხარე სასამართლოს რეგისტრატორს წარუდგენს განაცხადს საარბიტრაჟო განხილვის შესახებ.

მუხლი 27. შეტყობინება

თუ ამ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წერილობითი შეტყობინება მხარეებს ჩაჰბარდებათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო შეტყობინებებისა და დაბარებებისათვის დადგენილი წესებით.

საარბიტრაჟო განხილვის დროული დასრულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მასში მონაწილე მხარეების მიერ წერილობითი შეტყობინებების ჩაბარებაზე. პრაქტიკაში იქმნება სიძნელები საარბიტრაჟო შეტყობინებების მოპასუხებისათვის ჩაბარების დროს. არც თუ იშვიათად, არაკეთილსინდისიერი მხარეები (ძირითადად ფიზიკური პირები) არ იმყოფებიან მათი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შესახებ მათ კონტრაგენტს ხელშეკრულების დადებისას არასწორ მისამართს მიუთითებენ, ან ხელშეკრულების დადების შემდეგ იცვლიან ადგილსამყოფელს, რის შესახებაც კონტრაგენტს არ აწვდიან ინფორმაციას. სირთულეები იქმნება იურიდიულ პირებთან მიმართებაშიც, როდესაც იურიდიული პირების იურიდიულ მისამართად, მათი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის თანახმად, განსაზღვრულია დამფუძნებლის ან დირექტორის საცხოვრებელი ადგილის მისამართი. ასეთი შემთხვევის დროს, საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმებისას, მხარეებს მეტი წინდახედულება მართებთ და უპრიანი იქნება, თუ საარბიტრაჟო შეთანხმებაში გაითვალისწინებენ შეტყობინების გაგზავნისა და ჩაბარებისათვის კონკრეტულ ფორმას — ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ჩაბარებას, სპეციალურ დაწესებულებას ან კონკრეტულ პიროვნებას (მაგალითად საპროცესო აგენტს), რომელიც უფლებამოსილი იქნება ჩაიბაროს ასეთი შეტყობინება. თუ მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებაში პირდაპირ არ მიუთითებენ ამ საკითხზე (შეტყობინებების ჩაბარების პროცედურაზე) და თანხმობას აცხადებენ, რომ მათი დავა განიხილოს კონკრეტულმა ინსტიტუციურმა არბიტრაჟმა, ეს საკითხი დარეგ-

ულირდება საარბიტრაჟო დანესებულების საარბიტრაჟო წესების (დებულება) შესაბამისად. საარბიტრაჟო დანესებულების, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრის“ საარბიტრაჟო წარმოების წესების მე-2 მუხლის 2.3 პუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო წარმოების წესები (დებულება) წარმოადგენს იმ მხარეებს შორის საარბიტრაჟო შეთანხმების ნაწილს, რომლებმაც დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, „დავების განმხილველ ცენტრს“. მითითებული დებულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტის თანახმად შეტყობინება/გზავნილი, ამ მუხლის 5.2 პუნქტის შესაბამისად, ჩაბარებულად ითვლება ადრესატისათვის მისი გადაცემის დღეს ან **მისი გადაცემის მცდელობის დღეს**. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის მარტამდე არსებული რედაქციით კანონის 27-ე მუხლი ითვალისწინებდა შეტყობინების ჩაბარებულად მიჩნევას, თუ ადგილი ექნებოდა მისი მიწოდების ან ჩაბარების მცდელობას. 2015 წლის მარტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 27-ე მუხლი მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო შეტყობინებებისა და დაბარებებისათვის დადგენილი წესის გამოყენებაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მითითებული პროცედურა ითვალისწინებს საჯარო შეტყობინების შესაძლებლობასაც, რაც დაუშვებელია საარბიტრაჟო წარმოებაში შემდეგ გარემოებათა გამო: „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად საარბიტრაჟო განხილვა დახურულია და ნებისმიერი ინფორმაცია და მტკიცებულება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პროცესის ნებისმიერი მონაწილე, მათ შორის არბიტრი, ვალდებულია დაიცვას საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. საჯარო შეტყობინების დროს არსებობს კონფიდენციალობის დარღვევის საშიშროება, რადგანაც პროცესის დახურულად წარმოება თავის თავში მოიაზრებს, რომ ინფორმაცია პროცესის შესახებ მარტო მის მონაწილეებს უნდა მიეწოდოს, საჯარო შეტყობინების განხორციელება კი რადი-

კალურად ეწინააღმდეგება ასეთი პრინციპის დაცვის სავალდებულობას. აღსანიშნავია, რომ საჯარო შეტყობინების შესაძლებლობა და დასაშვებობა არ არის გათვალისწინებული არც მოდელურ კანონში და არც უცხოეთის საარბიტრაჟო დანესებულებების საარბიტრაჟო წესებში. UNCITRAL-ის საარბიტრაჟო რეგლამენტის (საარბიტრაჟო წარმოების წესები) მე-2 მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებით და „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ მოდელური კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, ასევე მრავალი საარბიტრაჟო დანესებულების საარბიტრაჟო წესების მიხედვით, საარბიტრაჟო გზავნილი ჩაბარებულად ითვლება, თუ ადგილი ჰქონდა გზავნილის არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართ(ებ)ზე გაგზავნის და ჩაბარების გონივრულ მცდელობას. მაგალითად — სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო დებულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტი, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოს საარბიტრაჟო რეგლამენტის (Arbitration Rules of International Court of Arbitration International Chamber of Commerce – ICC „ICC Rules“) მე-3 მუხლის 3.2 და 3.3 პუნქტები, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA Court) რეგლამენტის მე-4 მუხლის 4.2 პუნქტი, დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტის (CIArb) საარბიტრაჟო წარმოების წესების მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები. ამდენად, მსოფლიოს წამყვანი საარბიტრაჟო დანესებულებების საარბიტრაჟო წესების თანახმად, საარბიტრაჟო შეტყობინება, ჩაუბარებლობის მიუხედავად, ჩაბარებულად ითვლება, თუ არბიტრაჟის მხრიდან ადგილი ჰქონდა არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართ(ებ)ზე გაგზავნის გონივრულ მცდელობებს. აღსანიშნავია ქართული სასამართლო პრაქტიკაც — თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ბ.ბ.-ს სარჩელის საფუძველზე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კ“-ს დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროებისათვის. სასამართლომ მიუთითა, რომ ინფორმაციის გასაჯაროება სასესხო ურთიერთობების შესახებ,

ამ ინფორმაციის გარეშე პირებისათვის მიწოდებით დაირღვა პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის და „პერსონალურ მონაცემთა შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციები და სხვა საკანონმდებლო დანაწესები და რომ საქმე ეხება ისეთი მგრძნობიერი საკითხის წამოწევას, როგორცაა პირის ფინანსური ვალდებულებებისა და ამ ვალდებულებათა დარღვევის თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროებას. სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით (პირადი ცხოვრების პატივისცემა) დაცულ მნიშვნელოვანი უფლებაზე და მის ირგვლივ ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრეცედენტულ სამართალზე (*Case OS Z. Vs. Finland, Panteleyenko vs. Ukraine* და სხვა). შესაბამისად, კანონის სერიოზულ ხარვეზად უნდა აღინიშნოს ის, რომ მიუთითებს რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების გამოყენებაზე, არ ითვალისწინებს საჯარო შეტყობინების დაუშვებლობას საარბიტრაჟო წარმოებაში, რადგანაც ასეთ დროს ირღვევა ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი — კონფიდენციალურობა. დამკვიდრებული საარბიტრაჟო პრაქტიკის თანახმად, კონფიდენციალურია არა მარტო განსახილველი საქმის შინაარსი, არამედ თავად საქმის განხილვის შესახებ მონაცემიც კი. შესაბამისად, საარბიტრაჟო პროცესში დაუშვებელია საჯარო შეტყობინების განხორციელება.

მუხლი 28. წარმომადგენლობა საარბიტრაჟო განხილვაში

მხარეს უფლება აქვს, საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე წარმოდგენილი იყოს ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლის მეშვეობით.

ისევე როგორც სასამართლოში, საარბიტრაჟო წარმოებაშიც მხარეს უფლება აქვს, საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე წარმოდგენილი იყოს ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლის უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იყოს სათანადოდ — იურიდიული

პირის შემთხვევაში წარმომადგენლობის უფლება შეიძლება მიენიჭოს ამ იურიდიული პირის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში კი ნოტარიუსის მიერ.

მუხლი 29. საარბიტრაჟო წარმოების ენა

1. მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ საარბიტრაჟო წარმოების ენა (ენები). მხარეთა შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო წარმოების ენას (ენებს) ადგენს არბიტრაჟი ყველა შესაბამისი გარემოების, მათ შორის, ხელშეკრულების ენის ჯეროვანი გათვალისწინებით. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შეთანხმება ან არბიტრაჟის გადანყვეტილება ეხება აგრეთვე მხარეთა ნებისმიერ წერილობით განცხადებას, ზეპირ მოსმენას, საბოლოო საარბიტრაჟო გადანყვეტილებას, დადგენილებას და საარბიტრაჟო წარმოებაში გამოყენებულ ნებისმიერ სხვა საბუთს.
2. არბიტრაჟმა შეიძლება დაადგინოს, რომ ყოველგვარ დოკუმენტურ მტკიცებულებას თან უნდა ახლდეს თარგმანი საარბიტრაჟო წარმოების ენაზე (ენებზე).

1. საარბიტრაჟო წარმოების/განხილვის ენის საკითხი, ბუნებრივია წარმოიშვება საერთაშორისო დავის შემთხვევაში და მას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია — შესაბამისი ენის მცოდნე არბიტრის/არბიტრების შერჩევისას და ა.შ. როგორც წესი, საარბიტრაჟო წარმოების ენის განსაზღვრა მხარეთა მიერ ხდება, ხოლო თუ მხარეებს ასეთი არჩევანი არ გაუკეთებიათ, მაშინ ეს, მოცემული კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უნდა განსაზღვროს არბიტრაჟმა. საარბიტრაჟო დანესებულების, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის,

„დავების განმხილველი ცენტრი“-ს დებულების 21-ე მუხლის 21.1 პუნქტის თანახმად, მხარეთა შეთანხმების არარსებობისას „საარბიტრაჟო განხილვის ენას ადგენს ტრიბუნალი ყველა შესაბამისი გარემოების, მათ შორის, ხელშეკრულების ენის გათვალისწინებით“. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საარბიტრაჟო განხილვის ენას ადგენს ტრიბუნალი ყველა შესაბამისი გარემოების, მათ შორის ხელშეკრულების ენის გათვალისწინებით“. ამავე ნორმის თანახმად, მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვის ენას განსაზღვრავს საარბიტრაჟო ტრიბუნალი მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ. ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს საარბიტრაჟო რეგლამენტის მე-17 მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო განხილვის ენის შესახებ მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს საარბიტრაჟო შეთანხმების ენაზე. ამავე რეგლამენტის თანახმად, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება რამდენიმე ენაზეა შესრულებული, საარბიტრაჟო განხილვის ენას განსაზღვრავს საარბიტრაჟო სასამართლო. მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის ენა სავალდებულოა ნებისმიერი საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის — განცხადების/შუამდგომლობის წარდგენა, საარბიტრაჟო განხილვისას მიღებული ნებისმიერი საპროცესო აქტის, მათ შორის საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოცანა. ასეთი სახის დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის ენაზე და არბიტრაჟის (ტრიბუნალის) ნებისმიერი საპროცესო აქტიც მიღებული უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის ენაზე.

2. კანონის თანახმად, არბიტრაჟს (საარბიტრაჟო ტრიბუნალს) გააჩნია უფლება დაადგინოს, რომ მხარის/მხარეების მიერ საარბიტრაჟო განხილვის ენისაგან განსხვავებულ ენაზე შესრულებული ნებისმიერი დოკუმენტი წარდგენილი იქნეს საარბიტრაჟო განხილვის ენაზე შესრულებული თარგმანის სახ-

ით. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ საარბიტრაჟო განხილვა მიმდინარეობს საქართველოში, მაგრამ საარბიტრაჟო განხილვის ენად განსაზღვრულია, ვთქვათ იაპონური ენა, ქართულ ან ნებისმიერ სხვა ენაზე (ამ შემთხვევაში იაპონურის გარდა) შესრულებული ნებისმიერი დოკუმენტი საარბიტრაჟო ტრიბუნალს უნდა წარედგინოს იაპონურ ენაზე ნათარგმნი და სათანადოდ დამონმებული სახით.

მუხლი 30. საარბიტრაჟო სარჩელი, საარბიტრაჟო შესაგებელი

1. მხარეთა მიერ შეთანხმებულ ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ ვადაში საარბიტრაჟო მოსარჩელემ წერილობით უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო სარჩელი, რომელშიც მიუთითებს მხარეთა სახელებსა (სახელწოდებებსა) და მისამართებს (ადგილსამყოფლებს), მოთხოვნას, იმ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებს აღნიშნულ მოთხოვნას, და საარბიტრაჟო სარჩელზე თანდართული საბუთების ნუსხა.
2. საარბიტრაჟო მოპასუხე წარმოადგენს შესაგებელს საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებები გამოიყენება მაშინ, როდესაც მხარეთა შეთანხმებით სხვა მოთხოვნები არ არის დადგენილი საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის მიმართ, ან როდესაც ასეთი შეთანხმება არ არსებობს.
4. საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის ამ მუხლით დადგენილი წესით განსაზღვრული ფორმის დაუცველად წარდგენის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვა არ დაიწყება.

5. თუ საარბიტრაჟო მოპასუხე არ წარმოადგენს შესაგებელს საარბიტრაჟო სარჩელზე ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოდგენლობა არ შეიძლება ჩაითვალოს საარბიტრაჟო სარჩელის ცნობად.
 6. მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო სარჩელთან ან შესაგებელთან ერთად წარმოადგინონ ნებისმიერი საბუთი, რომელიც უკავშირდება საქმეს, ან მიუთითონ იმ საბუთებსა და მტკიცებულებებზე, რომლებსაც ისინი შემდგომ წარმოადგენენ.
 7. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რა არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო სარჩელი უნდა გაეგზავნოს მეორე მხარესა და არბიტრაჟის თავმჯდომარეს, ხოლო თუ არბიტრაჟის თავმჯდომარე ჯერ არ არის არჩეული — ყველა არბიტრს.
 8. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეს შეუძლია შეცვალოს საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნები ან შესაგებელი ან წარმოადგინოს დამატებითი მოთხოვნები, თუ ეს არბიტრაჟმა არ მიიჩნია განხილვის გაჭიანურებად.
1. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლით განისაზღვრა საარბიტრაჟო დავის განხილვის დაწყების წესი. მითითებული მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო დავის დაწყება არ ნიშნავს საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენას. შესაძლებელია პრეტენდენტმა მხარემ საარბიტრაჟო დაწესებულების სამდივნოს ან თავად მოწინააღმდეგე მხარეს წარუდგინოს განაცხადი/ შეტყობინება საარბიტრაჟო დავის დაწყების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში, საარბიტრაჟო დავის წამომწყებმა მხარემ (პოტენციური საარბიტრაჟო მოსარჩელე) არბიტრაჟს წერილობითი ფორმით უნდა წარუდგინოს საარბიტრაჟო სარჩელი. თუ მხარეთა შეთანხმებით ან ტრიბუ-

ნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში საარბიტრაჟო მოსარჩელე არ წარადგენს საარბიტრაჟო სარჩელს, ბუნებრივია, რომ საარბიტრაჟო განხილვა არ შედგება და დაწყებული წარმოება შეწყდება — იხ. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების 31-ე მუხლის პირველი პუნქტი. ანალოგიურად არის მოცემული საკითხი გადაწყვეტილი მსოფლიოს სხვა საარბიტრაჟო ცენტრებშიც - სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო რეგლამენტის მე-17 მუხლი, დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტის საარბიტრაჟო წარმოების წესების მე-19 მუხლი და ა.შ. საარბიტრაჟო სარჩელში უნდა აღინიშნოს: მოსარჩელის, სხვა მხარეებისა და მათი წარმომადგენლების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრული სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ა.შ.), დავის არსი და ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლიდანაც გამომდინარეობს მოთხოვნა, მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნ(ებ)ი, მისი მიახლოებითი ფულადი ღირებულება, მითითება საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისა და პირობების შესახებ, რამდენიმე საარბიტრაჟო მოთხოვნის შემთხვევაში, მითითება, თუ რომელი საარბიტრაჟო შეთანხმებიდან გამომდინარეობს თითოეული მოთხოვნა, დოკუმენტების ნუსხა, რომელიც ერთვის საარბიტრაჟო სარჩელს;

2. საარბიტრაჟო მოპასუხის უფლებაა წარადგინოს შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებთან დაკავშირებით. კანონი არ განსაზღვრავს შესაგებლის წარდგენის ვადას. ასეთი ვადა შეუძლიათ განსაზღვრონ თავად მხარეებმა. შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრული არბიტრაჟი — საარბიტრაჟო ტრიბუნალი ხელმძღვანელობს საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წესებით (დებულება) ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში, ხოლო *ad hoc* არბიტრაჟი საკუთარი შეხედულებით, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონით დადგენილი

უფლებამოსილებების ფარგლებში. ასე მაგალითად, საარბიტრაჟო დანესებულების, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავეების განმხილველი ცენტრის“ დებულების მე-8 მუხლის თანახმად, მოპასუხემ შესაგებელი უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო სარჩელის მიღებიდან 15 დღის ვადაში, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების მე-7 მუხლის თანახმად მოპასუხემ პასუხი საარბიტრაჟო განაცხადზე უნდა წარადგინოს 30 დღის განმავლობაში. ცნობისათვის, სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის რეგლამენტის მე-4 მუხლის თანახმად ასეთი ვადა 14 დღეა, დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტის საარბიტრაჟო წესების მე-4 მუხლის თანახმად ასეთი ვადა 30 დღეა.

3. კომენტირებული კანონის 30-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებები მხოლოდ მაშინ გამოიყენება, თუ მხარეები სხვაგვარად არ არიან შეთანხმებული სარჩელის და შესაგებლის შეტანის პროცედურებზე.

4. მოცემული კანონი იმპერატიულად ადგენს, რომ საარბიტრაჟო სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს ამ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით — წერილობით და ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობისას საარბიტრაჟო განხილვა არ დაიწყება.

5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებისაგან განსხვავებით, საარბიტრაჟო შესაგებლის წარუდგენლობა არ ნიშნავს საარბიტრაჟო სარჩელის ცნობას და არ წარმოადგენს მოპასუხის საწინააღმდეგო დაუსწრებელი გადანწყვეტილების გამოტანის საფუძველს. შესაგებლის წარდგენისათვის მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის დებულებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე და მოცემული კანონის 24-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით (*გთხოვთ იხილოთ დასახელებული მუხლის კომენტარი*).

6. მხარეებს განუსაზღვრელი შესაძლებლობა გააჩნიათ საარბიტრაჟო სარჩელთან ან შესაგებელთან ერთად წარადგინონ ნებისმიერი საბუთი, რომელიც უკავშირდება საქმეს. მათ ასევე შეუძლიათ მიუთითონ იმ საბუთებსა და მტკიცებულებებზე, რომლებსაც ისინი არბიტრაჟს შემდგომ წარუდგენენ. აღნიშნულიდან ნათელია, რომ კანონმდებელმა მხარეებს უფლება მიანიჭა არბიტრაჟს ნებისმიერი წერილობითი მტკიცებულება წარუდგინონ, ოღონდ სავალდებულო პირობად დათქვა, რომ ასეთი მტკიცებულება საქმეთან კავშირში უნდა იყოს. სარჩელში ან შესაგებელში ასეთი მითითების არსებობისას (მტკიცებულების შემდგომში წარმოდგენის თაობაზე), არბიტრაჟი, მისი დებულებიდან გამომდინარე, ასეთ მხარეს განუსაზღვრავს შესაბამის ვადას (*გთხოვთ იხილოთ დასახელებული მუხლის კომენტარი*).

7. მოცემული მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დაცვით შეტანილი საარბიტრაჟო სარჩელი ეგზავნება მეორე მხარეს და საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრებს, 30-ე მუხლის მე-7 პუნქტში მითითება „არბიტრაჟის თავმჯდომარე“ გულისხმობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარეს და არა საარბიტრაჟო დანესებულების ხელმძღვანელს, შესაბამისად სასურველია დაიხვეწოს კანონის მოცემული პუნქტი. მუდმივმოქმედი არბიტრაჟების დებულებების თანახმად, ტრიბუნალმა უნდა უზრუნველყოს საარბიტრაჟო განხილვის სწრაფი და ნაკლები დანახარჯებით წარმართვა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის კომენტარში მითითებული ღონისძიებები.

8. მოცემული მუხლის მე-8 პუნქტთან დაკავშირებით შესაბამის კომენტარი გადმოცემულია 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის კომენტარში.

მუხლი 31. უარი შიდასაჩივაროზე

თუ ამ კანონის რომელიმე მოთხოვნა, რომლისგანაც მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ, ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე მოთხოვნა არ იქნა დაცული და მხარე აგრძელებს საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობას ისე, რომ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ან/და, თუ ამ კანონით, მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულია რაიმე ვადა, ამ ვადის განმავლობაში წერილობით არ წარადგენს თავის შესაგებელს, მაშინ ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლებაზე.

მოცემული მუხლის თანახმად, თუ მხარე რაიმე სახის პროცედურული დარღვევის თაობაზე არ განაცხადებს და აგრძელებს საარბიტრაჟო განხილვის პროცედურაში მონაწილეობას (მათ შორის საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციის ან/და არბიტრის აცილების საფუძვლის არსებობა, თუ ასეთი საფუძვლის არსებობა მხარისათვის საარბიტრაჟო განხილვის დასრულებამდე გახდა ცნობილი და არ ისარგებლა არბიტრის აცილების უფლებით), ან თუ მოპასუხე მხარე, მხარეთა შეთანხმებით ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ წარადგენს შესაგებელს, ითვლება, რომ მან არ ისარგებლა შესაგებლის წარდგენის უფლებით, ოღონდ, როგორც უკვე აღინიშნა, ეს არ ნიშნავს მის მიერ სარჩელის ცნობას და არბიტრაჟმა საქმე უნდა განიხილოს საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე. ასეთი უფლებით სარგებლობაზე უარის თქმა მხარეს უფლებას ართმევს, ასეთი საფუძვლების არსებობის შესახებ განაცხადოს მისთვის არახელსაყრელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანისას - იქნება ეს მისი საჩივრით მოთხოვნილი გადაწყვეტილების გაუქმება, თუ გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეტაპზე მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის განხილვის ეტაპი. კომენტარული ნორმა სრულად შეესაბამება მოდელური კანონის (2006 წლის რედაქციით) მე-4 მუხლს, რომლის თანახმად „თუ კანონის რომელიმე მოთხოვნა, რომლისგანაც მხარეებს

შეუძლიათ გადაუხვიონ, ან საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე მოთხოვნა არ იქნა დაცული და მხარე აგრძელებს საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობას ისე, რომ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ან თუ განსაზღვრულია რაიმე ვადა, ამ ვადის განმავლობაში არ წარადგენს თავის შესაგებელს, მაშინ ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლებაზე“. საკითხის ამგვარი გადანყვეტა უკავშირდება კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას და უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას, რაც ასევე მოდელური კანონის თანახმადაა განსაზღვრული (2ა მუხლი - „ამ კანონის განმარტებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი საერთაშორისო ბუნება და გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის ხელშეწყობის საჭიროება, ასევე კეთილსინდისიერების დაცვა“) და მიჩნეულია, რომ თუ მხარე გარკვეული პროცედურული საკითხ(ებ)ის დარღვევის შესახებ ინფორმირებულია, მაგრამ ასეთი დარღვევის გამოყენებით აპელირებას ცდილობს მისი საწინააღმდეგო გადანყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, მას აღარ აქვს ასეთი დარღვევების შესახებ მითითების უფლება. დოქტრინაში ეს საკითხი ცნობილია გასაჩივრების უფლების ჩამორთმევის პრინციპის სახელით (**estoppel**) და აღნიშნული პრინციპის თანახმად წაგებული მხარის მიერ გადანყვეტილების გაუქმების ან ასეთი გადანყვეტილების ცნობისა და აღსრულების ეტაპზე წარდგენილი პრეტენზია არის დაუშვებელი, როგორც არბიტრაჟის კომპეტენციასთან და პროცედურულ დარღვევებთან, ასევე არსებითი განხილვის საკითხებზეც. ანალოგიურად, მხარეს არ შეუძლია (მატერიალური უფლება არა აქვს) დააყენოს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობის მოთხოვნა მისი საწინააღმდეგო გადანყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, თუ მას არბიტრაჟის კომპეტენციის არარსებობის შესახებ არ ჰქონდა წარდგენილი განცხადება. საინტერესო მაგალითია მოყვანილი ლიტერატურაში — მიუნხენის სააპელაციო სასამართლომ უარყო მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის შემადგენლობის განსაზღვრა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებას ეწინააღმ-

დეგებოდა. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების მიუხედავად, საარბიტრაჟო ტრიბუნალი განისაზღვრა მხოლოდ ერთი არბიტრის შემადგენლობით. მოპასუხეს, რომელსაც ეცნობა ერთი არბიტრისაგან შემდგარი ტრიბუნალით საქმის განხილვის შესახებ, არ განუცხადებია პროტესტი საარბიტრაჟო დათქმიდან გადახვევის შესახებ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ დაკარგა გასაჩივრების უფლება ამ საკითხზე (*Yearbook Commercial Arbitration XXXIV, 2009 წ., გვ. 499-503*).

მუხლი 32. საარბიტრაჟო განხილვის ფორმა

1. თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არ არის საარბიტრაჟო განხილვის ფორმა, არბიტრაჟი უფლებამოსილია ჩაატაროს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ზეპირი განხილვა ან საქმის განხილვა მხოლოდ საბუთებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით არბიტრაჟი ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი განხილვა საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეებმა უარი განაცხადეს ზეპირ მოსმენაზე.
2. მხარეებს წინასწარ, გონივრულ ვადაში უნდა ჩაჰბარდეთ უწყება არბიტრაჟის ყოველი სხდომისა და მოსმენის ჩატარების შესახებ.
3. ყველა განცხადება, საბუთი თუ სხვა ინფორმაცია, რომელსაც წარუდგენს არბიტრაჟს ერთ-ერთი მხარე, დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს მეორე მხარეს. მხარეებს უნდა წარედგინოს ექსპერტის ყველა დასკვნა ან სხვა მტკიცებულებები, რომლებიც არბიტრაჟმა შეიძლება საფუძველად დაუდოს თავის გადანყვეტილებას.
4. თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა საარბიტრაჟო განხილვა უნდა იყოს

დახურული. წარმოდგენილი საბუთი, მტკიცებულება, წერილობითი თუ ზეპირი განცხადება არ უნდა იქნეს საჯაროდ გამოქვეყნებული ან გადაცემული და გამოყენებული სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციულ წარმოებაში.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, არბიტრი და საარბიტრაჟო წარმოების მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებული არიან, დაიცვან საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

1. საქმის განხილვის ფორმაზე მხარეთა შეთანხმების არარსებობისას, კანონი არბიტრაჟს უფლებამოსილებას ანიჭებს თავად გადაწყვიტოს საკითხი საარბიტრაჟო განხილვის ფორმის შესახებ — ჩაატაროს ზეპირი განხილვა, თუ შემოიფარგლოს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვით. საქმის განხილვის ფორმაზე შეთანხმების არარსებობა ძირითადად მხოლოდ *ad hoc* არბიტრაჟის შემთხვევაშია შესაძლებელი. რაც შეეხება ინსტიტუციურ არბიტრაჟს, როდესაც მხარეები თანხმდებიან დავის საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წესებით განხილვაზე, საქმის განხილვის ფორმა ასეთი წესებითაა განსაზღვრული. საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წესები განსხვავებულად არეგულირებენ საქმის განხილვის ფორმას. მაგალითად, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების მიხედვით საქმის განხილვა წარმოებს ზეპირი მოსმენის გარეშე, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, თუმცა წესების 30-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო ტრიბუნალს გააჩნია დისკრეტია ზეპირი მოსმენის ჩატარების საკითხში და საქმეს ასეთი ფორმით განიხილავს საკუთარი შეხედულებით, ან მხარის მოთხოვნით. ანალოგიურად, საარბიტრაჟო დაწესებულების, „დავების განმხილველი ცენტრის“ საარბიტრაჟო წარმოების წესების (დებულება) თანახმად, ზეპირი მოსმენის გამართვა შესაძლებელია საკუთარი ინიციატივის, ან მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო წარმოების წესებზე მხარეთა შეთანხმება არ გამ-

ორიცხავს ცალკეულ პროცედურულ საკითხებზე, მათ შორის საქმის განხილვის ფორმაზე მხარეთა სხვაგვარ შეთანხმებას, ოღონდ ასეთი განსხვავებული პროცედურის თაობაზე აღნიშნული უნდა იქნეს მხარეთა წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებულ საარბიტრაჟო დათქმაში/შეთანხმებაში. ამდენად, მხრეთა სხვაგვარი შეთანხმების არარსებობისას, საარბიტრაჟო ტრიბუნალი თავად საზღვრავს საქმის განხილვის ფორმას და როგორც წესი, საქმეთა განხილვა წარმოებს საბუთებისა და მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ხოლო მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, არბიტრაჟი **ვალდებულია** ჩაატაროს ზეპირი მოსმენა საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. ამ წესიდან არსებობს ერთი გამონაკლისი — ზეპირი მოსმენა არ გაიმართება, თუ მხარეებს საარბიტრაჟო დათქმაში/შეთანხმებაში უარი აქვს გაცხადებული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვაზე. ასეთი უარი, მოცემული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე, შეუქცევადია და საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ არის ვალდებული დააკმაყოფილოს მხარის მოთხოვნა ზეპირი მოსმენის ჩატარების შესახებ, თუმცა ეს თავად საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ ართმევს უფლებას ზეპირი მოსმენა ჩაატაროს საკუთარი ინიციატივით, თუ ამას ჩათვლის მიზანშეწონილად.

2. საქმის ზეპირი მოსმენით ჩატარების შესახებ მხარეებს გონივრულ ვადაში უნდა ჩაბარდეთ უწყება არბიტრაჟის ყოველი კონკრეტული სხდომის შესახებ (*გთხოვთ იხილოთ. 27-ე მუხლის კომენტარი*).

3. საარბიტრაჟო განხილვის დასრულებამდე, ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა წერილობითი დოკუმენტი (საბუთი, ინფორმაცია, ექსპერტის დასკვნა და ა.შ.) დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს პროცესის დანარჩენ მონაწილეებს. შესაბამისად, მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გაეცნოს ასეთ დოკუმენტაციას და გამოხატოს საკუთარი პოზიცია (*გთხოვთ იხილოთ მე-3 მუხლის კომენტარი*).

4. სასამართლო განხილვისაგან განსხვავებით საარბიტრაჟო განხილვა დახურულია და ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვაში მხოლოდ მხარეები მონაწილეობენ. ამ წესიდან არსებობს მხოლოდ ერთი გამონაკლისი — მხარეთა შეთანხმება. კანონი ამასთანავე ითვალისწინებს, რომ საარბიტრაჟო წარმოების მასალის (მტკიცებულების, ზეპირი ან წერილობითი განცხადების) გამოყენება დაუშვებელია სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციულ წარმოებაში, შესაბამისად ასეთი მასალები კონფიდენციალურია. ამასთანავე, არბიტრაჟში არათუ საქმის მასალებია კონფიდენციალური, არამედ თავად საქმის განხილვის ფაქტიც კი. სწორედ კონფიდენციალობის პრინციპიდან გამომდინარე, არბიტრაჟი არ ახდენს საჯარო შეტყობინებას ისეთ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება მხარისათვის საარბიტრაჟო გზავნილის ჩაბარება (*გთხოვთ იხილოთ. 27-ე მუხლის კომენტარი*).

5. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ეკისრებათ არა მარტო მხარეებს. ასეთი ვალდებულება არბიტრებსაც გააჩნიათ. საქართველოს არბიტრთა ასოციაციის ეთიკის კოდექსის თანახმად, არბიტრმა თვითაცილება უნდა განაცხადოს, როდესაც მოეთხოვება კონფიდენციალური და/ან სამართლებრივად დაცული ინფორმაციის გამჟღავნება და მას ამის თაობაზე არ გააჩნია ასეთი ინფორმაციის მფლობელის თანხმობა (საქართველოს არბიტრთა ეთიკის კოდექსის მეორე პრინციპი, პ.9).

მუხლი 33. მხარეთა გამოუცხადებლობა

თუ ერთ-ერთი მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ისევე როგორც შესაგებლის წარუდგენლობა არ გულისხმობს მოპასუხე მხარის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის ცნობას და არბიტრაჟი ვალდებულია საარბიტრაჟო სარჩელი განიხილოს არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, ერთ-ერთი მხარის საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობა არ განიხილება საარბიტრაჟო განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის შემაფერხებელ გარემოებად და არც სარჩელის ავტომატურ რეჟიმში დაკმაყოფილების საფუძველად. კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხის გამოუცხადებლობისას სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ საარბიტრაჟო განხილვაზე მოპასუხე მხარე არ გამოცხადდა. ამ წესიდან გამონაკლისია მხარეთა შეთანხმება, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს საარბიტრაჟო განხილვაზე გამოუცხადებლობისას საარბიტრაჟო განხილვის გადადების სავალდებულობას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა და საქმის განხილვის გაჭიანურებისაკენ მიმართული ქმედება შეიძლება საფუძველი გახდეს საარბიტრაჟო ხარჯების განაწილებისას, რა დროსაც საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია გაითვალისწინოს საქმის გაჭიანურებისაკენ მიმართული ქმედება და ამის შედეგად გამონეეული არასაჭირო ხარჯები.

მუხლი 34. ექსპერტის დანიშვნა და აცოილება

1. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არბიტრაჟს უფლება აქვს:
 - ა) დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ საკითხებზე დასკვნების წარმოდგენის მიზნით;
 - ბ) მოსთხოვოს მხარეებს წარუდგინონ ექსპერტს საქმესთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, გადასცენ ექსპერტს დათვალთქმებისათვის ან მისცენ შეს-

აძლებლობა, დაათვალიეროს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან სხვა ნივთი.

2. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ექსპერტის მიერ ზეპირი ან წერილობითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ არბიტრაჟი მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით სადავო საკითხებზე ჩვენებების მიცემის მიზნით მოიწვევს ექსპერტს საქმის ზეპირ განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. მხარეებს უფლება აქვთ დაუსვან შეკითხვები ექსპერტს და მოიწვიონ სხვა ექსპერტები სადავო საკითხებზე ჩვენებების მისაცემად.
3. ექსპერტის აცილება და თვითაცილება განხორციელდება არბიტრის აცილებისათვის ამ კანონით განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით.

1. მოცემული მუხლი პრაქტიკულად მთლიანად, მცირე გამონაკლისის გარდა, მიესადაგება UNCITRAL-ის მოდელური კანონის კონსტრუქციას და განსაზღვრებას ექსპერტიზის დანიშვნის საკითხებში და მიუთითებს, რომ მხარეთა შეთანხმების არარსებობისას არბიტრაჟს (ამ ტერმინის ქვეშ, ბუნებრივია, მოიაზრება საარბიტრაჟო ტრიბუნალი) უფლება აქვს დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ საკითხებზე დასკვნების წარმოდგენის მიზნით და მიიღოს ორგანიზაციული ზომები ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფისათვის - მოსთხოვოს მხარეებს, წარუდგინონ ექსპერტს აუცილებელი ინფორმაცია, გადასცენ ესა თუ ის საბუთი, ნივთი. ამდენად, მხარეთა შეთანხმების არარსებობისას, საარბიტრაჟო ტრიბუნალი ექსპერტ(ებ)ის დანიშვნის საკითხს წყვეტს საკუთრი შეხედულებით, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. საარბიტრაჟო დანესებულებების საარბიტრაჟო წესები, მითითებული სამართლებრივი ნორმის ფარგლებში, განსაზღვრავენ, რომ არბიტრაჟის ინიციატივით ექსპერტიზის დანიშვნა სწარმოებს მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ („დავების განმხილველი ცენტრი“-ს დებულება,

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესები და ა.შ.). ანალოგიურად, UNCITRAL-ის რეგლამენტის თანახმად (29-ე მუხლი), მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია დანიშნოს ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ექსპერტი საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ საკითხ(ებ)ზე წერილობითი მოხსენების წარმოსადგენად. კომენტირებული ნორმის თანახმად ექსპერტზე ასევე ვრცელდება კანონის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. საერთაშორისო არბიტრაჟების პრაქტიკაზე დაყრდნობით, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, ექსპერტს დასკვნის წარმოდგენა შეიძლება დაევალოს როგორც ფაქტობრივი გარემოების (მაგალითად, რაიმე სახის დანადგარის წარმადობის დადგენა), აგრეთვე სამართლებრივი საკითხების (გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა - „lex contractus“, „lex arbitri“) შესახებ. ამასთან სავალდებულოა, რომ ექსპერტის დანიშვნის შესახებ საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება მხარეებს უნდა ეცნობოთ, ისევე როგორც დასკვნა და მიეცეთ შესაძლებლობა წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები ასეთ დასკვნასთან დაკავშირებით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ UNCITRAL-ის რეგლამენტის თანახმად მხარეებს თავად აქვთ უფლება ტრიბუნალის მიერ დანიშნული ექსპერტის მოხსენების განხილვისას წარმოადგინონ მოწმე-ექსპერტი სადავო საკითხებზე ჩვენების მისაცემად, ოღონდ ასეთ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს მხარეთა წინასწარი ინფორმირებულობა აღნიშნულზე (*გთხოვთ იხილოთ მე-2 პუნქტის კომენტარი*). ამავე რეგლამენტის თანახმად, შესაძლებელია ექსპერტ(ებ)ის ვიდეოკავშირის მეშვეობით დაკითხვა.

2. ბუნებრივია, ექსპერტის დასკვნა არბიტრაჟის მიერ ეგზავნება პროცესის ყველა მხარეს საკუთარი მოსაზრებების და ტაქტიკის ჩამოსაყალიბებლად. ასეთი დასკვნის მიღების შემდეგ მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით,

სადავო საკითხზე **ჩვენების** მისაცემად არბიტრაჟი მოიწვევს ექსპერტს საქმის ზეპირ განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვაგვარი პროცედურა არ არის განსაზღვრული. ზეპირი განხილვისას მხარეებს უფლება აქვთ დაუსვან შეკითხვები ექსპერტს და მოიწვიონ სხვა ექსპერტები სადავო საკითხებზე **ჩვენებების** მისაცემად. აღსანიშნავია, რომ ექსპერტის ზეპირ განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მოწვევაზე მხარის შუამდგომლობის არარსებობისას, საარბიტრაჟო ტრიბუნალს ექსპერტის დაკითხვა შეუძლია დისტანციურადაც (ტექნიკური საშუალებების გამოყენებით). ამასთანავე აღსანიშნავია, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონმა, **UNCITRAL**-ის მოდელური კანონის მსგავსად, ექსპერტის სტატუსი მოწმის სტატუსს გაუთანაბრა. ამის ნათელი დასტურია მოცემულ მუხლში არსებული ჩანაწერი - „... სადავო საკითხებზე **ჩვენების** მიცემის მიზნით“. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, ექსპერტი იძლევა განმარტებას, ხოლო ამავე კოდექსის 145-ე და 148-ე მუხლების თანახმად, ჩვენებას იძლევა მოწმე. ასეთი წინააღმდეგობის არსებობისას, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მოქმედებს უფრო გვიან მიღებული კანონი, შესაბამისად, საარბიტრაჟო წარმოებაში ექსპერტის სტატუსი უნდა განისაზღვროს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ექსპერტის მიერ საარბიტრაჟო განხილვაზე გაცხადებული მოსაზრება შეფასებული უნდა იქნეს როგორც ექსპერტის **ჩვენება**. აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლის თანახმად, არბიტრაჟს ასევე **ჩვენება** უნდა მისცენ მხარეების მიერ მოწვეულმა ექსპერტებმაც. აღსანიშნავია, რომ **UNCITRAL**-ის მოდელური კანონის თანახმად, ასეთ პირებს (მხარეთა მიერ მოწვეულ ექსპერტებს) „მოწმე-ექსპერტი“ ეწოდებათ. ანალოგიური განსაზღვრებაა მოცემული **UNCITRAL**-ის რეგლამენტშიც და ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის 2010 წლის წესებშიც „საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულებების მოპოვების შესახებ“, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს

პროცედურულ საკითხებს. როგორც არბიტრაჟის, აგრეთვე მხარის მიერ დანიშნული ექსპერტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, აგრეთვე იურიდიული პირი. მითითებული დოკუმენტის თანახმად, როდესაც საქმეზე რამდენიმე საექსპერტო დასკვნაა, არბიტრაჟს შეუძლია მიიღოს განკარგულება, რომ ექსპერტები შეხვდნენ ერთმანეთს და ერთობლივი დასკვნის წარმოსადგენად შეაჯერონ პოზიციები. ასევე ამავე წესების თანახმად, თუ მხარის მიერ დანიშნული ექსპერტი **ჩვენების** მისაცემად არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ზეპირ მოსმენაზე, არბიტრაჟი მხედველობაში არ იღებს მის მიერ შესრულებულ დასკვნას და შესაბამისად მიჩნეული იქნება, რომ მხარემ ვერ უზრუნველყო მტკიცებულების წარმოდგენა იმ ფაქტების დადგენის მიზნით, რომლის დამტკიცებაც წარმოადგენდა მის საპროცესო ვალდებულებას. ექსპერტ(ებ)ის დაკითხვის უფლებამოსილებას ასევე ითვალისწინებს „საერთაშორისო არბიტრაჟში პროცესის ეფექტური ორგანიზების წესები“-ც („პრალის წესები“, მიღებულია 2019 წელს).

3. ექსპერტის აცილების და თვითაცილების საკითხები მოცემული კანონის შესაბამისად განისაზღვრება არბიტრის აცილებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად (*გთხოვთ იხილოთ მე-12 — მე-13 მუხლების კომენტარები*).

მუხლი 35. მტკიცებულება, სასამართლოს დახმარება მტკიცებულებაში მოაოვივაში

1. არბიტრაჟის უფლებამოსილებას განეკუთვნება ნებისმიერი მტკიცებულების დასაშვებობის შემოწმება და მტკიცებულებათა შეფასება.
2. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არბიტრაჟი უფლებამოსილია:
 - ა) საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარუდგინოს მეორე მხარეს საქმესთან და-

კავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება;

- ბ) გამოიძახოს ნებისმიერი მხარის მონმე ან, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს მისი დაკითხვა საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე და გამოიყენოს მონმის ჩვენება განხილვის დროს;
 - გ) საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება.
3. არბიტრაჟს ან მხარეს არბიტრაჟის თანხმობით შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. აღნიშნული მტკიცებულებანი უნდა წარედგინოს მხარეს (მხარეებს) ან არბიტრაჟს განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. არბიტრაჟი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მონმის დასწრების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს მიერ გამოძახებული მონმის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

1. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად საარბიტრაჟო წარმოების მხარეებს საკუთარი პოზიციის გამოსახატად თანაბარი უფლებები გააჩნიათ. მხარეთა აღნიშნული უფლება ბუნებრივია, შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა იყოს განმტკიცებული. ასეთი მტკიცებულებების არბიტრაჟში წარდგენისას საარბიტრაჟო ტრიბუნალი უპირველესად მათ დასაშვებობას ამონმებს და ამ მტკიცებულებების დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში ახდენს მათ შეფასებას. ჩვეულებრივ მტკიცებულებას არბიტრაჟში თავდაპირველად წარადგენს საარბიტრაჟო მოსარჩელე, რომელიც კონკრეტულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ამტკიცებს ამა თუ იმ ფაქტობრივ გარემოებას. აღნიშნულის შემდეგ, საარბიტრაჟო მოპასუხეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრული უფლება გააჩნია შესაგებელთან ერთად წარადგინოს საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულება. კან-

ონის მე-2 მუხლის თანახმად, მხარეთა შეთანხმება კონკრეტულ საარბიტრაჟო დანესებულებაზე მოიცავს შეთანხმებას ამავე საარბიტრაჟო დანესებულების წესებზე. ამდენად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მტკიცებულებათა დასაშვებობა განისაზღვრება მხარეთა მიერ შეთანხმებული საარბიტრაჟო წარმოების წესების (დებულების) შესაბამისად. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებული პროცედურული ბრძანებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შეიძლება არ სცნოს დასაშვებად მხარის მიერ დაგვიანებით წარდგენილი მტკიცებულება, თუ ვადის გაშვებას არასაპატიოდ მიიჩნევს. შესაბამისად, კონკრეტული მტკიცებულების წარმდგენმა მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ მტკიცებულების წარუდგენლობა გამონვეული იყო პატივსაღები მიზეზით. საყურადღებო კომენტარს აკეთებს UNCITRAL-ის რეგლამენტთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ თუ დოკუმენტური მტკიცებულება მოცულობითია, ასეთი მტკიცებულების წარმოჩენა შესაძლებელია განხორციელდეს კომპეტენტური პირის მოხსენების სახით და ასეთი მოხსენება შეიძლება გადმოცემული იქნეს რეზიუმეს, დიაგრამის, ცხრილის ან ამონარიდების სახით. შესაბამისად, სარწმუნოდ უნდა იქნეს დასაბუთებული ასეთი მოხსენების შედგენის მეთოდოლოგია. ამავე კომენტარის თანახმად, მტკიცებულების სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს ვიდეოჩანაწერი ან მონაცემების ფუნქციონირების დაკვირვების შედეგები. თუ მხარე გარკვეული გარემოების დამტკიცებას აპირებს ნივთიერი მტკიცებულების წარდგენის გზით, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა აღნიშნული უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პროცედურული გრაფიკით — განსაზღვროს ასეთი მტკიცებულების წარმოდგენის ვადა და მიიღოს ზომები ამ მტკიცებულების შენახვის უზრუნველსაყოფად. თუ ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერება მხოლოდ მის ადგილსამყოფელზეა შესაძლებელი, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ასევე პროცედურული განრიგით უნდა განსაზღვროს აღნიშნულის განხორციელება ყველა მონაწილე მხარის ინფორმირების შემდეგ და პროცესის მონაწილეებს უნდა

მიეცეთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ დათვალეობაში.

2. ანალოგიურად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში მტკიცებულებათა წარმოდგენა, მეორე მხარისაგან გამოთხოვა, მოწმეთა დაკითხვა, განისაზღვრება მხარეთა მიერ შეთანხმებული საარბიტრაჟო დანესებულების საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, ხოლო *ad hoc* არბიტრაჟის შემთხვევაში, კომენტირებული ნორმის შესაბამისად. ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში, საარბიტრაჟო წესებში კონკრეტული პროცედურის გაუთვალისწინებლობისას, ისევე როგორც *ad hoc* არბიტრაჟის შემთხვევაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალი თავად საზღვრავს ასეთ საკითხებს პროცედურული სხდომის მოწვევის გზით, ხოლო პროცედურული ზომების დადგენამდე ტრიბუნალი უფლებამოსილია მხარეებთან გამართოს კონსულტაციები, შემდეგ კი მოამზადოს საარბიტრაჟო განხილვის პროცედურული გრაფიკი და მიიღოს დადგენილება პროცედურული ზომებისა და პროცედურული განრიგის შესახებ, მათ შორის მოსთხოვოს მხარეს, წარუდგინოს მეორე მხარეს ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება. მართალია კანონი პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ იგულისხმება, რომ ასეთი საბუთი/ნივთმტკიცება უშუალო კავშირში უნდა იყოს განსახილველ საქმესთან. საარბიტრაჟო ტრიბუნალი ასევე უფლებამოსილია გამოიძახოს ნებისმიერი მხარის მოწმე ან მოითხოვოს მისი დაკითხვა საარბიტრაჟო განხილვის დანებამდე და გამოიყენოს მისი ჩვენება საქმის განხილვის დროს (შეაფასოს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებთან ერთობლიობაში). აღსანიშნავია, რომ UNCITRAL-ის რეგლამენტი ითვალისწინებს მოწმის ჩვენების წერილობითი ფორმით წარმოდგენის შესაძლებლობასაც, ოღონდ მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში ასეთი მოწმის დაკითხვას ზეპირი მოსმენის პროცესში. კანონი არ განსაზღვრავს და საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მის მიერ შედგენილ პროცედურულ განრიგში თავად უნდა განსაზღვ-

როს მონმეტა დაკითხვის პროცედურა. ბუნებრივია, როგორც სასამართლო, ასევე საარბიტრაჟო პრაქტიკის მიხედვით, თავდაპირველად დაკითხება მოსარჩელე მხრის მონმე. ამასთანავე, საქმის განხილვისას შეიძლება წამოიჭრას დამატებითი ზომების მიღების საკითხი, რაც უნდა გადანყდეს მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ და ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი დამტკიცებულ პროცედურულ განრიგში.

3. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს მტკიცებულებათა მოპოვებაში საერთო სასამართლოს დახმარების შესაძლებლობას. კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ასეთი უფლება გააჩნია არბიტრაჟსაც — საარბიტრაჟო ტრიბუნალს და მისი თანხმობით უშუალოდ მხარესაც. საარბიტრაჟო ტრიბუნალის თანხმობის აუცილებლობა მხარის ინიცირების შემთხვევაში იმ დატვირთვის ატარებს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა წინასწარ განჭვრიტოს, გააჩნია თუ არა მხარის მიერ მოთხოვნილ მტკიცებულებას კავშირი განსახილველ საქმესთან და არ მოხდეს არასაჭირო მტკიცებულების გამოთხოვა. თუ მითითებული სამართლებრივი ნორმა მხარეს, საარბიტრაჟო ტრიბუნალის თანხმობით უფლებას აძლევს მოსთხოვოს სასამართლოს მტკიცებულების მოპოვებაში დახმარებისათვის, ასეთი უფლება მხარეს მონმის დასწრების დახმარების აღმოჩენის საკითხში არ გააჩნია. მოცემულ საკითხის ინიცირების უფლება კანონმა მხოლოდ საარბიტრაჟო ტრიბუნალს მიანიჭა. საარბიტრაჟო ტრიბუნალის და მხარის აღნიშნული უფლებები შესაბამისად ასახულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹19 მუხლში. მითითებული მუხლის თანახმად, მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მიზნით მიმართვის შემთხვევაში გამოიყენება კოდექსის XIV თავით დადგენილი წესები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე — 119-ე მუხლები), ხოლო მონმის დასწრების უზრუნველყოფის საკითხის განხილვისას გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლით დადგენილი წესები.

თავი №6
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა და
საქმის განხილვის შეწყვეტა

მუხლი 36. სამართლის ნორმათა გამოყენება
საარბიტრაჟო განხილვისას

1. არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს მხარეთა მიერ არჩეული სამართლის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც დავის არსებით ნაწილზე ვრცელდება.
 2. მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვისას გამოიყენება არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული სამართლის ნორმები.
 3. ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს.
 4. არბიტრაჟი გადაწყვეტილების გამოტანისას ითვალისწინებს ხელშეკრულების პირობებს და იმ სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს, რომლებიც ასეთი ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება.
1. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არბიტრაჟი (მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ან/და სასამართლოს მიერ დანიშნული საარბიტრაჟო ტრიბუნალი) დავას წყვეტს მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ნორმების შესაბამისად. ცხადია, აღნიშნული საკითხი უაღრესად აქტუალურია იმ ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომელშიც ერთ-ერთი მხარე უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირია. (თუ საარბიტრაჟო პროცესის მონაწილეები საქართველოს რეზიდენტები არიან, ცხადია, გამოსაყენებელი სამართალი საქართველოს კანონმდებლობა იქნება). საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ როგორც

ძირითადი ხელშეკრულების, ასევე საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის ნორმების შესახებ. ასეთი შეთანხმება ასახული უნდა იყოს მხარეთა ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო შეთანხმებასთან დაკავშირებით გამოსაყენებელი სამართლის საკითხზე ასეთი მითითების არარსებობისას, მხარეთა მიერ არჩეული სამართალი მხოლოდ ძირითადი ხელშეკრულების მიმართ ვრცელდება. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ, ხელშეკრულებათა განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კი, „არჩეული ქვეყნის სამართალი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართლით ხელშეკრულების დადების შემდეგაც“. ანალოგიურად, „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელური კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საარბიტრაჟო ტრიბუნალი დავას გადაწყვეტს მხარეთა მიერ დავის შინაარსობრივი ნაწილის მოსაწესრიგებლად არჩეული სამართლის ნორმების შესაბამისად“. „სახელშეკრულებო ვალდებულებებისადმი გამოსაყენებადი სამართლის შესახებ“ რომის 1980 წლის კონვენციის თანახმად, ხელშეკრულებების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს მხარეთა მიერ შერჩეული სამართალი. შესაბამისად, მითითებული სამართლებრივი აქტებით აღიარებულია მხარეთა ნების ავტონომიის საფუძველზე გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის შესაძლებლობა, მათ შორის მხარეებს კომბინირებულადაც შეუძლიათ დაადგინონ გამოსაყენებელი სამართალი. საინტერესო მაგალითი აქვს მოყვანილი ალექსანდრე იოსელიანს თავის სადისერტაციო ნაშრომში: ირლანდიურ კომპანიას და ს.ს. „რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს“

მათ შორის დადებულ თანამშრომლობის ხელშეკრულებაში მითითებული აქვთ, რომ ხელშეკრულება წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობა თვალნათლივ და დაზუსტებით არ განსაზღვრავს დავის საკითხს, მაშინ ამ ხელშეკრულების განმარტება განხორციელდება შვეციის კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, მხარეებმა ორი სამართლებრივი სისტემა აირჩიეს და განსაზღვრეს, რომ შვედური კანონმდებლობა ე.წ. „სარეზერვო“ ხასიათს ატარებდა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, „სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს“. შესაბამისად, თუ ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული სამართლის მიხედვით იმპერატიულად არის დადგენილი რაიმე სახის აკრძალვა, ის გავრცელდება მხარეთა მიერ არჩეული სამართლის გამოყენების შემთხვევაშიც. საკითხის ასეთი გადწყვეტა სრულ შესაბამისობაშია რომი I რეგლამენტის მე-3 მუხლთან. მაგალითად: თუ მხარეებს, უცხო ქვეყნის კომპანიას და საქართველოს საზღვაო გადამზიდავს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული აქვთ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენება, რომელიც უშვებს გადამზიდავის პასუხისმგებლობის შეზღუდვას და დავის განხილვის ადგილი იქნება საქართველო, საარბიტრაჟო განხილვის შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალი შებოჭილი იქნება სამოქალაქო კოდექსის 669-ე მუხლის მე-3 ნაწილით და ამავე კოდექსის 54-ე მუხლით, ასევე საზღვაო კოდექსის 24-ე, 26-ე, 114-ე, 156-ე, 157-ე, 159-ე, 161-ე, 366-ე მუხლებით და „ტვირთის საზღვაო გადაზიდვების შესახებ“ გაეროს კონვენციის 31-ე მუხლით, „კონოსამენტის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ“ 1924 წლის საერთაშორისო კონვენციის კონვენციის მოთხოვნებით („ჰააგა-ვიზ ბის წესები). აღნიშნული სამართლებრივი ნორმები არ უშვებს გადამზიდავის პასუხისმგებლობის შეზღუდვას, შესაბამისად ნათელია,

რომ სხვა ქვეყნის სამართლებრივი ნორმების გამოყენების თაობაზე მხარეთა შეთანხმების არსებობის პირობებშიც კი შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების გაუთვალისწინებლობაც. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, „საქართველოში უცხო ქვეყნის სამართლებრივი ნორმები არ გამოიყენება, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს“.

2. კვალიფიციურად შედგენილ ხელშეკრულებაში გამოსაყენებელი სამართალი მხარეთა ნების ავტონომიის შესაბამისად უნდა იყოს ასახული, მაგრამ არც თუ იშვიათად, მხარეები ხელშეკრულებაში არ უთითებენ დავის წარმოშობის შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ. ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადასაწყვეტია რომელი სამართლებრივი ნორმები უნდა მიესადაგოს განსახილველ დავას. „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელური კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მხარეთა მიერ სამართლის ნორმაზე რაიმე მითითების არარსებობის შემთხვევაში, საკოლიზიო ნორმების შესაბამისად გამოყენებული უნდა იქნეს ის სამართალი, რომელსაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი ჩათვლის ყველაზე ხელსაყრელად კონკრეტულ დავასთან მიმართებაში. საარბიტრაჟო ტრიბუნალის აღნიშნული უფლებამოსილება კომენტირებული ნორმითაცაა განსაზღვრული. შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ტრანზაქციის სახის და დავის შინაარსიდან გამომდინარე, „სახელშეკრულებო ვალდებულებებისადმი გამოსაყენებადი სამართლის შესახებ“ ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2008 წლის 17 ივნისის რეგლამენტის, ასევე „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ“ გაეროს 1980 წლის ვენის კონვენციის თანახმად შესაძლებელია გამოიყენოს ხელშეკრულების დადების ან შესრულების ადგილის სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შექმნილი ტიპური სახელშეკრულებო ფორმები, მაგალითად კერძო სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT)

მიერ შემუშავებული საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების პრინციპები, საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვის ინტერესების და სავაჭრო ჩვეულებების (*Lex mercatoria*) გათვალისწინებით და სხვა. არსებობს აგრეთვე საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული **INCOTERMS (International Commercial Terms)** წესები — საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში საყოველთაოდ მიღებული ტერმინებით მოცული მნიშვნელობების განმარტებები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ დასახელების ტერმინით მოცული სამართალურთიერთობის შინაარსს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში საქონლის გადაზიდვისას, დაზღვევის, საბაჟო მოსაკრებლების განაწილების და სხვა საკითხებზე. ამ თემატიკაზე მუშაობა მუდმივი განახლების რეჟიმშია და ბოლო ვერსიაა **INCOTERMS 2020**, რომელიც აერთიანებს შემდეგ ტერმინებს: **EXW (Ex Works – ფრანკო-ქარხანა)**, **FCA (Free Carrier – ფრანკო-გადამზიდველი)**, **CPT (Carrige Paidio – გადაზიდვის საფასური გადახდილია . . . მდე)**, **CIP (Carrige Insurance Paidio – გადაზიდვის და დაზღვევის საფასური გადახდილია . . . მდე)**, **DAT (Delivere at Terminal – მიწოდება ტერმინალში)**, **DAP (Delivere at Place – მიწოდება დანიშნულების ადგილზე)**, **DDP (Delivered Duty Paid – მიწოდება საბაჟო მოსაკრებლების გადახდით)**, **FAC (Free Alongside Ship – მიწოდება გემის ბორტამდე)**, **FOB (Free on Board – მიწოდება გემის ბორტზე)**, **CFR (Cost and Freight – საფასური და ფრახტი)**, **CIF (Cost, Insurance and Freight – საფასური, დაზღვევა და ფრახტი)**. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს. ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც მხარეს, რომელსაც დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შეესრულებინა, ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია“. ამავე

მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი, „ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებისას ივარაუდება, რომ იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც ხელშეკრულების დადებისას გადამზიდველს აქვს ადმინისტრაციის ძირითადი ადგილსამყოფელი, თუ ამავე ქვეყანაშია დატვირთვის, გადმოტვირთვის ან გამგზავნის ადგილსამყოფელი. სხვა შემთხვევაში მოქმედებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობები“.

3. მხარეთა ხელშეკრულებაში/კონტრაქტში არსებული მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე გულისხმობს იმ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო ან კოლიზიურ ნორმებს. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული კანონი საქართველოში ფუნქციონირებადი არბიტრაჟის საქმიანობას არეგულირებს, ცხადია, რომ თუ საქართველოს არბიტრაჟი საერთაშორისო დავის განხილვისას გამოსაყენებელ სამართლად მიიჩნევა ინგლისის სამართალს, ეს ნიშნავს ინგლისის მატერიალური და არა საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენებას. ასეთი საქმის განხილვისას გამოსაყენებელი საპროცესო ნორმაა მოცემული კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმებთან ერთად.

4. გამოსაყენებელ სამართალზე მხარეთა შეთანხმების პირობებშიც კი, გადანყვეტილების გამოტანისას საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს ის სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები, რომლებიც ასეთი ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება. აღნიშნული სრულად მიესადაგება როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 339-ე მუხლის დანაწესს, ასევე მოდელური კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტს, რომლის მიხედვით, „*ნებისმიერ შემთხვევაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალი გადანყვეტილების გამოტანისას ითვალისწინებს ხელშეკრულების პირობებს და იმ სავაჭრო ჩვეულებებს, რომლების მოცემული გარიგების მიმართ გამოიყენება*“.

**მუხლი 37. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა
საქმის რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარი
არბიტრაჟის მიერ განხილვისას**

1. რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს გადაწყვეტილება გამოაქვს არბიტრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
2. არბიტრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
3. გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები შეიძლება გადაწყვიტოს არბიტრაჟის თავმჯდომარემ თუ მას შესაბამისი უფლებამოსილება მინიჭებული იქნება მხარეების ან ყველა არბიტრის მიერ.

1. საქმის განხილვის ფინალური ეტაპი საბოლოო და აღსრულებადი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანაა. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას, რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს (ტერმინი მოცემულია საარბიტრაჟო ტრიბუნალის მნიშვნელობით) გადაწყვეტილება გამოაქვს არბიტრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. თუ მხარეები შეთანხმებულები არიან მათი დავის კონკრეტული საარბიტრაჟო დანესებულების საარბიტრაჟო წესების (დებულება) მიხედვით განხილვაზე, მაშინ გადაწყვეტილების გამოტანა სწორედ მითითებული წესების შესაბამისად იქნება განხორციელებული. მაგალითად, საარბიტრაჟო დანესებულების, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრის“ დებულების 34-ე მუხლის 34.1 პუნქტის შესაბამისად ტრიბუნალის წევრების ხმათა უმრავლესობის არარსებობისას, გადამწყვეტია ტრიბუნალის თავმჯდომარის ხმა. იშვიათად, მაგრამ შესაძლებელია, რომ 3 წევრისაგან შემდგარი ტრიბუნალის სამივე წევრს განსხვავებული პოზიცია გააჩნდეს და ტრიბუნალის თავმჯდომარის აზრი არ ემთხვევოდეს არც ერთი წევრის აზრს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ხმათა უმრავლესობა ვერ იქნება მიღწეული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ვერ

მიიღო გადაწყვეტილება. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, გადამწყვეტია ის პოზიცია, რომელიც ტრიბუნალის თავმჯდომარეს გააჩნია. საკითხის ასეთი გადაწყვეტა სრულად შეესაბამება მრავალი საერთაშორისო არბიტრაჟის დებულებით განსაზღვრულ წესს. მაგალითად, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (*LCIA Court*) საარბიტრაჟო რეგლამენტის 26-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრების ხმათა უმრავლესობის არარსებობისას გადაწყვეტილება გამოაქვს ტრიბუნალის თავმჯდომარეს. ანალოგიურად, არბიტრთა ხმების უმრავლესობის არარსებობისას სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (*SIAC*) დებულების 28-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარეს გამოაქვს ერთპიროვნულად. საქართველოს სინამდვილეში მსგავსი შემთხვევა ჯერ არ დაფიქსირებულა, თუმცა გამორიცხული არ არის და, როგორც აღინიშნა, ასეთი შემთხვევის არსებობა არ მიანიშნებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების არარსებობაზე.

2. კანონმა იმპერატიულად დაადგინა, რომ ტრიბუნალის წევრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. ამასთანავე გაიგივებული არ უნდა იქნეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრთა შორის სადავო საკითხის გადაწყვეტისას ტრიბუნალის წევრთა პოზიციის შეჯერებისას საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისათვის ხმის მიცემა და ასეთ გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერა. კანონი მართალია არაფერს მიუთითებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე არბიტრის ხელმოწერის არსებობის სავალდებულობაზე, მაგრამ საარბიტრაჟო დანესებულებების, მათ შორის უცხო ქვეყნის, საარბიტრაჟო წესების მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე ერთ-ერთი არბიტრის ხელმოწერის არარსებობის მიზეზი მითითებული უნდა იქნეს ამავე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე. მაგალითად, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (*GIAC*) საარბიტრაჟო წესების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი ერთზე მეტი წევრისაგან შედგება და რომელიმე მათგანი არ მოაწერს ხელს საარბიტრა-

ყო გადაწყვეტილებას, გადაწყვეტილებაში ახსნილი უნდა იყოს ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი“. ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA Court) საარბიტრაჟო რეგლამენტის 26-ე მუხლის თანახმად, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელს არ აწერს ტრიბუნალის ერთ-ერთი წევრი, გადაწყვეტილება ხელმოწერილი უნდა იქნეს დანარჩენი არბიტრების მიერ. ანალოგიურად, სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (SIAC) დებულების 28-ე მუხლის თანახმად (28.4 პუნქტი), გადაწყვეტილება ხელმოწერილი იქნება დანარჩენი არბიტრების მიერ. შესაბამისად, შესაძლებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გარკვეული გარემოებების გამო არ იყოს ხელმოწერილი ერთ-ერთი არბიტრის მიერ.

3. კანონი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული შესაძლო პროცედურული საკითხების (გადაწყვეტილების პროექტის, მისი ნაწილის, ხარჯების განაწილების გადაწყვეტის და ა.შ.) გადაწყვეტის უფლებამოსილებას ანიჭებს საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარეს (კომენტირებულ ნორმაში მითითებული ტერმინი „არბიტრაჟის თავმჯდომარე“ გულისხმობს ტრიბუნალის თავმჯდომარეს), თუ მას აღნიშნულზე მხარეების ან ტრიბუნალის დანარჩენი წევრებისაგან მინიჭებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება. ამ პირობის არარსებობისას ტრიბუნალის თავმჯდომარის მიერ მიღებული ერთპიროვნული გადაწყვეტილება ტრიბუნალის დანარჩენ წევრებს შეუძლიათ შეცვალონ ან გააუქმონ.

მუხლი 38. მხარეთა მორიგება

1. თუ საარბიტრაჟო განხილვისას მხარეები მორიგდნენ, არბიტრაჟი წყვეტს განხილვას. არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეთა თხოვნის საფუძველზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაამტკიცოს მხარეთა მორიგება შეთანხმებული პირობებით.

2. არბიტრაჟი ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ მხარეთა მიერ მორიგების თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.
 3. მორიგების შესახებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს ამ კანონის 39-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ასეთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც დავის არსებითად განხილვის შედეგად გამოტანილ ნებისმიერ სხვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.
1. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარეთა შორის მორიგების მიღწევისას, საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ მხარეთა თხოვნის საფუძველზე საარბიტრაჟო ტრიბუნალი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაამტკიცებს მხარეთა მორიგებას და შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას. მართალია საარბიტრაჟო ტრიბუნალი მხარეთა ნების გამოხატულებითაა შებოჭილი, მაგრამ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის საარბიტრაჟო შეთანხმების დამტკიცების შესახებ არ უნდა იყოს საჯარო წესრიგის სანინაალმდეგო, წინააღმდეგ შემთხვევაში დაექვემდებარება გაუქმებას, ან ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმას. შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ უნდა დაამტკიცოს ისეთი მორიგება, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგის მოთხოვნებს. თუ მხარეთა მორიგება შეიცავს ისეთ პირობებსაც, რაც არ არის კანონსაწინააღმდეგო, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ნაწილობრივ უნდა დაამტკიცოს მორიგების ასეთი პირობები და უარი თქვას ისეთი პირობე(ებ)ის დამტკიცებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.
2. კანონმა დაადგინა ვადა, რომლის განმავლობაშიც არბიტრაჟის მიერ გამოტანილი უნდა იქნეს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ — 30 დღე. ეს არის ზღვრული ვადა და, შესაბამისად, არბიტრაჟი უფლებამოსილია

საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს მხარეთა მორიგების მიღწევიდან ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღის ვადისა.

3. მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში, შესაბამის მხარეს აქვს უფლება მიმართოს სააპელაციო სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით. შესაბამისად, როგორც აღინიშნა, მორიგების პირობები არ უნდა არღვევდეს საჯარო წესრიგს, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილება არ იქნება მიქცეული აღსასრულებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ არბიტრაჟმა არ უნდა დაამტკიცოს ისეთი მორიგება ან მისი ნაწილი, თუ ასეთი მორიგება კანონსაწინააღმდეგოა ან/და ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

მუხლი 39. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 180 დღის ვადაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება გააგრძელოს არბიტრმა არა უმეტეს 180 დღით.
2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთათვის. იგი წერილობით უნდა იქნეს გამოტანილი. მას ხელი უნდა მოაწეროს (მოაწერონ) არბიტრმა (არბიტრებმა). საქმის რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის მიერ განხილვისას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრების უმრავლესობამ. თუ არბიტრი უარს აცხადებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერაზე ან/და განსხვავებული აზრი აქვს, უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილების გამომტანი არბიტრები, საარბიტრაჟო განს-

ილვის მხარეები, გადანყვეტილების გამოტანის თარიღი და ადგილი.

3. საარბიტრაჟო გადანყვეტილება უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ის მოტივები, რომელთა საფუძველზედაც არბიტრაჟმა გამოიტანა გადანყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები სამოტივაციო ნაწილის არარსებობაზე შეთანხმდნენ ან როდესაც საარბიტრაჟო გადანყვეტილება ამ კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად არის გამოტანილი.
4. საარბიტრაჟო გადანყვეტილების ხელმოწერილი ასლები უნდა გადაეცეთ მხარეებს.
5. საარბიტრაჟო გადანყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან, თუ მხარეთა მიერ ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

1. კომენტირებული ნორმა ეხება საბოლოო საარბიტრაჟო გადანყვეტილების (გადანყვეტილება, რომლითაც არსებითად, საბოლოოდ წყდება მხარეთა შორის არსებული სადავო საკითხი) გამოტანის ზღვრულ ვადას — საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 180 დღეს მხარეთა სხვაგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კანონი ნებას რთავს არბიტრს/საარბიტრაჟო ტრიბუნალს აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნული ვადა გააგრძელოს არაუმეტეს 180 დღით. ბუნებრივია, ასეთი გაგრძელება ობიექტური აუცილებლობით უნდა იყოს ნაკარნახევი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო არ არის გადანყვეტილების გამოტანა აუცილებლად 180-ე დღეს და რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია საბოლოო საარბიტრაჟო გადანყვეტილება გამოიტანოს უფრო ადრეც, ამ ვადის ფარგლებში, ნებისმიერ დროს. საარბიტრაჟო განხილვის ერთ-ერთი უპირატესობა საქმის განხილვის მოქნილი პროცედურები და განხილვის სისწრაფეა. საარბიტრაჟო რეგლამენტების/დებულებების პროცედურული

ნესები ადგენს, რომ: „ტრიბუნალმა უნდა უზრუნველყოს საარბიტრაჟო განხილვის სწრაფი და ნაკლები დანახარჯებით წარმართვა“ (საარბიტრაჟო დანესებულების, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრის“ დებულების მე-19 მუხლი); „საარბიტრაჟო ტრიბუნალი უზრუნველყოფს საარბიტრაჟო განხილვის სწრაფად და ეკონომიურად წარმართვას“ (საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების 21-ე მუხლი). აღნიშნულის განხორციელების მიზნით მითითებული დებულებები საარბიტრაჟო ტრიბუნალს უფლებას აძლევს საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღოს პროცედურული ზომები და გამოსცეს პროცედურული ბრძანებები, მხარეთა უშუალო მონაწილეობით მიიღოს დადგენილება საარბიტრაჟო განხილვის საკითხთა შესახებ და ასეთი ღონისძიებები საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო დანესებულების, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრის“ დებულებით გარკვეული კატეგორიის საქმეებზე (სარჩელის და შემხვედრი სარჩელით გათვალისწინებულ მოთხოვნათა ჯამი არ აღემატება 100 000 ლარს; დავა წარმოშობილია საკრედიტო ან/და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობიდან — გირაო, იპოთეკა, საბანკო გარანტია, მოვალის გარანტია და ა.შ.) გათვალისწინებულია დაჩქარებული წესით განხილვა და საარბიტრაჟო განხილვა უნდა დასრულდეს საარბიტრაჟო ტრიბუნალისათვის საქმის გადაცემიდან 90 დღის ვადაში. აღნიშნული სწორედ იმის გამოხატულებაა, რომ მხარეები საქმის განხილვის კანონისაგან განსხვავებულ ვადებზე შეთანხმდნენ.

2. არბიტრაჟის (საარბიტრაჟო ტრიბუნალის) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეებისათვის. გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოქმედებს მისი იძულებითი აღსრულების მექანიზმი (კანონის 44-ე მუხლი). მართალია მოცემული კანონის 37-ე მუხ-

ლის თანახმად არბიტრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან, მაგრამ ერთია გადანყვეტილების მიღებაში, ხმის მიცემაში მონაწილეობის მიღება, და, მეორე, მატერიალიზებული სახით ჩამოყალიბებულ გადანყვეტილებაზე ხელის მოწერა (გთხოვთ იხილოთ 37-ე მუხლის კომენტარი). კანონმა, საერთაშორისო ნორმებზე და პრეცედენტებზე დაყრდნობით, დაუშვა, რომ რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, შესაძლოა რომელიმე არბიტრმა არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადანყვეტილებას ხელი არ მოაწეროს. სწორედ ამიტომ, კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტში არსებობს დათქმა, რომ გადანყვეტილებაზე ხელის მოწერისაგან უარის თქმის ან/და განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში, უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი. რადგანაც კანონმდებელმა არ დააკონკრეტა თუ ვინ უნდა განახორციელოს ასეთი ჩანაწერი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩანაწერის ავტორის ვინაობა კანონმდებელმა ნაკლებმნიშვნელოვან გარემოებად მიიჩნია. შესაბამისად, ასეთი ჩანაწერი შესაძლებელია ეკუთვნოდეს ნებისმიერ არბიტრს, მათ შორის განსხვავებული მოსაზრების მქონე არბიტრს, რომელმაც უარი განაცხადა გადანყვეტილებაზე ხელის მოწერისაგან. გადანყვეტილებაში ყველა შემთხვევაში უნდა აღინიშნოს გადანყვეტილების გამომტანი არბიტრების, საარბიტრაჟო განხილვის მხარეების, გადანყვეტილების გამომტანის თარიღის და ადგილის შესახებ.

3. საარბიტრაჟო გადანყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს და, შესაბამისად, მითითებული უნდა იყოს ის მოტივები, რომელთა საფუძველზეც იქნა გამომტანილი ასეთი გადანყვეტილება. ევროსასამართლოს პრეცედენტული გადანყვეტილებების თანახმად, სახელმწიფო მართლმსაჯულებისათვის დამახასიათებელი, სამოქალაქო საქმეთა სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფის სტანდარტები, ვრცელდება დავების ალტერნატიული განხილვის მეთოდებზეც, კერძოდ სამედიატორო (საარბიტრაჟო) განხილვებზეც (ევროსასამართლოს 2010 წლის 28 ოქტომბრის

გადანყვეტილება №1643/06 საქმეზე ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ). ევროსასამართლოს 2009 წლის 26 მაისის დადგენილებაში №3932/02 საქმეზე „ბაცანინა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“ მითითებულია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროკონვენციით გარანტირებულია მხარის უფლება იყოს თანაბარ მდგომარეობაში მეორე მხარესთან მიმართებაში, ანალოგიურად 2005 წლის 15 თებერვლის №68416/01 დადგენილება „სტილ და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 2008 წლის 23 ოქტომბრის №13470/02 დადგენილება საქმეზე „ხუჟინი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალი უნდა უზრუნველყოფდეს მხარეთათვის პროცედურული სამართლიანობის განცდას და წაგებულ მხარეს უნდა ჰქონდეს მისი წარუმატებელი პროცესის ანალიზის შესაძლებლობა. ამ საერთო წესიდან შეიძლება დაშვებული იყოს გამონაკლისი, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან, რომ წერილობითი სახით ჩამოყალიბებული გადანყვეტილება არ შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს. ასეთი სახის შეთანხმება ძირითადად კომერციულ დავებზე (და არა სამომხმარებლო დავებზე) შეიძლება არსებობდეს და ამ შინაარსის შეთანხმება ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის გადანყვეტილების თანმდევი რისკია — ჩაიბაროს საბოლოო საარბიტრაჟო გადანყვეტილება სამართლებრივი დასაბუთების გარეშე. ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში მხარეს აღარ აქვს საფუძველი საჩივარში მიუთითოს გადანყვეტილებაში დასაბუთების არარსებობაზე და არც სააპელაციო სამართლოა უფლებამოსილი საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადანყვეტილების ნაკლად მიიჩნიოს მისი დაუსაბუთებლობა.

4. ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში, მხარეებისათვის საარბიტრაჟო გადანყვეტილების დამონმებული ასლების გადაცემას უზრუნველყოფს საარბიტრაჟო დანესებულების სამდიონო, ხოლო *ad hoc* არბიტრაჟის შემთხვევაში - თავად საარბიტრაჟო ტრიბუნალი.

5. კანონით განმტკიცებული საერთო პრინციპის თანახმად, არბიტრაჟის გადანყვეტილება საბოლოოა და ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან და გამოტანის თარიღი, როგორც აღინიშნა, სხვა საკითხებთან ერთად, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული საბოლოო საარბიტრაჟო გადანყვეტილებაში. გამონაკლისი ამ წესიდან მხარეთა შეთანხმებაა, რომლის თანახმადაც შესაძლებელია გადანყვეტილების ძალაში შესვლის განსხვავებული წესი იყოს ჩამოყალიბებული.

მუხლი 40. საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტა

1. საარბიტრაჟო განხილვა წყდება საარბიტრაჟო გადანყვეტილების ხელმოწერისა და მხარეთათვის გადაცემის შემდეგ ან ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არბიტრაჟის დადგენილების საფუძველზე.
2. არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევებში:
 - ა) თუ საარბიტრაჟო მოსარჩელე უარს აცხადებს საარბიტრაჟო სარჩელზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხე წინააღმდეგია საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტისა და არბიტრაჟი მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო მოპასუხეს აქვს საარბიტრაჟო დავის გადანყვეტის კანონიერი ინტერესი;
 - ბ) თუ მხარეები შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტაზე;
 - გ) თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელება რაიმე სხვა მიზეზით არ არის აუცილებელი ან შეუძლებელია.

1. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონმა საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტა დაუკავშირა ორ მოვლენას: ა. საარბიტრაჟო განხ-

ილვის დასრულების შედეგად საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე ხელმოწერასა და ასეთი გადაწყვეტილების მხარეებისათვის გადაცემას და **ბ.** საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ არბიტრაჟის დადგენილების მიღებას. კანონი საარბიტრაჟო განხილვის დასრულებიდან საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემამდე კონკრეტულ პროცედურებს არ ადგენს, მაგრამ ასეთი პროცედურა გათვალისწინებულია საარბიტრაჟო დანესებულებების დებულებებით. ასე მაგალითად, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების 39-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ხელმოწერამდე საარბიტრაჟო ტრიბუნალი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების პროექტს წარუდგენს საარბიტრაჟო საბჭოს, რომელიც ამავე საარბიტრაჟო წესების მე-3 მუხლის თანახმად წარმოადგენს საარბიტრაჟო ცენტრის წესდებით განსაზღვრულ ორგანოს. ეს უკანასკნელი მოვალეა, ტრიბუნალის გადაწყვეტილების თავისუფლების პრინციპში ჩაურევლად, ტრიბუნალის ყურადღება გაამახვილოს გადაწყვეტილების არსებით ნაწილში აღმოჩენილ ხარვეზებზე ან/და შეცდომებზე (აღნიშნულ პროცედურად გადაწყვეტილების ფორმალური შემოწმება ეწოდება). ასეთი შემოწმების დასრულებამდე ტრიბუნალს არა აქვს უფლება საარბიტრაჟო გადაწყვეტილება წარუდგინოს საარბიტრაჟო ცენტრის სამდივნოს. ანალოგიური წესებია გათვალისწინებული საარბიტრაჟო დანესებულების, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრის“ (DRC) დებულებაშიც. დებულების 39-ე მუხლის 39.1 პუნქტის თანახმად, „ტრიბუნალი ვალდებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების პროექტი, მასზე ხელმოწერამდე, გადასცეს DRC-ის სასამართლოს“ (დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ორგანო, რომელიც ადმინისტრირებას უწევს ტრიბუნალის მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს და სხვა საკითხებთან ერთად, ახორციელებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმალურ შემოწმებას და გადაწყვეტილების დადასტურებას). DRC-ის სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილების ფორმის

დაცვას, ის უფლებამოსილია ტრიბუნალს ყურადღება გაამახვილებინოს გადაწყვეტილების არსებით ნაწილში აღმოჩენილ ფორმალური ხასიათის ხარვეზებზე ან/და შეცდომებზე, შეამოწმოს დაცულია თუ არა პროცედურული ბრძანების, საარბიტრაჟო განხილვის საკითხთა შესახებ დადგენილების ყველა პუნქტების მოთხოვნები და მხოლოდ ასეთი შემთხვევების და გადაწყვეტილების დადასტურების შემდეგ ენიჭება უფლება საარბიტრაჟო ტრიბუნალს ხელი მოაწეროს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და გადასცეს საარბიტრაჟო დანესებულების სამდივნოს, რომელიც მყისიერად უგზავნის გადაწყვეტილებას მხარეებს (*ad hoc* არბიტრაჟის შემთხვევაში ცხადია ასეთი პროცედურა არ ხორციელდება). ანალოგიური პროცედურებია დადგენილი საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო რეგლამენტით (33-ე მუხლი), სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის დებულებით (28-ე მუხლის 28.2 პუნქტით), რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს რეგლამენტით (42-ე პარაგრაფის პირველი პუნქტი). ასეთი შიდა რეგულაციები ემსახურება ერთდერთ მიზანს — არ იქნეს დაშვებული უზუსტობები ან/და პროცედურული ხასიათის დარღვევები, რაც მხოლოდ დადებით ფაქტორად უნდა ჩაითვალოს და საარბიტრაჟო განხილვის ერთ-ერთ უპირატესობაზე მიუთითებს.

2. საარბიტრაჟო განხილვა შეწყდება და პროცესუალური აქტი გამოიცემა დადგენილების სახით იმ შემთხვევაში თუ: **ა.** საარბიტრაჟო მოსარჩელე უარს განაცხადებს საარბიტრაჟო სარჩელზე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხე მოითხოვს საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელებას. ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელების გადაწყვეტაში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის საარბიტრაჟო ტრიბუნალს, რომელსაც უფლება აქვს გაიზიაროს საარბიტრაჟო მოპასუხის მოსაზრება დავის გადაწყვეტისადმი მისი კანონიერი ინტერესის არსებობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში განხილვა უნდა შეწყდეს); **ბ.** მხარეები შეთანხმდებიან

საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტაზე და გ. არბიტრაჟი (საარბიტრაჟო ტრიბუნალი) დაადგენს, რომ საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელება არ არის აუცილებელი ან შეუძლებელია.

მუხლი 41. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება და განმარტება, დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

1. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თითოეულ მხარეს მეორე მხარისათვის შეტყობინების შემდეგ უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში:
 - ა) მოსთხოვოს არბიტრაჟს, გაასწოროს შეცდომა, რომელიც დაშვებული იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებებში, აგრეთვე მისი წერიით, ბეჭდური და სხვა ამგვარი შეცდომები;
 - ბ) მხარეთა შეთანხმების არსებობისას მოსთხოვოს არბიტრაჟს, მისცეს განმარტება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რომელიმე კონკრეტულ საკითხთან ან ამ გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილთან დაკავშირებით.
2. არბიტრაჟმა, თუ იგი მოთხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს, მისი მიღებიდან 30 დღის ვადაში უნდა შეიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში შესაბამისი შესწორება ან უნდა მისცეს შესაბამისი განმარტება. ასეთი განმარტება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილია.
3. არბიტრაჟი უფლებამოსილია, გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში თავისი ინიციატივით გაასწოროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული შეცდომა.
4. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული

ლი, თითოეულ მხარეს მეორე მხარისათვის შეტყობინების შემდეგ უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში მოსთხოვოს არბიტრაჟს გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც გაცხადებული იყო საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მაგრამ არ იქნა ასახული გადაწყვეტილებაში. არბიტრაჟმა, თუ იგი ამ მოთხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს, მისი მიღებიდან 60 დღის ვადაში უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება.

5. არბიტრაჟს, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია არა უმეტეს 30 დღით გააგრძელოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა გაასწოროს შეცდომა, უნდა მისცეს განმარტება ან უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება ამ მუხლის შესაბამისად. თუ მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, უკვე გამოტანილი გადაწყვეტილება ძალაში რჩება შესწორების შეტანის, განმარტების მიცემის ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის განმავლობაში.

1. მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო დანესებულებების საარბიტრაჟო წესები ითვალისწინებენ გადაწყვეტილების ფორმალურ შემოწმებას (*გთხოვთ იხილოთ მე-40 მუხლის პირველი პუნქტის კომენტარი*), არ არის გამორიცხული, რომ დაშვებული იქნეს შეცდომა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში არსებულ გაანგარიშებაში ან არსებობდეს წერიტი, ბეჭდური და არაარსებითი ხასიათის შეცდომა. შესაძლებელია აგრეთვე, რომ გადაწყვეტილება არ იყოს ჩამოყალიბებული ნათლად და მოითხოვდეს შესაბამის განმარტებას. ასეთი განცხადების წარდგენის და განხილვის პროცედურა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმების პირობებზე. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას არბიტრაჟისათვის (*კომენტირებული მუხლის ყველა პუნქტში სიტყვა „არბიტრაჟი“ მოიაზრებს საარბიტრაჟო ტრიბუნალს*) მიმართვამდე დაინტერესებულმა მხარემ არბიტრაჟს შეიძლება მიმართოს მხოლოდ მეორე მხარის ინ-

ფორმირების შემდეგ, ამასთან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში. რაც შეეხება გადაწყვეტილების განმარტების საკითხს, მხარეთა შეთანხმების არსებობისას დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია მოსთხოვოს არბიტრაჟს მისცეს განმარტება რომელიმე კონკრეტულ საკითხთან ან გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილთან დაკავშირებით. ამდენად, განმარტების მოთხოვნის უფლება მხარეს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებაში. სხვა შემთხვევაში მხარეს ასეთი უფლება არ გააჩნია. აღსანიშნავია, რომ კანონის ნინამდებარე მუხლის დანაწესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *ad hoc* არბიტრაჟებისთვის, რომელსაც არც თავისი დებულება გააჩნია და შესაბამისად, არც ფორმალური შემონმების შესაძლებლობა და საბოლოოდ, შეცდომების გამოსწორების საფუძველი და საშუალებები. აქედან გამომდინარე, ქვეყნის შიდა საარბიტრაჟო კანონმდებლობა, რომელიც ასეთ შესაძლებლობებს ითვალისწინებს, ნამდვილად ძალზედ პროგრესულია და შეაქვს დიდი წვლილი არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარებაში.

2. გაცხადებული მოთხოვნის საფუძვლიანობის შემთხვევაში, არბიტრაჟმა მისი მიღებიდან 30 დღის ვადაში უნდა შეიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში შესაბამისი შესწორება (პირველ პუნქტში მითითებული შეცდომის დაშვების შემთხვევაში) ან უნდა განმარტოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძირითადი აზრისა და შინაარსის შეუცვლელად. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ახალ გადაწყვეტილებას, რისი უფლებაც არბიტრაჟს არ გააჩნია. ასეთი განმარტება წარმოადგენს იმ საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილს, რომლის განმარტებაც განხორციელდა.

3. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი არბიტრაჟს უფლებას აძლევს გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში საკუთარი ინიციატივით გაასწოროს შეცდომა, რომელიც დაშვებული იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებებში, აგრეთვე მისი წერითი, ბეჭდური და სხვა ამგვარი შეცდომები.

ამდენად, ასეთი შესწორება შესაძლებელია განხორციელდეს პროცესის მონაწილე მხარის მიმართვის გარეშეც.

4. კანონი აგრეთვე ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ არბიტრაჟმა გამოიტანოს დამატებითი გადანყვეტილება იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც გაცხადებული იყო საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მაგრამ არ იქნა ასახული გადანყვეტილებაში. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არბიტრაჟისათვის დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის შესახებ მოთხოვნის წარდგენა დასაშვებია გადანყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში პროცესის დანარჩენი მონაწილეების ინფორმირების შემდეგ. მართალია კანონი ინფორმირების ფორმის შესახებ არაფერს მიუთითებს, მაგრამ ბუნებრივია ამ შემთხვევაში იგულისხმება წერილობითი ან კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა საშუალებები. ასეთი მოთხოვნის საფუძვლიანად მიიჩნევის შემთხვევაში, არბიტრაჟი მისი მიღებიდან 60 დღის ვადაში ვალდებულია გამოიტანოს დამატებითი გადანყვეტილება.

5. მოცემული მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებში მითითებული ვადა არბიტრაჟს, აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია არაუმეტეს 30 დღით გააგრძელოს, თუ მხარეთა შეთანხმებით (როგორც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მოცემული პირობით, ასევე დამოუკიდებლადაც) ან თუ არბიტრაჟის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. შესაბამისად ნათელია, რომ ასეთ შემთხვევაში პრიორიტეტული იქნება საარბიტრაჟო დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული კონკრეტული პროცედურა, თუ მხარეები განსხვავებულ პროცედურაზე არ არიან შეთანხმებული.

თავი №7

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

მუხლი 42. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

1. ამ კანონის ფარგლებში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სანინაალმდეგო ერთადერთი საპროცესო საშუალებაა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება, რაც უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-2-მე-5 პუნქტების შესაბამისად.
2. სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:
 - ა) მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, სასამართლოს საჩივრით მიმართავს და დამტკიცებს, რომ:
 - ა.ა. საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას — საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;
 - ა.ბ. მხარე, რომელიც ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა

შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები;

ა.გ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება;

ა.დ. არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას — ამ კანონის მოთხოვნებს;

ბ) სასამართლო დაადგენს, რომ:

ბ.ა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;

ბ.ბ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს.

3. მხარემ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარი სასამართლოში შეიძლება წარადგინოს ამ გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 90 დღის განმავლობაში. მხარეთა მიერ ამ კანონის 41-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში საჩივრის

წარდგენის ვადა აითვლება აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით არბიტრაჟის მიერ გამოტანილი შესაბამისი გადანყვეტილების მხარეთათვის ჩაბარების მომენტიდან.

4. სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის შემთხვევაში საარბიტრაჟო გადანყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება, გარდა ამ კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
5. თუ სასამართლო მიერ გამოტანილია გადანყვეტილება საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, დაუშვებელია საარბიტრაჟო გადანყვეტილების გაუქმება იმ საფუძვლით, რომლითაც მხარემ მოითხოვა საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა და რომელიც სასამართლომ არსებითი განხილვის შედეგად უარყო. ამ შემთხვევაში საარბიტრაჟო გადანყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარი არ დაიშვება, ხოლო თუ საჩივარი მიღებულია, მასზე საქმის წარმოება შეწყდება.

1. უპირველესად მუხლის სათაურის შესახებ — მუხლის, ისევე როგორც მე-7 თავის სათაური არ არის სწორად განსაზღვრული, რადგანაც გაუქმება არის შედეგი, რომელიც მოყვება გასაჩივრებას, ამასთან ნებისმიერი გასაჩივრება არ სრულდება გაუქმებით. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356²⁴ მუხლის სათაურია „საარბიტრაჟო გადანყვეტილების გასაჩივრება“ და მისი შინაარსის თანახმად, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლით საარბიტრაჟო გადანყვეტილების გაუქმება ხდება სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით“. ამდენად, საპროცესო კოდექსი სავსებით სწორად განსაზღვრავს, რომ გადანყვეტილების გაუქმება არის გარკვეული პროცესის (გასაჩივრების) შედეგი. აღსანიშნავია, რომ მოდელური კანონის მე-7 თავი სწორედ ასევე სახელდება „**საარბიტრაჟო გადანყვეტილების გასაჩივრება**“. ამდენად, საქმე გვაქვს საკანონმდებლო ხარვეზთან. რაც შეეხება კომენტარებული ნორმის არსებით მხარეს - „არბი-

ტრაჟის შესახებ“ კანონი იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგადაც არის გამოტანილი საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, აძლევს საშუალებას გარკვეულად წინააღმდეგობა გაუწიოს მას და განსაზღვრავს საფუძვლებს, რომელთა არსებობაც გამოიწვევს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას. ამასთანავე, განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, რომ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები ამომწურავია და სასამართლო შებოჭილია ამ საფუძვლებით, რაც სწორედ იმას ნიშნავს, რომ სასამართლო არ შედის დავის არსებით განხილვაში (რის თაობაზეც არაერთხელ აღინიშნა) და არ ახდენს მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების კვლევასა და შეფასებას. აღნიშნული მიუთითებს, რომ საარბიტრაჟო პროცესში მოქმედებს შინაარსობრივი შემომცემების აკრძალვის პრინციპი და გადაწყვეტილების გაუქმების საკითხის განხილვა არც ერთ შემთხვევაში არ მოიაზრებს გადაწყვეტილების შინაარსობრივი მხარის რევიზიას. ასეთი საჩივრის განხილვაში სასამართლოს ჩარევა ყოველთვის დაუშვებელია და ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 8 მარტის გადაწყვეტილება, რომელმაც მიუთითა: „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ სასამართლო განხილვა არ შეიძლება განხილულ იყოს, როგორც საკასაციო ინსტანცია. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვა მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით გამორიცხავდა არბიტრაჟის არსებობის აზრს. ამდენად, სასამართლოს მაკონტროლირებელი ფუნქცია მდგომარეობს მხოლოდ საკვანძო პროცედურული საკითხების განხილვაში. ასეთ საკითხებს განეკუთვნება: შეიძლებოდა თუ არა საარბიტრაჟო განხილვის ჩატარება, ხომ არ ჰქონდა ადგილი მხარეთა ძირითადი საპროცესო უფლებების დარღვევას, ხომ არ შეიცავს პროცესუალურ დეფექტებს თავად საარბიტრაჟო გადაწყვეტილება . . .“ სწორედ ასეთი პრინციპიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები ამომწურავადაა ჩამოყალიბებულია კანონის 42-ე მუხლის მე-2

— მე-5 პუნქტებში და ისიც მხოლოდ მხარის კეთილსინდისიერების ფარგლებში, რაზეც ყურადღებას ამახვილებს 2006 წლის რედაქციით მოდელური კანონის 2ა მუხლი (*გთხოვთ იხილოთ კომენტირებული კანონის 31-ე მუხლის კომენტარი*). ამდენად, კანონიც და სასამართლო პრაქტიკაც შემოიფარგლება იმით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას ყურადღება გასამახვილებელია მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივ მხარეზე და რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივდეს მხოლოდ და მხოლოდ მოცემული კანონით განსაზღვრული პროცესუალური (საპროცესო) საფუძვლით, რადგან საარბიტრაჟო წარმოების არსი არ გულისხმობს სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადახედვის შესაძლებლობას აპელაციის მსგავსი მექანიზმით. ამდენად, სავსებით ნათელია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამომტან საარბიტრაჟო ტრიბუნალს შესაძლოა დაშვებული ჰქონეს დარღვევა მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის გამოყენებისას და კანონი არასწორად ჰქონდეს განმარტებული და მისადაგებული კონკრეტული დავისადმი, მაგრამ არც საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, არც მოდელური კანონი და არც უცხო ქვეყნების კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების შინაარსობრივი მხარის შემოწმების შესაძლებლობას. ასეთი რამ ძირეულად ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო წარმოების პრინციპს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ მხარემ დარღვეული უფლების აღსადგენად აუცილებლად სასამართლოს უნდა მიმართოს — თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმდა იმის გამო, რომ ადგილი ჰქონდა მაგალითად ტრიბუნალის ფორმირების წესის დარღვევას, ან მხარის არასათანადო ინფორმირებულობას, საარბიტრაჟო განხილვა დასაშვებია ასეთი ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ. ასეთი საფუძვლით გაუქმების შემთხვევაში მხარის სასამართლოში მიმართვისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლით და მოსარჩელე მხარე მიმართოს არბიტრაჟში.

2. კომენტირებული ნორმა ითვალისწინებს გადაწყვეტილების გაუქმების 6 საფუძველს, რომელთაგან 4 მხოლოდ მხარის მტკიცების საგანს შეადგენს და 2 საფუძველის არსებობის დადგენა კი სასამართლოს ვალდებულებაა. კანონის მე-2 მუხლით დადგენილი განსჯადობის შესაბამისად, 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ - „ა.დ.“ ქვეპუნქტებში მითითებული საფუძველებით თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების უფლებას ანიჭებს ისეთ შემთხვევებში, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამსაჩივრებელი მხარე დაამტკიცებს ჩამოთვლილი გარემოებებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმეს ერთდროულად არსებობას:

- ა. საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა მიუთითეს საარბიტრაჟო შეთანხმებაში (იქნება ეს საქართველოს თუ სხვა ქვეყნის სამართლებრივი ნორმები), საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია (*გთხოვთ იხილოთ მე-16 მუხლის პირველი პუნქტის კომენტარი*);
- ბ. არბიტრის დანიშვნის შესაძლებლობის შეზღუდვას, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისას საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობას, რამაც მხარეს მოუხსპო შესაძლებლობა წარედგინა საკუთარი პოზიცია განსახილველი დავის მიმართ და დაეცვა თავისი ინტერესები. ამ საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ანალოგიურად მხარეს საარბიტრაჟო განხილვის და მისი პოზიციის გამოხატვისათვის შესაძლებლობის მიცემის შესახებ უნდა მიეცეს გონივრული ვადა. სასამართლო პრაქტიკა სავსებით სწორად არ მიიჩნევს მხარის ინფორმირებულობის გო-

ნიერულ ვადად საარბიტრაჟო შეტყობინებას პროცესამდე 2 ან 3 დღით (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 სექტემბრის NN23/1814-16, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის 2/ბ-321-13 განჩინებები), რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების უდავო საფუძველია. ასევე აღსანიშნავია, რომ მხარეს საარბიტრაჟო გზავნილი შეიძლება ვერ ჩაბარდეს მის მიერ შეგნებულად დამახინჯებული მისამართის მითითების ან სხვა გარემოებების გამო (მის მიერ მითითებულ მისამართზე ხანგრძლივი არყოფნა და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში, გზავნილის ჩაბარების გონივრული მცდელობის შემთხვევაში გზავნილი ჩაბარებულად ჩაითვლება (გთხოვთ იხილოთ 27-ე მუხლის კომენტარი) და მხარის არგუმენტი მისი უფლების დარღვევის შესახებ მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული. ამასთანავე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდება საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის ჩატარების გარეშე, როდესაც მხარე მოითხოვდა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას და საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ასეთი მოთხოვნა არ გაითვალისწინა. აღნიშნული გარემოება შეიძლება არც გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმების (დათქმა) დროს უარი განაცხადეს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვაზე.

- გ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია ისეთ საკითხზე, რაც არ შეადგენდა საარბიტრაჟო განხილვის საგანს, შესაბამისად ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც არბიტრაჟი გასცდა საარბიტრაჟო მოთხოვნის ფარგლებს. ამავე ქვეპუნქტის თანახმად, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება რამდენიმე საკითხზეა მიღებული და საკითხი, რომელიც არ ყოფილა საარბიტრაჟო განხილვის საგანი და არბიტრაჟმა მაინც მიიღო მასზე გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ ნაწილობრივ გაუქმდება — იმ ნაწილში, რომელიც არ ყოფილა გაცხადებული და რომელზეც არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილებაა მიღებული, ოღონდ ამ

შემთხვევაში გასათვალისწინებელია ხომ არ გვაქვს სახეზე მხარის გასაჩივრების უფლების გაქარწყლება (გთხოვთ იხილოთ 31-ე მუხლის და მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის კომენტარი);

- დ. არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას მოცემული კანონის მოთხოვნებს. ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია კანონის 31-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას ან შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში მოცემული კანონის მოთხოვნებს და მხარემ ასეთი დარღვევის წინააღმდეგ არ ისარგებლა კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობით და ჩვეულებრივ გააგრძელა საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობა, მას **წაერთვა** პრეტენზიის გამოხატვის უფლება. მაგალითად, თუ მხარეთა შეთანხმებით საარბიტრაჟო დავის განხილვა გათვალისწინებულია ზეპირი მოსმენით ან სამი არბიტრისაგან შემდგარი ტრიბუნალის მიერ და ასეთი შეთანხმების მიუხედავად დავა განხილული იქნება ზეპირი მოსმენის გარეშე ან/და ერთი არბიტრის მიერ, ან მხარეთა შეთანხმების არარსებობისას მოცემული კანონის იმპერატიული დანაწესის საწინააღმდეგოდ და აღნიშნული დარღვევის გამო მხარეს, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას, გადაწყვეტილების გამოტანამდე წერილობით არ წარუდგენია პროტესტი, მას დაკარგული აქვს აღნიშნული საფუძვლით გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის და ამ საფუძვლით პრეტენზიის გამოხატვის უფლება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების ან ცნობა-აღსრულების სტადიაზე. ასეთი პოზიცია სრულ თანხვედრაშია მოდელური კანონის ნორმებთან და ნიუ-იორკის 1958 წლის 10 ივნისის კონვენციის პრინციპებთან. ამდენად, მხარის მიერ რაიმე სახის დარღვევაზე პრეტენზიის გამოუთქმელობა და პრეტენზიის მხოლოდ

მისი საწინააღმდეგო გადანყვეტილების გამოტანის შემდეგ გამოხატვა, კეთილსინდისიერების დაცვის ვალდებულების დარღვევასთან ერთად უფლების ბოროტად გამოყენების გამოვლინებაცაა. აღსანიშნავია, რომ წამყვანი საარბიტრაჟო დაწესებულებების საარბიტრაჟო წესები მოდელური კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, სწორედ კეთილსინდისიერი ქცევის დაცვის სტანდარტს ითვალისწინებენ — რუსეთის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს რეგლამენტის მე-4 მუხლი, შვეიცარიის საერთაშორისო არბიტრაჟის რეგლამენტის 30-ე მუხლი, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (ICC Court) რეგლამენტის 39-ე მუხლი, სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (2013 წლის 1 აგვისტოს რედაქციით) 37-ე მუხლი, მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს რეგლამენტის (PCA Rules) 32-ე მუხლი, დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტის (CIArb) საარბიტრაჟო რეგლამენტის (2015 წლის 1 დეკემბრის რედაქციით) 32-ე მუხლი და ა.შ. ამასთან, სამართლიანი განხილვის პრინციპის დარღვევა იქნება, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი პროცესის მონაწილე ყველა მხარეს არ მისცემს შესაძლებლობას, გაეცნოს ერთ-ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებას, მაგალითად ექსპერტიზის დასკვნას და წარმოადგინოს ასეთი მტკიცებულების გამაბათილებელი მტკიცებულება. არსებითი დარღვევა იქნება მაშინაც, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი გადანყვეტილებას ისეთ სამართლებრივ ნორმაზე დააფუძნებს, რომელიც არ ყოფილა პროცესის განმავლობაში გაცხადებული და მხარეებს ასეთი მატერიალური ნორმის გამოყენების თაობაზე არ მიეცათ მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა.

მოცემული კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს გადანყვეტილების გაუქმების დამატებით კიდევ 2 საფუძველს. თუ უკვე განხილულ 4 შემთხვევაში დარღვევის თაობაზე მტკიცების ტვირთი გადანყვეტილების გაუქმების ინი-

ცირების ავტორის მხარეზეა და სასამართლო მხოლოდ ასეთი ინიცირების შემთხვევაში მოახდენს ჩარევას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხარის ინიცირების გარეშეც გაუქმდება, თუ სასამართლო დაადგინს, რომ:

- ა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია დავაზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი — თუ რა შეიძლება კანონმდებელს ეგულისხმა, პასუხი მოცემულია არბიტრაჟის შესახებ“ კანონის პირველივე მუხლში, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, არბიტრაჟის განხილვის საგანი შეიძლება მხოლოდ კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის. ასეთი დათქმა მხოლოდ არბიტრაჟუნარიანობას უკავშირდება და არა მხარეთა სურვილს (*გთხოვთ იხილოთ პირველი და მერვე მუხლების კომენტარები*);
- ბ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს.

მითითებული ორი გარემოების დადგენა სასამართლოს ვალდებულებაა, თუმცა ეს მხარეს არ ართმევს უფლებას, თავადაც იდავოს ამ საფუძვლებით და დაასაბუთოს საკუთარი მოთხოვნა.

კანონის 42-ე მუხლში მითითებული საფუძვლები ამომწურავია და განვრცობას არ ექვემდებარება. აღნიშნული საფუძვლები ეხება მხოლოდ საქართველოში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, იქნება ის შიდა, თუ საერთაშორისო დავაზე. ამდენად, შესაბამისი მხარის მიერ მითითებული საფუძვლების შემონგებისას გამოსაყენებელი სამართალი საქართველოს კანონმდებლობაა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ერთიანი განმარტება, თუ რა არის **საჯარო წესრიგი** და რას ნიშნავს **საჯარო წესრიგის დარღვევა**. ვნახოთ, რა დამოკიდებულება აქვს ამ ფენომენს არბიტრაჟთან. ტერმინი „საჯარო წესრიგი“ „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ 1996 წლის

კანონში არ ყოფილა მითითებული და მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ 2009 წლის კანონში იქნა შეტანილი. საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში ეს ცნება ახალი არ არის და საკმარისია აღინიშნოს, რომ UNCITRAL-ის მოდელურ კანონში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, ხოლო ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციაში ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლადაა მითითებული. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, საარბიტრაჟო პროცესის მინიმალური, ფუნდამენტური კანონიერება მხარეთა იმ მოლოდინის ნაწილია, რომლითაც ისინი მიმართავენ დავის არბიტრაჟის წესით გადაწყვეტის პროცესს. მკვლევარები, მეცნიერები თანხმდებიან იმაში, რომ „საჯარო წესრიგი“-ს დარღვევა მოიცავს სამართლის ფუნდამენტურ დარღვევას და არა ნებისმიერს. ანუ, თუ რაიმე სახის საპროცესო დარღვევას ჰქონდა ადგილი, ეს არ წარმოადგენს ყველა შემთხვევაში იმის თქმის საფუძველს, რომ დაირღვა საჯარო წესრიგი. ასე მაგალითად, საჯარო წესრიგის დარღვევად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმეკრულებო დებულებების არასწორი განმარტება, სამართლებრივი ურთიერთობის არასწორი კვალიფიკაცია თუ მტკიცებულებათა შეფასება. იმისათვის, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგის დარღვევის საფუძვლით იქნეს გაუქმებული, იგი წინააღმდეგობაში უნდა მოდიოდეს მაღალ ღირებულებებთან, ცნობიერებისათვის შოკისმომგვრელ შედეგს უნდა იწვევდეს. საჯარო წესრიგის დარღვევის შემთხვევას ექნება ადგილი არბიტრის მიკერძოების ან დამოუკიდებლობის არქონის შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანას, აგრეთვე ეთიკის სხვა ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევაში. აღნიშნული ცნება მოიაზრებს არა კანონის ყველა, ნებისმიერი დარღვევას, მათ შორის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ კონკრეტული დავისადმი მისადაგებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორ ინტერპრეტაციას, არამედ გაცილებით მნიშვნელოვანს, როგორცაა სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები. საჯარო წესრიგის დარღვევაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ

მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება გახდეს შოკისმომგვრელი საზოგადოებისათვის და არა მხოლოდ მოპასუხე მხარისათვის, გადაწყვეტილება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული და აშკარად აზიანებს საჯარო ინტერესებს, შეურაცხმყოფელია საზოგადოებისათვის და არღვევს მორალისა და ზნეობის ფუნდამენტურ პრინციპებს. ამდენად, ამ ცნებაში არ მოიაზრება კანონის არასწორი ინტერპრეტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონმდებელი კომენტირებულ ნორმაში მიუთითებდა არა „საჯარო წესრიგს“, არამედ „კანონსაწინააღმდეგო“-ს ან „წინააღმდეგება კანონს“. ლიტერატურაში მოყვანილი უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მსგავსად, ძალიან საინტერესო და სწორი განმარტება გააკეთა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2014 წლის 25 მარტის №2ბ/5858-13 განჩინებაში და მიუთითა შემდეგი: „რაც შეეხება საჯარო წესრიგს, თეორიაში და პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომაა, რომ ის არ გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წინაარსის გადასინჯვას და ამ თვალსაზრისით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მართებულობის შეფასებას სასამართლოს მხრიდან; მოცემული საკითხისადმი ამ პოზიციის შეუსაბამო მიდგომა, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვიდოდა „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მიზანთან; ამ მსჯელობიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას საჯარო წესრიგზე მითითებით არ შეიძლება გადასინჯოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ასახული სახელშეკრულებო დებულებათა განმარტება, მტკიცებულებათა შეფასება, სამართლებრივი ურთიერთობების კვალიფიკაცია, რადგან საჯარო წესრიგი მოიცავს არა ნებისმიერი სახის დარღვევას, არამედ სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უგულვებელყოფას; ე.ი. სხვაგვარად რომ ითქვას, იმისათვის, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძველი იქნას გაუქმებული, იგი წინააღმდეგობაში უნდა მოდიოდეს უფრო მაღალ ღირებულებებთან; წინააღმდეგ შემთხვევაში საჯარო წესრიგი გადაიქცევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აპელაციის მექანიზმად.

ასეთი მიდგომა კი წინააღმდეგობაშია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანთან — უზრუნველყოფილი იქნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობა“. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს ციტირებული განჩინებით გარკვეულწილად უკვე მოხდა საჯარო წესრიგის საარბიტრაჟო სამართალში გამოყენების საკმაოდ პროგრესულად განმარტება. შესაბამისად, ციტირებული, ნამდვილად პროგრესული და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მიღებული განჩინების საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სასამართლოები არ უნდა ჩაერიონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა შინაარსში „საჯარო წესრიგის“, ან თუნდაც სხვა არგუმენტით. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს ზემომოყვანილი განჩინება უნდა დამკვიდრდეს ქვეყანაში როგორც საარბიტრაჟო სამართლის სფეროში არსებული სანიმუშო პრეცედენტი, განვითარდეს შემდგომი სასამართლოს პრაქტიკა მის შესაბამისად, რაც რეალურად შეუწყობს ხელს საქართველოში არბიტრაჟის სრულ და ხელშეუხებელ დამოუკიდებლობას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საჯარო წესრიგის დაცვის აუცილებლობა ასევე ვრცელდება დავის მხარეთა მორიგებით დასრულების შემთხვევაში. მართალია მხარეთა მიერ დავის მორიგებით დასრულება მათი ნების თანხვედრის გამოხატულების შედეგია, მაგრამ საჯარო წესრიგის დაცვის აუცილებლობის საკითხზე მითითებისას კანონმდებელი არ გულისხმობს ნების აბსოლუტურობას და ცხადია, რომ მხარეთა ნება არ უნდა ხელყოფდეს საჯარო წესრიგს და კანონით ნათლად განსაზღვრულ პროცედურებს.

3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარის მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრასთან ერთად კანონმა განსაზღვრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაც — 90 დღე და ამ ვადის ათვლა იწყება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარებიდან. იგივე ვადაა და ათვლის იგივე წესია გათვალისწინებული „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 41-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო აქ-

ტის მიღებისას. ამასთან აღსანიშნავია, რომ კომენტირებული ნორმა არ აკონკრეტებს გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტს და არ შემოფარგლავს მხოლოდ მოსარჩელე ან მოპასუხე მხარით. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე გასაჩივრების უფლებით შეიძლება ისარგებლოს იმ მესამე პირმაც, ვის ინტერესებსაც უშუალოდ ეხება კონკრეტული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და სასამართლო კონტროლის დანიშნულება სწორედ ასეთი დარღვევის აღმოფხვრაცაა.

4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანა არ აჩერებს ასეთი გადაწყვეტილების აღსრულებას. შეჩერების ერთადერთი საფუძველია ამ კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა (*გთხოვთ იხილოთ დასახელებული მუხლის კომენტარი*).

5. პასუხს შესაძლო კითხვაზე — დაიშვება თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის წარდგენა სააპელაციო სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ, პირდაპირ იძლევა „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი. აღნიშნული სამართლებრივი ნორმის ანალიზის შედეგად ნათელია, რომ ასეთი საჩივარი შესაძლებელია, ოღონდ არსებობს ასეთი საჩივრის წარდგენის შეზღუდვა. კერძოდ, 2015 წლის მარტის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ საჩივარი დაუშვებელია იმ საფუძვლით, რომელიც მხარის მიერ გაცხადებული იყო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებაზე უარის თქმის დასასაბუთებლად და რომელზეც სააპელაციო პალატამ ერთხელ უკვე იმსჯელა და უარყო. ამ საფუძვლით წარდგენილი საჩივარი არ დაიშვება, ხოლო თუ ასეთი საჩივარი უკვე მიღებული იქნა წარმოებაში, ასეთი საჩივრის საფუძველზე დაწყებული წარმოება ექვემდებარება უპირობო შეწყვეტას. სხვა შემთხვევაში საჩივარი დასაშვებია, ცხადია კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

მუხლი 43. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის შეფერხების შედეგად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განხილვის შეწყვეტის შედეგად

სასამართლოს, რომელსაც მიმართეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრით, უფლება აქვს, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეაჩეროს გადაწყვეტილების გაუქმების განხილვა საჩივრის წარმოებაში მიღებიდან არაუმეტეს 30 დღის ვადით, რათა არბიტრაჟს მიეცეს შესაძლებლობა, განაახლოს განხილვა ან განახორციელოს ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც არბიტრაჟის შეხედულებით, აუცილებელია გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული საფუძველით საქმის განხილვის შეჩერების შესახებ სასამართლო უწყებით ატყობინებს არბიტრაჟს საქმის განხილვის შეჩერებიდან 3 დღის ვადაში.

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონი UNCITRAL-ის მოდელური კანონის 34-ე მუხლის მსგავსად, იძლევა შესაძლებლობას არბიტრაჟის მიერ დაშვებული, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, მის მიერ დაშვებული პროცედურული ხარვეზი, აღმოფხვრას ასეთი გადაწყვეტილების გამომტანმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა. ასეთი საჩივრის არსებობისას, მხარემ, რომლის სასარგებლოდაც არის გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლოდან საჩივრის ასლის მიღებისას, უფლება ეძლევა მიმართოს სააპელაციო სასამართლოს საჩივრის განხილვის შეჩერების შესახებ შუამდგომლობით, რათა არბიტრაჟს (საარბიტრაჟო ტრიბუნალს) მიეცეს შესაძლებლობა თავად აღმოფხვრას მისი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო, საჩივართან დაკავშირებული საქმის განხილვის შეჩერების შესახებ, 3 დღის ვადაში სასამართლო უწყებით ატყობინებს გადაწყვეტილების გამომტან არბიტრაჟს (საარბიტრაჟო ტრიბუნალს) სასამართლო განხილვის შეჩერების შესახებ. აღნიშნულის შემდეგ, კანონის მითითებული ნორმიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია აღმოფხვრას ხარვეზი, რომელიც მის

მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. ჩემს მიერ ვერ იქნა მოძიებული საარბიტრაჟო დაწესებულების დებულება, სადაც გათვალისწინებული იქნება ასეთი საპროცესო მოქმედების განხორციელების პროცედურული წესი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს პროცედურული ხარვეზი არ გამოიციხავს კანონის მოთხოვნის შესრულების შესაძლებლობას და თუ არბიტრაჟი ასეთ ხარვეზს არ აღმოფხვრის 30 დღის ვადაში, სააპელაციო სასამართლო განაახლებს მის წარმოებაში არსებული საჩივრის არსებით განხილვას.

თავი №8

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

მუხლი 44. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

1. იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის მიზნებისათვის უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით — საქართველოს უზენაესი სასამართლო.
2. მხარემ, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმე-

ბული დედანი (საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი გადაწყვეტილებებისათვის) ან მისი სათანადოდ დამონშე-ბული ასლი, აგრეთვე ამ კანონის მე-8 მუხლში მითითებული საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამონშეული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან შეთანხმება არ არის შეს-რულებული ქართულ ენაზე, მხარემ უნდა წარმოადგინოს ასევე ქართულ ენაზე ამ საბუთების სათანადოდ დამონშეუ-ლი თარგმანი.

3. პუნქტი ამოღებულია.

4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდ-ება სასამართლოს განჩინების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

1. საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დად-გენილებით რატიფიცირებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1958 წლის 10 ივნისის კონვენცია „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ (ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია). კონვენცია ეფუძნება აღსრულების მომხრე განწყობას და სწორედ ასეთი განწყობაა საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში, რაც ხელს უწყობს და უზრუნველყოფს საარბიტრაჟო შეთანხმებებისა და გადაწყვეტილებების აღსრულებას. კონვენციის რატიფიცირე-ბით, ამ კონვენციის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საქართველოსათვის და გასათვალისწინებელია საერთაშორი-სო მასშტაბით აღსრულების მომხრე განწყობის არსებობა. საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის 19 ივნისს მიღე-ბული, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი სრულად ასახავს მითითებული კონვენციის პირველი მუხლის დებულებას, რომ „კონვენცია გამოიყენება იმ საარბი-ტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებიც მიღებულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, და არა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მოითხოვე-

ბა ასეთ გადანყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, და გამოტანილია ისეთ დავათა გამო, რომელთა მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. იგი გამოიყენება აგრეთვე იმ საარბიტრაჟო გადანყვეტილებათა მიმართ, რომლებიც არ ითვლება იმ სახელმწიფოს ადგილობრივ გადანყვეტილებებად, სადაც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება“. ამდენად, მოცემული კანონი ითვალისწინებს რა როგორც საქართველოში გამოტანილ, ასევე უცხოური საარბიტრაჟო გადანყვეტილებების სავალდებულო წესით აღსრულებას, ადგენს დიფერენცირებულ განსჯადობას — საქართველოში გამოტანილი გადანყვეტილებების მიმართ უფლებამოსილ სასამართლოდ მიიჩნევა სააპელაციო სასამართლოს, ხოლო უცხოური საარბიტრაჟო გადანყვეტილებების მიმართ — საქართველოს უზენაეს სასამართლოს. აღსანიშნავია, რომ მითითებული კონვენციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ტერმინი „საარბიტრაჟო გადანყვეტილებები“ მოიცავს არა მხოლოდ ყოველ ცალკეულ საქმესთან დაკავშირებით დანიშნული არბიტრების მიერ მიღებულ საარბიტრაჟო გადანყვეტილებებს, არამედ იმ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ორგანოების მიერ მიღებულ საარბიტრაჟო გადანყვეტილებებსაც, რომლებსაც მხარეებმა მიმართეს“. ამდენად, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას ექვემდებარება როგორც უცხოური, ასევე საქართველოს როგორც ინსტიტუციური, ასევე *ad hoc* არბიტრაჟის სამართლიანობის მინიმალური სტანდარტების დაცვით მიღებული საბოლოო საარბიტრაჟო გადანყვეტილებები, რომლებსაც სასამართლოს მიერ ცნობის შემთხვევაში ენიჭება **rex judicata** მნიშვნელობა.

2. უცხოური საარბიტრაჟო გადანყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარსადგენ შუამდგომლობას უნდა დაერთოს საარბიტრაჟო გადანყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი, აგრეთვე ამ კანონის მე-8 მუხლში მითითებული საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის

შემთხვევაში). მიმაჩნია, რომ კანონში დათქმა „(ასეთის არსებობის შემთხვევაში)“, არასწორ ადგილას არის განთავსებული, რადგანაც ლინგვისტური ანალიზის თანახმად ეს დათქმა ეხება არა სათანადოდ დამონმებული ასლის არსებობას, არამედ თავად წერილობითი ფორმით დაფიქსირებული საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას. ასეთი დასკვნის საფუძველია მოცემული კანონის მე-8 მუხლის მე-4-მე-6 პუნქტები, რომელთა თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება ერთიანი დოკუმენტის სახით, შესაძლებელია არც არსებობდეს და ვერ დაურთავ შუამდგომლობას იმას, რაც ბუნებაში არ არსებობს. შესაბამისად, დათქმა „(ასეთის არსებობის შემთხვევაში)“, ეხება საარბიტრაჟო შეთანხმებას (და არა მის თარგმანს) და ასეთი დათქმა განთავსებული უნდა იყოს სიტყვების „საარბიტრაჟო შეთანხმების“ შემდეგ. რაც შეეხება წარსადგენი დოკუმენტების დედნის თუ ასლის დამონმების სათანადოობას, ჰააგის კონვენციის მონაწილე ქვეყანაში გაცემული დოკუმენტი აპოსტილით უნდა იყოს დამონმებული, ხოლო თუ დოკუმენტი გაცემულია იმ ქვეყანაში, რომელიც არ არის „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის გაუქმების შესახებ“ ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციის მონაწილე, ასეთი დოკუმენტები უზენაეს სასამართლოს უნდა წარედგინოს ლეგალიზებული სახით და ქართულ ენაზე სათანადოდ დამონმებული თარგმანით (სანოტარო წესით დადასტურებული თარგმანი). საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, სავალდებულო არ არის მთლიანი ხელშეკრულების თარგმანის წარდგენა და საკმარისია მხოლოდ იმ ამონარიდის წარდგენა, რომელიც მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას. ციურისის სააპელაციო სასამართლომ 2003 წლის 14 თებერვალს განხილულ საქმეზე მიიჩნია, რომ 1000 გვერდის შემცველი სამშენებლო ხელშეკრულების (დანართებიანად) წარდგენა არ იყო სავალდებულო და შემოიფარგლა ხელშეკრულების მხოლოდ იმ ნაწილის თარგმანის მიღებით, რომელიც შეიცავდა საარბიტრაჟო შეთანხმებას (*Yearbook Commercial Arbitration XXIX, 2004, გვ. 819-833*). კომენტარებულ ნორმაში მითითებული დოკუმენტების ჩამონ-

ათვალი ამომწურავია და სასამართლომ დამატებით სხვა დოკუმენტაცია არ უნდა მოითხოვოს.

3. პუნქტი ამოღებულია

4. მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში უფლებამოსილი სასამართლო გასცემს განჩინებას და სააღსრულებო ფურცელს და ამ საპროცესო აქტების საფუძველზე აღსრულება განხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 45. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა

1. მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მხარეს შეიძლება უარი ეთქვას ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ:

ა) მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, სასამართლოს განცხადებით მიმართავს და დაამტკიცებს, რომ:

ა.ა. — საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდაჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია, ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას — იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;

- ა.ბ. — იგი არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები;
 - ა.გ. — საარბიტრაჟო გადანყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადანყვეტილება შეიცავს გადანყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადანყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისაგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადანყვეტილება შეიძლება ცნობილ და აღსრულებულ იქნას ნაწილობრივ, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში მოქცეულ საკითხებზე გადანყვეტილებას შეიცავს;
 - ა.დ. — არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას — იმ ქვეყნის კანონის მოთხოვნებს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა;
 - ა.ე. — საარბიტრაჟო გადანყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადანყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადანყვეტილება გამოტანილი;
- ბ) სასამართლო დაადგენს, რომ:

- ბ.ა. — საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;
- ბ.ბ. — საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.
2. დაუშვებელია საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ განცხადებით სასამართლოსათვის მიმართვა იმავე საფუძვლით, რომლითაც მხარე ითხოვდა აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, ან იმ შემთხვევაში, თუ მხარემ არ გაასაჩივრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ამ კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.
3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტში მითითებულ სასამართლოში წარდგენილია საჩივარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ ან შეტანილია შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ, სასამართლოს, რომელსაც მიმართეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობით, უფლება აქვს, არაუმეტეს 30 დღით გადადოს გადაწყვეტილების გამოტანა და იმ მხარის მოთხოვნით, რომელიც ითხოვს ცნობას ან აღსრულებას, დაავალოს მეორე მხარეს, წარმოადგინოს შესაბამისი უზრუნველყოფა.
1. კომენტირებული ნორმით გათვალისწინებული 5 საფუძვლის („ა.ა“ — „ა.დ.“) მტკიცების ტვირთი აწევს მოპასუხე მხარეს. ამ გარემოებებს სასამართლო საკუთარი ინიციატივით არ იკვლევს. ნიუ-იორკის 1985 წლის კონვენციასთან მიერთებით საქართველომ აღიარა საერთაშორისო თანამეგობრობის აღსრულების მომხრე განწყობა და კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების ვიწროდ განმარტების ტენდენცია. კონვენციის და კანონის კომენტირებული ნორმის მოთხოვნების ანალიზიდან გამომდინარე, თუ მოპასუხე მხარე არ დაამტკიცებს, რომ სახ-

ეზეა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ან შეჩერების საფუძვლ(ებ)ი ან სასამართლო თავად არ დაადგენს კომენტირებული ნორმის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობას, სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება უნდა ცნოს და მიაქციოს აღსასრულებლად. ამასთან, გასათვალისწინებელია ხომ დაკარგა მხარემ შედავების უფლება და გასათვალისწინებელია, რომ კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტები გადმოტანილია ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციიდან, მაშინ როდესაც 1985 წელს მიღებული იქნა UNCITRAL-ის მოდელური კანონი, რომლის მე-4 მუხლის თანახმად მხარე გარკვეული გარემოებების შემთხვევაში კარგავს გასაჩივრების უფლებას (*გთხოვთ იხილოთ 31-ე და 42-ე მუხლების კომენტარი*). აღსანიშნავია, რომ უცხოური სასამართლო პრაქტიკა ემხრობა მხარის მიერ კეთილსინდისიერების დაცვის აუცილებლობას და არ ითვალისწინებს ნაგებული მხარის არგუმენტებს პროცედურული დარღვევების შესახებ, როდესაც მხარემ ასეთი პრეტენზიები წამოაყენა მხოლოდ მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ასე მაგალითად, პარიზის სააპელაციო სასამართლოს 1993 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით არ იქნა გაზიარებული მოპასუხე მხარის პრეტენზია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის შესახებ და გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მოპასუხეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ პროცედურული დარღვევის შესახებ არ ჰქონდა გაცხადებული პროცესის შესაბამის სტადიაზე. ანალოგიურად, მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლომ 2010 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით (*რუსეთის ფედერაციაში კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილებების გაუქმების და ცნობისა და აღსრულების საკითხებს იხილავს საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც სახელმწიფო მართლმსაჯულების შემადგენელი რგოლია*) არ გაიზიარა მოპასუხის პრეტენზია და მიუთითა, რომ მას კომერციული არბიტრაჟის კომპეტენციაზე შედავება არ ჰქონდა წარდგენილი და, უფრო მეტიც, შეგებებული სარჩელიც კი ჰქონდა აღძრული.

ანალოგიური პოზიცია ჰქონდა ნიუ-იორკის სამხრეთის ოლქის საოლქო სასამართლოს, რომელმაც 2007 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით არ გაიზიარა წაგებული მხარის, მოპასუხის პრეტენზია საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციის არარსებობის შესახებ და მიუთითა, რომ მხარემ დაკავა შედეგების უფლება, რადგანაც მას არ ჰქონდა გასაჩივრებული საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ კომპეტენციის არქონა განსახილველ საქმეზე. შესაბამისად, თუ მხარემ არ ისარგებლა კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებით და ჩვეულებრივ გააგრძელა საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობა, მას აღარ გააჩნია პრეტენზიის გამოხატვის უფლება იმ დარღვევებზე, რაც მისთვის საქმის განხილვის პროცესშივე იყო ცნობილი. ასეთი პოზიცია სრულ თანხვედრაშია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლით განმტკიცებულ კეთილსინდისიერების დაცვის ვალდებულებასთან. რაც შეეხება 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძვლებს, ამ გარემოებების მტკიცების ტვირთი აწევს სასამართლოს და მოპასუხე მხარის მითითების არარსებობის მიუხედავად, სასამართლო ვალდებულია გამოიკვლიოს აღნიშნული საკითხები. კერძოდ, აღსასრულებლად მოთხოვილ საქმეზე არსებული დავა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არის თუ არა არბიტრაჟუნარიანი (*გთხოვთ იხილოთ პირველი მუხლის მეორე პუნქტის კომენტარი*) და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება თუ არა საჯარო წესრიგს (*გთხოვთ იხილოთ 42-ე მუხლის მეორე პუნქტის კომენტარი*). როგორც უკვე აღინიშნა, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის ნებისმიერი დარღვევა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო ერევა სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსში და თავად საზღვრავს პირგასამტეხლოს ოდენობას (სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლზე დაყრდნობით ამცირებს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობას, რაც არ არის სწორი

და წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დაუშვებელ რევიზიას). ანალოგიურად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი არ არის ის ფაქტი, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის ქმედება გარკვეულწილად ხარვეზიანია. საჯარო წესრიგის დარღვევას არ ექნება ადგილი, თუ აღნიშნული ხარვეზი არ არღვევს მორალისა და სამართლიანობის ფუნდამენტურ ცნებებს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ დაექვემდებარება ცნობასა და აღსასრულებლად მიქცევას, თუ დარღვეული იქნება „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობები დავის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრაჟის მიერ განხილვის შესახებ. ანალოგიურ ეჭვს გამოიწვევს საქართველოს „არბიტრთა ეთიკის კოდექსის“ იმპერატიული მოთხოვნების დარღვევა. მაგალითად, თუ დარღვეულია მოთხოვნა გარემოებების გამჟღავნების შესახებ. ამასთანავე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ UNCITRAL-ის მოდელური კანონის 36-ე მუხლის თანახმად, **„იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: . . . „საინტერესოა ინგლისურენოვანი ტექსტის მოყვანაც: „*Recognition or enforcement of an arbitral award, irrespective of the country in which it was made, may be refused only: . . .*“.** შესაბამისად ნათელია, რომ სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი არ ცნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, თუ ციტირებულ მუხლში ჩამოთვლილ გარემოებებს ექნება ადგილი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია ცნოს და აღასრულოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რადგან მხოლოდ ჩამოთვლილი საფუძვლების არსებობა ხდის შეუძლებელს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის საკითხის დადებითად გადაწყვეტას და რომ ასეთი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია

მიიღოს ერთადერთი გადაწყვეტილება — არ დააკმაყოფილოს შუამდგომლობა. ამდენად, მოდელური კანონის არსებული მუხლი ქართულ ენაზე არასწორად იქნა ნათარგმნი და „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვა „მხოლოდ“ საერთოდ არ არის მითითებული. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის კომენტარებისას აღინიშნა, რომ კანონი და სასამართლო პრაქტიკაც შემოიფარგლება იმით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას ყურადღება გასამახვილებელია მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივ მხარეზე. ანალოგიურად, ამავე კანონის 45-ე მუხლიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების გამომრიცხავ გარემოებად კანონის 45-ე მუხლში ჩამოთვლილ პროცესუალურ (საპროცესო) საფუძვლებს მიუთითებს. კანონის 42-ე მუხლში მითითებულ საფუძვლებთან ერთად, 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შეუსვლელობას ან მის გაუქმებას ან შეჩერებას იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი. ბუნებრივია, თუ გადაწყვეტილება გაუქმებულია ან მისი მოქმედება შეჩერებულია, ასეთი გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი დადებითად ვერ გადაწყდება.

2. კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ განცხადებით მიმართვა იმავე საფუძვლით, რომლითაც მხარე ითხოვდა აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას. ეს უშუალოდ საარბიტრაჟო მოპასუხეს ეხება, რომელსაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹21 მუხლის მე-2¹ ნაწილის შესაბამისად ეგზავნება მხარის (საარბიტრაჟო მოსარჩელის) შუამდგომლობა გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ და ეძლევა კანონით განსაზღვრული 7

დღის ვადა საკუთარი დასაბუთებული პრეტენზიების წარმოსადგენად. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გადანყვეტილების ცნობისა და აღსრულების ეტაპზე კანონი დაუშვებლად მიიჩნევს იმავე საფუძვლებით პრეტენზიების გაცხადებას, რაც უკვე განხილული იყო იმავე საარბიტრაჟო გადანყვეტილების გაუქმების შესახებ მოპასუხე მხარის მიერ შეტანილ საჩივარში. ასევე დაუშვებელია მოპასუხე მხარის განცხადება გადანყვეტილების ცნობისა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ, თუ საარბიტრაჟო მოპასუხემ საარბიტრაჟო გადანყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 90 დღის ვადაში არ ისარგებლა საარბიტრაჟო გადანყვეტილების გასაჩივრების უფლებით. ანუ, გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გამგების შემთხვევაში მხარეს აღარ აქვს უფლება შეენინააღმდეგოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადანყვეტილების ცნობას და აღსრულებას.

3. თუ იმ სასამართლოში, სადაც საარბიტრაჟო გადანყვეტილება გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც იქნა საარბიტრაჟო გადანყვეტილება გამოტანილი, საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ შეტანილია საჩივარი საარბიტრაჟო გადანყვეტილების გაუქმების შესახებ ან შუამდგომლობა ასეთი გადანყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ, საქართველოს უზენაეს ან სააპელაციო სასამართლოს, რომელიც იხილავს საარბიტრაჟო მოსარჩელის შუამდგომლობას საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ, უფლება აქვს, არაუმეტეს 30 დღის ვადით გადადოს შუამდგომლობაზე გადანყვეტილების გამოტანა და შუამდგომლობის აღმძვრელი მხარის მოთხოვნით (და არა საკუთარი ინიციატივით — ხაზგასმა ავტორისეულია), დაავალოს მეორე მხარეს, წარმოადგინოს შესაბამისი უზრუნველყოფა. თავისთავად ცხადია, უზრუნველყოფის ოდენობა გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს დავის საგნის მოცულობასთან.

თავი №9
ბარდამავალი დავულებები

**მუხლი 46. ამ კანონის ამოქმედებამდე დაწყებული,
ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საარბიტრაჟო
დავების განხილვის წესი**

1. ამ კანონის ამოქმედებამდე დაწყებული, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საარბიტრაჟო დავები განიხილება „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 17 აპრილის კანონით განსაზღვრული წესით, თუ მხარეები არ შეთანხმდნენ აღნიშნული დავების „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით განხილვაზე.
 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დავებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება უნდა განხორციელდეს ამ კანონით განსაზღვრული წესით.
1. „არბიტრაჟის შესახებ“ მოცემული კანონი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა 2009 წლის 19 ივნისს და 48-ე მუხლით დადგინდა მისი ამოქმედება 2010 წლის 1 იანვრიდან, შესაბამისად აუცილებლობას წარმოადგენდა ახალი კანონის მიღებისათვის დაუმთავრებელ საქმეთა გადაწყვეტის წესის განსაზღვრა, რაც განხორციელდა კიდევ ახალი კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით.
2. ახალი კანონით ასევე განისაზღვრა მის ამოქმედებამდე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების განხორციელების წესი.

მუხლი 46¹. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუწნაროდ ცნობილ პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი რებულირება გარდამავალ პერიოდში

1. სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, თუ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, სასამართლოს საჩივრით მიმართავს და დაამტკიცებს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუწნაროდ ცნობილი პირი, სანამ მისი ინდივიდუალური შეფასება არ მოხდება.
 2. მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მხარეს შეიძლება უარი ეთქვას ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, სასამართლოს განცხადებით მიმართავს და დაამტკიცებს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუწნაროდ ცნობილი პირი, სანამ მისი ინდივიდუალური შეფასება არ მოხდება.
1. 2015 წლის 20 მარტს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონს დამატება მოცემული მუხლი (46¹ მუხლი), რომლის თანახმად გათვალისწინებულია საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება, თუ საჩივრის ავტორი დაამტკიცებს საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს ნების კონკრეტული ნაკლის არსებობას. შესაბამისად, ასეთ დროს, საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ბათილად იქნება ცნობილი არბიტრაჟის მიერ მოცემულ საქმეზე გამოტანილი ყველა საპროცესო მოქმედება.
2. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი უკვე ეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი, ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმას ნების იმავე ნაკლის არსებობის შემთხვევაში.

თავი №10 დასკვნითი დებულებები

მუხლი 47. ძალადაკარგულად ცნობილი ნორმატიული აქტი

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 17 აპრილის კანონი.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, როგორც უკვე აღინიშნა, მიღებული იქნა UNCITRAL-ის მოდელური კანონის ბაზაზე არა ცალკეული მოხელის კეთილი ნების, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) გენერალური ასამბლეის 2006 წლის 4 დეკემბრის №61/33 რეზოლუციის საფუძველზე, რომლითაც ყველა ქვეყანას მიეცა რეკომენდაცია გადაეხედა არბიტრაჟის შესახებ საკუთარი კანონმდებლობისათვის UNCITRAL-ის მოდელური კანონის 2006 წლის 7 ივლისის ცვლილებების ბაზაზე. შესაბამისად, დღის წესრიგში, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნების დაცვით, განისაზღვრა ძალადაკარგული ნორმატიული აქტი და ახლად მიღებული კანონის ამოქმედების დრო.

მუხლი 48. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

2009 წლის 19 ივნისს მიღებულმა კანონმა „არბიტრაჟის შესახებ“ განსაზღვრა მისი ამოქმედების დრო — 2010 წლის 1 იანვარი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“
საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“
საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“
საქართველოს კანონი „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“
საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები
„კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო“-ს (ICCA) სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე: „ცნობარი მოსამართლეებისათვის“
გზამკვლევი არბიტრაჟში — საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის UNDP Georgia (2017)
გზამკვლევი არბიტრაჟში — საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის UNDP Georgia (2018)
„არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი“, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, თბილისი, 2016

განმარტებითი ბარათი „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, 2015 წ., რეგისტრაციის ნომერი 07-2/280/8

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1958 წლის 10 ივნისის კონვენცია „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“

UNCITRAL-ის 1985 წლის მოდელური კანონი „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“

გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 11 დეკემბრის №40/72 და 2006 წლის 4 დეკემბრის 64-ე პლენარული სხდომის №61/33 რეზოლუციები

UNCITRAL-ის საარბიტრაჟო რეგლამენტი (2010 წლის რედაქციით)

„საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ ვენის 1980 წლის კონვენცია

სახელშეკრულებო ვალდებულებებისადმი გამოსაყენებადი სამართლის შესახებ ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2008 წლის 17 ივნისის რეგლამენტი

„უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენცია

„საგარეო ვაჭრობის არბიტრაჟის შესახებ“ უენევის 1961 წლის 21 აპრილის ევროკონვენცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრის შემაჯამებელი ოქმი, 2013 წლის 18 ივლისი

ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის 2010 წლის 29 მაისის წესები „საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულებების მოპოვების შესახებ“

„საერთაშორისო არბიტრაჟში პროცესის ეფექტური ორგანიზების წესები“ (პრალის წესები)

ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს 2000 წლის სექტემბრის რეზოლუცია „მერკანტილიზმისათვის პროფესიონალიზმის დაპირისპირების შესახებ“

ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის 2004 წლის მაისის „საერთაშორისო არბიტრაჟში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები“

„საერთაშორისო საარბიტრაჟო დათქმების შედგენის შესახებ“ ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის 2010 წლის ოქტომბრის სახელმძღვანელო პრინციპები

არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში — კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, თბილისი, 2018 წ.

კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT) მიერ შემუშავებული „საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები“

საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული INCO-TERMS (International Commercial Terms) წესები 2020

ზვიად მათიაშვილი — UNIDROIT საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები, საიას აღმანახი №15, 2008 წ.

ალექსანდრე იოსელიანი, სადისერტაციო ნაშრომი: „მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში“. თბილისი, 2010 წ.

გულიკო კაჭაშვილი — „საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი შედეგების გავრცელება მესამე პირებზე“, „საქართველოს ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“

პაატა კოპალეიშვილი - „საზღვაო დავაზე მიღებული უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღ-

- სრულების პრობლემები საქართველოში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული განწყვეტის ეროვნული ცენტრი, წელიწადეული, 2015
- რუსუდან როგავა — კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პუბლიკაციები, 2016 წ.
- საქართველოს არბიტრთა ასოციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსი
- საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესები
- მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრი“-ს საარბიტრაჟო წარმოების წესები (დებულება)
- ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს განწყვეტილებები საქმეზე **OS Z. Vs. Finland, Panteleyenko vs. Ukraine, Deweer vs. Belbum** ბაცანიჩა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, სტილ და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ხუჭინი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის განჩინება ას-538-511-2013
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განჩინება ას-148-140-2017
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 21 თებერვლის განჩინება ას-1556-1476-2017
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 8 მაისის განჩინება ს/ბ-352-2013
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 ივლისის განჩინება 2ბ/-352-2013
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 1 ივლისის

განჩინება 2ბ/-639-2014

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 2 ნოემბრის
განჩინება 2ბ/-1037-2016

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 16 ნოემბრის
განჩინება 2ბ/-1085-2016

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 9 ოქტომ-
ბრის განჩინება 2ბ/-985

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის
განჩინება 2ბ/3594-15

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 22 ივლისის განჩინება
2ბ/4050-16

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 18 აგვის-
ტოს განჩინება 2ბ/4151-16

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის
განჩინება 2ბ/4905-16

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 8 დეკემბრის
განჩინება 2ბ/6381-16

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემ-
ბრის განჩინება 2ბ/6790-16

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემ-
ბრის განჩინება 2ბ/6806-16

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 7 მარტის
განჩინება 2ბ/1382-17

Arbitration Rules of the Singapore International Arbitration
Centre

PCA Arbitration Rules

LCIA Arbitration Rules

CI Arb Arbitration Rules

LMAA Arbitration Rules

ICC Arbitration Rules

THE SECRETARIAT'S GUIDE TO ICC ARBITRATION – A
Practical Commentary on the 2012 ICC Rules of Arbitration

Комментарии ЮНСИТРАЛ по организации арбитражного
разбирательства 1996 года

Born, Gary B. *International Arbitration: Law And Practice, Sec-
ond Edition.* (2016) Kluwer Law International

Born, Gary B. *International Commercial Arbitration In The Unit-
ed States: Commentary And Materials.* (1994) Kluwer law
and Taxation Publishers

Born, Gary B. *International Commercial Arbitration: Commen-
tary And Materials.* (2001) Kluwer Law International

Redfern, Alan and Hunter, Martin. *Law And Practice Of Inter-
national Commercial Arbitration, Student Edition.* (2003)
Sweet & Maxwell

გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი
ანალიზი), თბილისი, 2008

Международный коммерческий арбитраж, Харьков, 2009 г.

Борис Карабельников, МЕЖДУНАРОДНЫЙ КОММЕРЧЕ-
СКИЙ АРБИТРАЖ, Москва, 2013 г.

Международный коммерческий арбитраж: Учебник (Под
ред. О.Скворцова, М.Савранского, Г.Севастьянова), Мо-
сква, 2018